დობტურს გავაშინჯიე და მითხრა: ლეკნის ძვალი შეტეხია, ჭალაქში უნდა აპელაცია უყონ და ამოუღოსო. ახლა ორ ცეცხლშუა ვდგავარ: წვეიყვანო, ვა თუ კილო დაატაკონ და მეორეც შეატეხონ. მაშინ რაღა ექნა? მე რე კილო, ჩოუგდე ხელში ქალი ამ ლიკინდარე დობტურებს, განჩებენ უალავო ალავას შოტბრალეზლად, და გადაჩებდა თუ არა, ღმერთმა იცის! მტერდავისას რო მოზიკედეს, ხო გამიძალდა სიცოცხლე ამ სიბერის ღროს! გამევიცვლო? ჩოხა-ახალისი ხო არაა ჩემი სიდღერის მოქსოვილი? ახლა მეტი რა გზა მაქ, უნდა გავაკეთებო ახალაციე და უნდა ამოვადებო რაცხა აქ შეტეხილი.

ლომ-კახი.

### ს ა გ ბ რ ე ჯ მ

(ამბავი ახლო-წარსულიდან)

— პეტრე, დღეს გამგეობის სხდომაჲ და აუცილებლად „ის საკითხი“ უნდა დავსვათ. მაინცდამაინც თუ ამბობ, რომ საკითხი შეუსწავლეულია, ამას არა აქვს მნიშვნელობა.. რა ეუყოთ, რომ რევიმ-ეკონომია! ახლა ჩემს ამბავს არ იკითხავენ? სახლს ვაშენებ და ფულები მჭირდება! — ეუბნებოდა გამგეობის წევრი პეტრეს, რომელმაც ცოტა ყოყმანის შემდეგ თითქოს თავისთვის წაილულულა:

— ვეცე რომ არ იყოს, მაინც ჩვენ ჩვენი გვერდება... გარდა ამისა, შეილი ქალაქში მყავს სასწავლებელში და დღედაღამე ფულსა მოხვავს... რა ვიცი, მგონი საქმე კარგად მოგვარდეს: გამგეობის ყველა წევრები დავითანსხე და არც თემკომის მდივანი—იერემია არის უარზე; ისე რომ თუნდაც უკანონო იყოს. ცეკეშირი მაინც ვერაფერს გაიგებს.

სალამოს კრება პეტრეს თავმჯდომარეობით. გაიხსნა.

— ამხანაგებო, ამ წელს ჩვენს კოოპერატივის საქმეა მოგება აქვს...

— ალბად იმიტომ ჰყიდლით ყველაფერს ძვირად! — ჩილიპარაკა ვილაყამ, მაგრამ თითქოს არ გაუგონიაო, პეტრე არ შეჩერებულა და ამბობდა:

— ეს მოგება, რასაკვირველია, გამოწვეულია ჩემი და თქვენი მეოხებით. ეს კი ბუნებრივად აყენებს საკითხს ჩემი და გამგეობის წევრების დაჯილდოების შესახებ. ამაზე ჩემი მოადგილე-საქულა იტყვის კიდევ დამატებით. თუ ვინმეს საჭიროთ მიაჩნია შეკითხვები და სიტყვები...

— შეკითხვები და სიტყვები, ჩემის აზრით, საჭირო არ არის... საკითხი ისედაც გამოკვლეულია! — წაილულულა ნახევრად მოვრალმა საქულამ.

— რატომ არ არის? საჭიროა... მით უფრო, როცა რევიმ-ეკონომია ტარდება! — დაიძახა ერთმა.

— მალე ჩვეო თუ ტარდება! — გაცხარდა საქულა.

— ამხანაგებო — აცხადებს თავმჯდომარე პეტრე — რომ კამათი არ გავსენათ და სხდომა მალე გავათავოთ, აგერ ჩემს მიერ შემოტანილია რეზოლიუცია: ფული დანაწილდა გამგეობის წევრებს შორის შემდეგნაირად: მე მერგება პირველ კატეგორიით, ჩემს მოადგილეს მეორეით და ასე. ვინაა მომხრე ამ წინადადებისა. მართალია, მომჭირნებოდა ირდევია, მაგრამ სხვათა შორის მაინც გავინაწილოთ. მომხრე ყველაა. მდივანო, შეიტანე ოქმში; რომ არც გამგეობის წევრები და არც თემკომის მდივანი წინააღმდეგი არ არიან. (1926 წ. ოქტომბერი. ოქმს ხელს აწერენ: გამგეობის წევრები — პეტრე, საქულა და გრიჭულა; სარევიზიო კომისია: იერემია და სამსონა. ამბავი გა-ზაშკარავდა ბ. წ. მარტ-აპრილში).

ეს ამბავი სადგურში მიაბო გლებმა: გამიკვირდა. და შევეკითხე:

— ნუ თუ აქ აღმასკომი არ არის? გლებს ჩაეცინა. და ყურში წამჩურჩულა:

— აგერ, შენი ქირიმე, კოოპერატივის გამგე მოდნს და ის თვითონ აღმასკომის წევრია. გლებს სიტყვა არც კი ჰქონდა დასრულებული, რომ სამიკიტნოდან აურზაურით და კვარტებით ხელში ხელიხელგადახეულნი ვამოვიდენ მოვრალეები.

— ეის აგინებენ დედმაძას ეს მოვრალეები? — შევეკითხე გლებს.

— ვის, შენი ქირიმე, და გლებკომებს — და თანაც დაუმატა: — ნეტავი მეც შემეძლოს გლებკორობა! ვინ არიან ესენი?

— ვინა და, ერთი მათგანი კოლა ვახლავთ, მეორე საქულა, მგონია აჩეიკის ბიჟია. კოლას ძველად სამიკიტნო ჰქონდა და ხალხს ტყავს აძრობდა. ეხლა კი ბანკის გამგეა. ხალხი დაშინებული ჰყავს — ბულა ხაროიეთ უბნ-ღვერის ყველას. ერთხელ კოოპერატივის დარაჯს ისე სცემა, რომ სულ ვაი-დღეა აძახებინა, მაგრამ ვინ მოსთხოვდა პასუხს — პეტრე და საქულა მისი ქომამგებია... საქულასათვის აჩეიკას მიუცია წინადადება — გასწორდით, მარა იგი მაინც თავისას არ იშლის... ეს არ გამოვიწ, სო-რემ ცოცხალს რა გამიშვებენ. შე გენაცვალე, არავის უთხრა — დაასრულა გლებმა სიტყვა და გამოემევიღობა.

ჩხლართი

### ნ ა რ ხ ე ს ა უ რ ი

სამხრალია

იყო სოფელში ყმაწვილი გაე-კაცი პირბაღნიანი. წვერ-ულვაშა, მოსული ორ არშინ ნახევრიანი. კაცი: ეუბრო, კეთილი, არ-მტერი, სრულად ქვეიანი. მიმწვევი, ჯიბეს ჩამხედი, უხვი პურ-მარლიანი.

კაცი ესე სოფლად იყო, ვასილიკოდ წოდებული. „ბუტკა“ ჰქონდა ვასილიკოს მორთულობით დადებული ღვისო ჰქონდა დამთრობი და გემოთაც ჩინებული. ყველი, პური და ტარანი თოკზე ჩამოკიდებული.

დუქანი იყო „პატენტით“ ლამაზი, ნათელ-მზიანი; ვასილის ეზოს მდებარე. წინ დიდი თხრილებიანი. იქა ვილოდენ ყმაწვილნი, მსმელნი და ბოხი ჩხიანი. უკისროდ დაბრუნდებოდენ თუ იყვენ კისრებიანი.

დუქანი ჩხუბის ამტეხი და აყალ-მაყალიანი. თვით ვასილიკოც გაჩრტყმელი, დამდები სიფათიანი. ერთხელც გააჩტყა რომ იყო ჩვენი კვირა დღე მზიანი, მაგრამ ისეთი მიბეგეკეს — აღინეს სისხლი ძმრიანი.


ვასილიკოს მოეწველა გასაჭირში ძმაი ილო. „მეუკურთსა, შეაგინა: — რა შერებით თქვენ ვირიშვილო? მუშტი მისი ვაჯაკუური არ ყოფილა სათაკილო, მასაც დასცხეს, დაუკარგეს ლაპარაკის ხმა და კილო,

ეს! სოფელო რასა ჰგებებართ? რას გვაბრუნებ? რაზნე გვეკისა?

დღეს ეაჭრობა ედლარ მოხდა, ვასილიკოც მიტომ სტირსა: ფულს ვერ იგებს კვირაობით, უსისხლებენ თანაც ცხვირ-სა.

ტარტაროზო, მოეშველე, იხსენ იგი გასაჭირსა. იგ — იოჟი.

# ტყიბულის სასადილოში



მუშა (ამხანაგს):—კაცო, მალე შესჭამე სადილი თორემ, ხომ ხედავ? კუდით ძაღლი მიჭირავს და რაც ხანია პირში გეცემა!

## სიფრთხილი

### კახეთში

— რა ჩუმად მიპარებ ე გოდრებს, მოხო!

— მეზინან, კაცო, ჩვენმა თავმჯდომარემ არ დამინახოს.

— რა ღიდი რთველი შენა გაქვს, რო...  
 — რთველისა კი არ მეზინან.  
 — მაშ რისა?  
 — იმისა, რო რაკი გაიგებს ჩენი თავმჯდომარე, ერთი-ორი წვეთი ტკბილი ჩავაწყლანტე ქვევრში, მაქრობისას შიგ მარანში ჩამისახლდება.  
 — მაგის ნება არა აქვს კაცო, არა.  
 — ეეჰ, მამაცხონებულო, ლაპარაკობ რაღა! „ნება არა აქ!“ აგე, ცემის ნებაც არა აქვთ, მაგრამ სამჯერ იგრ დამაყურითირავეს, რო კინალამ ქელენი გაქამე.  
 — მერე კაცო, არ იჩილე?  
 — რაღა უნდა მეჩილა, თვითონ მცემა, ვისთან უნდა მეჩილა. შენ რო გაგივია „ნება არა აქესო“. ნებაც არის დი-ნებაც, შეილოსა, საჭმე ის არის ვინ ვისა სცემს.

— შენ უშნო ჰყოფილობარ, შე პობრო, შენა, თორემ იმ დღეს ჩემი პატარა ბიჭისთვის მეზობლის ბიჭს ეცემნა, უჩივლე და დაიბარეს:  
 — შენ რათა ჰცემე—უთხრა თავმჯდომარემ.  
 — მა რა ეგონა, დედას რო მაგინებდა—მიუგო ბიჭმა.  
 — ჰაი შე ძაღლის ლეკვო, აბა ერთი შენ იგემე, როგორია ცემა—და გადაჭკოა მათრახები.  
 — აკი ცემის ნება არა აქვთო!  
 — ეა, მართლა ე როგო გამოდის ე! წადი, წადი, წაილე გოდრები, თორე ღვინოს ხო დაგილევს და დაგილევს, იქნება ერთი კარგაც მიგჯობოს!

ფეშანგი.

### ნამდვილი ამბავი

სოფ. მღვიმევი. შორაპნის მაზრა საუდრის ახლოს ჩვენს სოფელში გლეხმა მოსკრა ძველი მუხა. ამ ამბავმა მეზობლობა მეტის-მეტად შეაწუხა.  
 უთარეს:—კაცო, ეს რა ჰქენი? გაგინებდა ხელი-ფეხი. ზედ ჯდებოდა ანგელოზი,

დაგეცემა მისგან მეხი!— და გლეხს მართლაც შიშისაგან გულზე ეცა მწარე ელდა. გააცვივა-გააცხელა და თვალუბი დაუბნელდა. სწრაფ მოპვეარეს მას ხუცესი, (გაშაძვა დიომიდელ). ღვთელმა უთხრა:—შე საწყალო, ღვთის შეცოდება თავს რათ ილე? ანგელოზი იყო ის ხე, რად შოსტერი იგი მუხა?!— (და არაყი დიომიდემ ზედი-ზედა ოთხი ჰხუხა). უთარა:—ღვინის მონასტერში მოატანე შესაწირი ცოტა რამე... ღარიბი ხარ, არ დაგიჯდეს მეტად ძვირი: ერთი ბატი, ერთი ცხვარი და არაყი ერთი „შტოფი“, თუ ეს ასე შენ არ ჰქენი, შეგეყრება მანენ „ყოფი“. დაჰკლეს ბატი, დაჰკლეს ცხვარი და არაყიც ბლომად ჰხუხეს. ღვდელი ამბობს:—ანგელოზი აწი აღარ შეგაწუხებს.

კვანტი

## კედლის გავითავის მხატვართა საპუკადლეგოთ

შ.პ. „ბარბაროზი“-ს რედაქციას განსაკუთრებულად აქვს შურნალში მონაწილეობა მიაღებინოს ახალგაზრდა მხატვრებს, რომლებიც პროვინციებში თავისი ნორჩი კალმით მონაწილეობას დაეშურებენ ადგილობრივ კედლის გავითავაში.

მოწოდებული სურათები (კარიკატურები) დაიბეჭდება შურნალში ავტორის უფლებების დაცვით. გონორარი მიეცემათ ჩვენი მხატვრების თანაბრად.

სურათის ზინაარსი უნდა შეეხებოდეს უმეტესად ადგილობრივ ცხოვრებას და იზიარებოდეს უსცოქრისას.

სურათს უნდა ჰქონდეს: სათაური, წარწერა და საპრობის მიხედვით ციტატა (ამონაწერი).

რედაქციას უფლება აქვს ყოველგვარი შესწორებებისა.

შ.პ. „ბარბაროზი“-ს რედაქცია.

# ჯღჯღსათის კუთხე



სოფ ბაღდათში (ზემო დიმი) „ლეთისმშობელ“ მარიამს აუგეს ძეგლი. მართალია: ვაჩვენებულად ეს ძეგლი თითქოს სრულიად სხვა რამეა, მაგრამ თუ კი ციხის-ძირელის განმარტებას დავეყარებით, ძეგლი საცხებით გამოხატავს დანიშნულებას.

კვარცხლბეკზე გამოხატულია ცხვირი, მუშტი და ყუური. ეს იმას ნიშნავს, რომ მარიამობის დღესასწაულის ქეიფობის დროს მორწმუნეებმა ერთმანეთს მუშტებით ცხვირ-პირი დაუმტერიეს.

პირველად, როცა მოესმა ციხის-ძირელს აურ-ზაური, სხვა რამე ეგონა, მაგრამ

ბოლოს კი მომაგონდა  
წმიდა დღესასწაული.  
„ბრწყინვალე დღე“-ს ქეიფობდნენ;  
ნიკა, შალვა, საული.  
შავი ლვინით შეხვდენ,  
ჯანჭი ხელში ტრიალებს;  
ბოლოს დასცხეს ერთმანეთს,  
სუფრა გაათილეს.



ჩვენ არ ვიცით, თუ რომელ მათგანის ცხვირია აქ ძეგლზე გამოხატული, მაგრამ ამით ღირსება სრულებითაც არ ეკარება ძეგლს.

პირველად ფიქრობდენ,—ცხვირგატეხილი პიროვნება ამოეკვეთად ქანდაკებათ, მაგრამ ეს ოგიუსტ როდენის (საფრანგეთის გამოჩენილი მოქანდაკე) მიბაძვა იქნებოდა. (როდენს აქვს ქანდაკება: „ცხვირგატეხილი მოქალაქე“).

## იამ-ნანა

სოფ. ვერტყვილში ოდესმე გამოდიოდა კელის გააზეთი „ნორჩი ხმა“. ეს „ნორჩი ხმა“ ისეთი საამური აღმოჩნდა, რომ რედკოლეგიას „იამ-ნანა“ უმღერა და სალათას ძილით დააძინა.



როგორც აქვე მოთავსებულ სურათიდან სჩანს, რედკოლეგია ჯერ-ჯერობით არ ფიქრობს გაღვიძებას. (არამც გაუღვიძიას).

## კი მართებს კვხხა

უკრაინის ქალაქში (სართიჭალა) არის არხი; არხზე ბოგირია. მაგრამ ეს ბოგირი ისეა დაზიანებული, რომ ურემი და ხარები გლეხებს ზურგით გადააქეთ მერე ნაპირზე.

თქვენ ვგებ ვაგიკვირდეთ ეს ამბავი, მაგრამ ლევარსი რობროხაძეს არ ვაუკვირდება. (მან ხომ ეპისკოპოსის ჯორი მხარზე წამოსივა და ისე გამოიყვანა ბოსელიდან?) აღგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე ასე იკეხვის თურმე:



— აი, ჩემს თემში როგორი ვაჟკაცებია!

## ხელიდან ხელში

1. ქვემო-მაჩხანში არის საეკიმო პუნქტი, სადაც გაშვეც არის (ეკიმი) და ბებია-ქალიც. ეს ორი კურთხეული დაზღვეულ ავადმყოფს ერთმანა-



ნეთს უღლებენ. ვაზუპირებული აქეთ:—ეს ჩემი საქმე არ არის... მას მიმართეთ!

კარგი იქნებოდა, რომ აღგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილება უეჭიმებდეს ასეთ ეჭიმებს.


**როლები შეცვლა**

საჯევანოდან ჩოხატაურში (და შებრუნებით) დადის ეტლი, რომელშიც, რასაკვირველია, ცხენები უბია. ეს არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რასაც ა.ჯ. ვერაქცხელი ამბობს:

საჯევანოს სადგურიდან  
წახვლა მინდა ჩოხატაურს.  
მეშინია—ეტლი მომთხოვს  
სამ მანეთს და თოთხმეტ შაურს.

რა თქმა უნდა, ესეც არაფერია, მაგრამ რაღას იზამ—წახვალ ეტლით, რადგან ფეხით წახვლა სჭირსო. ჯერ შუა გზაზე არა ხარ, და ჩამობრძანდით ყველამ ძირსო.

ცხადია, „ჩამობრძანებაც“ არაფერია, მაგრამ ცხენები ულტიმატუმს უღვინენ მგზავრებს:



თუ აქამდე თქვენ გატარეთ,  
აწი შევსცვალთ როლია.  
არ გადავდგამთ ერთ ნაბიჯსაც,—  
ცხენი კაცისა ტოლია.

და მგზავრები იძულებული არიან დააკმაყოფილონ ცხენების სამართლიანი მოთხოვნისა.

**შურის-ძიება**

ხ. ნატანეში არის „მამაო დიმიტრე“, ყველას გეცოლინებათ (თუ არ იცით, გაუკონეთ „გოლაშ-გოლობს“, რომ:

დღეს მას არა აქვს საკბილო:  
ბეჭი, დედალი, ვარია.

სულ გახდა, გამოიწანწლა,  
ვით ძალი ნალეკვარია...

და ამიტომ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ: როცა მან თავის სიმინდში ნახა მევზობლის ღორია, ნაჯახი ხელში აიღო, ჩამოსჭრა ფეხი ორია.

მიუხედავად ამისა, ღორი მაინც გამოცხადდა თავის პატრონთან.

ცხადია: გიორგის არ ესამოვნა თავისი ღორის ასეთ მდგომარეობაში ნახვა (ან და რატომ ესამოვნებოდა, როცა თვითონ იღვსდა კბილს—საშობაოთ უნდა დაეცლა) და



დაჰკივლა, როგორც ვრეკლემ,  
რა ნახა თვისი მტერია.  
დიმიტრის ჩამოცალა  
მან ნახევარი წვერია.  
საწყალი მღვდელი სიმწრითა  
იძახდა: „ნიაფ-ნიაფსა“,  
და მისი წვერი ნაკურთხი  
ველად გაჰქონდა ნიაფსა.

ალბად გიორგი მეტად გაბრაზებული ყოფილა. ნერვების დასამშვიდებლად საჭიროა მილიციამ მას ყურადღება მიაქციოს და რამდენიმე დღით მაინც მყუდრო ალბას ამყოფოს.

**ცნობილი შიშვება**

სოფლებს (ქვემო-შუხუთი): თქვენს ლექსიდან ამ ოთხ სტრიქონს მხოლოდ რითმის ხათრისთვის ვათავსებთ:

შუხუთის თემში ცხოვრობს  
ქალბატონი ნატალია.  
რასაც ამბობენ მასზე,  
ეს სუყველა მართალია.

წაუშატებთ კიდევ ერთ კულბეტს:  
სენი შეჰყარა აქ მრავალს.  
(არ არის დემაგოგია).  
გრიშა და ბარნაბ ჰკვიან...  
უფროხილდეს მაინც გოგია.

ქინაქინას (სამტრედია): ყველაფერია თქმული და ეს რაღა ამოცანაა:

კომბინატორ-მეტრიარა  
მეანგარე კობია,  
მუდამ მყოფი პურ-მარილში  
მუშაობას მოსცდა.

თქვეც ტყვილად მომცდარხართ ლექსის წერით.  
„მყარს“: მოგვეყავს ერთი ადგილი თქვენი „თავგადასავალი“-დან:

დამცხებლა, გეკუა აღუღლა  
და თითქმის შევიშალეთ.

გადავწყვიტე და წავედი  
მე აგარაკზე მალეო.  
როცა დავბრუნდი, ცვლილება  
მე ვერ შევტყვე თავსაო;  
თავში კვლავ ძველებურადა  
რალაცა ტვინსა ხრავსაო.

ხომ გაგიგონიათ ხალხური ანდაზა:—როგორც წახვალ სვინაო, ისე მოხვალ შინაო.

ღონიერს: თქვენს „მტრებზე“ სწერით:  
ჯერ არ მცალია, მაკლონ—  
დელას ვუტირებ ყველასა.  
იმათ მოვსმობ და მერმე კი,  
ვიმღერებ „დელა, დელასა“.

მაგრეც უნდა მოიქცეთ. არავითარი კომპრომისი მტერთან. იყიდეთ საურაცხელი, წადით აბანოში, თავი დაიბან-დაივარცხნეთ და... თქვენ აღარ გეყოლებათ არც ერთი მტერი, რომელიც ესლა:

მოსვენებას არ მძძღევს,  
ძილშიაც კმბენს ავი მტერია.  
თუმც პრილობები ბლომად მაქვს,  
მაგრამ ჯერ ვერ მომტრია.

# ზღაპრული სინამდვილე



1. მიხა ღარიბი გლეხი იყო, მაგრამ სამეურნეო გადასახადი შეცდომით მანეთ-ნახევრით მეტი შეაწერეს, რის გადასდა მას არ შეეძლო; ამიტომ განცხადება შეიტანა მაზრის ფინგანში.



2. დღე დღეს მისდევდა და პასუხი არავინ მისცა.



3. ზოლოს გადასახადის ვადაც მოვილა და ნახსენებში ვუღოთ ის ზედმეტი მანეთ-ნახევარიც გადაიხადა.



4. ერთ დღეს გაბოროტებული მიხა წავიდა ისევ მაზრის ფინგანში და თავისი განცხადება უკან სთხოვა. მიხას ერთი ილღია ქალღლი მოუტანეს. რამაც მიხა ძალზე გააკვირვა: — მე ერთი „ლიფტი“ მოგართვით, აქ კი რამღენია!? ეს სხვისი იქნება!



5. მიხა ძლივს დააჯერეს, რომ ეს იმის ქალღლების მიმოწერა იყო... და ერთი დიდი ბოხჩა ქალღლები ილღით ძლივს გამოიტანა სამმართველოდან. მეწვრილმანე შემოხვდა და ჰკითხა მიხას: — ვაა, ჰყილამ ძმობილო? რა მოგეც?




6. ივაკრეს და მანეთ-ნახევრად მორიდდენ. მიხამ ზედმეტი გადასახადი გაინაღდა და მხიარულად გასწიასახლისაკენ. მეწვრილმანე კი მეკურტნეს აჰკიდა ქალღლი და მანაც მხიარულად გასწია თავისი ღუქნისაკენ.

# ბრტბრტბრ

## დაუჯერეთ!





ღამის პირველ საათზე დაბრუნდა და მაშინვე დაიძინა.

როცა ღრმა ძილს მიეცა, მას მოესმა ჩუმი ლაპარაკი. თავისი საკუთარი ფეხები ეჩურჩულებოდნენ გამგეს:

— შე უსინდისო შენა, ერთი ლაქის ტუფლები არ უნდა ჩაგვაცევა?! არ გახსოვს უმუშევრობის დროს რა გაჭირვება გადაგვატანინე? მოიგონე ის დრო, როცა სამსახურის საშოვნელად ცოფიან ძაღლივით დარბობდი ქვაფენილზე; ფეხსაცმელებს ძირი გამოვარდნილი ჰქონდა და ჩვენ მაშინ ტყავი გადაგვცქვრა. ესლა ხომ გამგე ხარ! ჩაგვაცევი რა ლაქის ტუფლები და „ვიქტორია“-ს ნასკეები!

— თქვენ, ეი, რას ჩურჩულობთ? — ჩამოსძახა ფეხებს თავმა, რომელსაც სიტყვ ჰქონდა და გამოდიეცებოდა ამით ჩურჩულში. — თქვენზე უმალ მე უნდა მცეს პატივი: ახალი ქული უნდა დამახუროს; მეყო მანეთნახევე-რიანი საბაზრო კეკაში ყოფნა, ესლა ხომ გამგის თავი ვარ?! ხუმრობა ხომ არ არის! მთელი დაწესებულება მე მებარია!

— ნუ ტრახახობ! შენ რა ხარ? რაცა ვარ, მე ვარ! — ისე ჩუმად ჩასჩურჩულა ტვინმა თავს, რომ ფეხებს არც კი გაუგონია.

— კარგი, დაჩუმდი. თუ რამე ხეირი იქნება, შენც შეგხედება; ჩვენ ერთი და იგივე ვართ! — დააჩუმა თავმა ტვინი.

— ვიცით რაც შეილი ხარ. — დასცინეს თავს ფეხებმა. — შენის წყალობით იყო ამდენხანს უმუშევრად, — ხარადრად ვარგოდი, და ესლა ბედად რამის თქმას?! ყურღმსალო, ის არ გეყოფა, რომ ჩვენ შენი ტარება გვისდება? მადლობა ღმერთს — მძიმე არა ხარ და ცარიელ, უტვინო გოგრის ტარება არც ისე გვიჭირს.

— ჩაი, რაო! — გაავაგრადა ტვინი, რომელსაც ესმოდა ფეხების ლაპარაკი.

— ხა-ხა-ხა-ხა! — გაღიზარდა ენამ, რომელიც, თურმე უსმენდა ამით დავას. — დაჩუმდი, თორემ რასაც ამზობენ, დამტკიცებენ, — და მიმართა მოჩხუბრებს:

— თქვენ ტყვილათ დავობთ; არც ერთი არაფერს არ წარმოადგენთ, რაცა ვარ, მე ვარ. გამგის თანამდებობა ჩემის წყალობით იშოვა ამ უმადლმა ღორმა — და, უჩვენა ლოგინში გაშლართულ გამგეზე, რომელიც, გეტყობოდა, ცულ სიზმარში იყო, — რომ მოგხსენი თავი სიტყვების გუდას, იმდენი ვილაპარაკე, სანამ მთელ დარბაზს არ დაეძინა. ერთ კვირაში, გამგეთ დანიშნეს ეს უშინ ესა... სამსახური სამსახურია, და ერთი ღამეში თანამშრომელი ქალი ისე მოეუხიბლევ, რომ ის ქალი გამგისაგან მალე დედა გახდება.

— ერთი ამ ოხრებს უყურეთ და?! — ბოხი სმით წამოიძახა ზურგის ქვემოთ უკანა ნაწილიმა ისე მოულოდნელად, რომ ესენი შეცბენ. — ჩემდენი ღვაწლი და ჯაფა არც ერთს და ყველას ერთად არ მიგიძღვისთ. ხომ გახსოვთ როგორ იყო უმუშევრობის დროს? ესლა საფულებებს თვალებზე ატარებს; მაშინ ჩემზე ჰქონდა სათვალეები. შარვალი დახეული ჰქონდა იმ ალაგას, სადაც ჩემი

რეზიდენცია არის, და იქიდან გამოვუყურებოდი როგორც თვალები სათვალეებიდან. ზამთარში ციცი ქარი მიბერავდა; მუდამ გაყინებული ვიყავი; ქვეყანა მხედავდა და დამცინოდა; რა მექნა, — ვითმენდი... მერმე, როცა საქმის მწარმოებლის ადგილი იშოვა, იჯდა ფიცრის მაგარ სკამზე და ტყავი ვამაპკრო. ყველა კრებებს ესწრებოდა; ეში-ნოდა არ დამითხოვონო; იჯდა და გამოპარვას ვერ ბედავდა. მაგრამ მაინც მალე ამოპკრეს პანლური და ეს ტკივილიც მე გადავიტანე. ასე რამოდენჯერ იყო! მახოლები შექონდა ყველგან; მგონი ესლაც კი მაჩნია...

— ჰო, ჰო, რა დიდი რამე ყოფილა! — დასცინა კუქმა, რომელსაც ყური მოეკრა ამით ლაპარაკისთვის და უსმენდა უკანა ნაწილს. — შენსავით პატივცემული ესლა არც ერთი არა ვართ. ყურღმსალო, ავტომობილით რომ დასეირნობ და რბილ სავარძელში ზიხარ, — აღარ გახსოვს რა დღეში იყავი? ეი, ქეუას დაუხმე, რას მიედ-მოედები?

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ. შენგან არც ახლა არა მაქვს მოსვენება.

— არც შენ არ გეტქმის ესლა საყვედური გამგეზე. — ჩაერია ლაპარაკში გული. — თუ სადმე კარგი საქმელ-სასმელია, ყველა შენია. შენის გამო არის, რომ სახაზინო ფულები ისე გაუტკბა, რომ რაც ხანია ისეთ დღეში ჩავარდებით, როგორშიაც ვიყავით; მაშინ ვიციტხობთ ყველამ! არც შენ დაგადგება კარგი დღე — გამსახლის ულუფა მალე მოგიყვანს ჭკუაზე და მეუ ყოყორობას დაგაიწყებს.

— ყველას, რომ სათქმელი ჰქონდეს, შენ არაფერი გეტქმის. — უთხრა კუქმა გულს.

— ვაი შენს პატრონს, რომ არაფერი გაეგებება. მე თუ არ მიმიძღვის ღვაწლი, მაშინ ვინ ოხერს მიუძღვის ანა?! როცა უმუშევრად იყო და ისე მიეცა სასოწარკვეთილებას, რომ თვითმკვლელობა განიზარბა, — მე შემოგუძახე, ვაგამხნევე, თორემ გული რომ გატეხოდა, ესლა თქვენ ამ რბილ და სუფთა ლოგინში კი არ იქნებოდით, არამედ ცივ და ბნელ საფლავში. მე ყოველთვის მისი ერთგული ვიყავი

— რა ვიცი, რა დაწესებულებ: ში ამზობენ, რომ ჩვენი გამგე ორგულიათ, ფეხებზე ჰკილია წარმოების საქმეო; შენ კი იძახი — ერთგული ვარო! — გადმოსძახეს გულს თვალებმა, რომლებსაც გამოპლვიძებოდათ.

— „არა მკითხე მოსამეო, მიბერტყეს და მიავდესო“... ასეა სწორედ თქვენი საქმე! — შეუტია თვლებს გულმა.

— მართალია, მართალია! — დაადასტურა ცხვირმა.

— ეს ვისი მეცამეტე გოჭია?! — ორივე მხრიდან შეუტის ცხვირს თვალებმა. — შე უბედურო, ჩვენ რომ არ ვიყოთ და გზას არ ვუჩვენებდეთ ამ სულელ ფეხებს, სადმე გარე უბანში კისერს მოიტეხდნენ და ქვის კედელზე მიგაქეპდნენ, ახი კი იქნებოდა შენზე, მაგრამ...

— ისე მაგრად გააფანით ყველას ამ მუშტებს, რომ ტარტაროში ღმერთად მოგეჩვენოს! — დაიღრიალეს ხელებმა. — რაზე დავობთ, თქვე მუქთახორებო?! ვინ გკით-

ხავს თქვენ რამეს? ეგდეთ თქვენთვის,—მორჩა და გათავდა. ჩვენ რომ არ ვიყოთ, ყველას სული ამოგძვრებოდათ!  
 — რაშია, ყმაწვილნო, საქმე, რომ ასე დიდი წარმოდგენა გაქვთ თავისთავზე? პორტუგელის თრევისაგან ისე დაკრძალვებულხართ, რომ მიწას წვდებით და, მგონი, ფეხების მაგიერობაც გასწიოთ!



— დიას! პორტუგელს ჩვენ ვატარებთ: იმ პორტუგელშია...

— ძველი საცვლები!—დასცინეს თვალეგმა.  
 — უკაცრავად! ეს მხოლოდ აბანოში წასვლის დროს არის! სამაგიეროთ საქმის ქალაქლებიც უწყევია შიგ. თუ ჩვენი არ გჯერათ, შეგიძლიათ ნახოთ, შარშანდელი ქალაქლებიც კი აღმოჩნდება შიგ?

— რა ამბავია? რა დაგემართათ?—გაჯავრდენ ყურები!—ძილს აღარ გვანებებთ ამ ნაშუაღამევს!

— ოჰო, რა მომხდარა?! ძილს უფროსობენ თურმე. რას გვეჩხივებთ? დაეგდეთ და იძინეთ!—შესძახა ყველამ.

— „მეც ნახირ-ნახირო!“—უტყბინეს თვალეგმა.

— ვაი, თქვე ბრუტიანებო!—მიუბრუნდენ ყურები თვალეგს.—ჩვენით გაქვთ სინათლე, თორემ ნახავდით მაშინ, რა ვაქცაცები იქნებოდით! ვერა ხედავთ—გერმანული შავი სათვალეები ჩვენზეა ჩამოცმული!

— ბიჭოს, რა დიდ მოვალეობას ასრულებენ!—დასცილდა ცხვირმა.—სხვა საქმეში მაინც არაფერში გამოდგებიან.

— არა, შენ აკეთებ უფრო დიდ საქმეს!—ამოსხაძა ყუქმა ცხვირს,—ალბად შენ დიდ საქმეთ მიგანინია, რომ ხმავე სათვალეებს შუაზე შენ ჰყოფ!

— ყოველ შემთხვევაში შენზე მეტს ყველა ვაკეთებთ. შენ გირჩენია კუჭით იყო, თორემ პირი თუ შეეკართი, სულ ნაკუწ-ნაკუწად გაქცევთ. შენ ხარ ჩვენი ტიჩანი და შენ ბედავ ჩვენთან ლაპარაკს?—ბრაზისაგან დაცრეჭილმა კბილებმა შეჭარბო ჩამოსძახეს კუჭს.

— კარგად დალეკეთ საქმელი და ისე მომართეთ, თორემ ამბულატორიაში დაქანჯულ მარწუხებით დაგთხრით სათითაოდ ყველას! — ამპარტაენობით და ბრძანების კილოთი უთხრა კუქმა კბილებს.

— მაგრე ნუ დაიწყებ, თორემ ერთსაც არ გავეკარებთ ლუკმას, ისე ხელშეუხებლათ გამოგვგზავნით; მაშინ ნახავთ რაკა ქართ, ჩვენს პატრონს, ნუ გეშნია, კი უყვარს დიდი ლუკმების ყლაპვა. უმადური, გამოსულა აქ და ულტრინატუმებს ისვრის. მიართვით მაგას კარგი საქმელები. ჩვენთვის კი ჩვენს პატრონს ფხენილი „ოდოლი“ და ჩოთქი ვერ უყვია, რომ დილით მაინც დაგვწმინდოს.

— კარგი, გეყოფათ, თორემ მგონი ხახამაც დაილაპარაკოს. ჩაილაპარაკა კუქმა და უნდოდა მუშაობა გაე-

გრძელებია, რომ ამ დროს ხახამ გაბრაზებით და მიეღო თავისი სიმძლავრით ამოიყარა ტალა:

— ოი, შენი... შე მართლა მუქთახორავ და პარაზიტო! ვის უბედავ შენ მაგ სიტყვებს?! ვანა შენზე ნაკლები ბიჭი ვარ?! პირის და კბილების მიერ გამოგზავნილ საქმელს რომ დავხვდებ, რეკვიზიცია ვუყო, ჩემთვის გადავმალე ყელში და შენ არაფერი გახვედრო.—მაშინ რას იზამ, შე გაუმძადარო შენა?! ხომ გაგინდა ცეცხლი და ანთება? მაშინ რამდენიც არ შემევედრო, ერთ წვეთ წყალსაც არ გალირსებ. უნამუსო! აღარ გახსოვს უმუშევრობის დრო, როცა ნახევარ გირვანქა ხმელ პურს თავიგვით ხრავდი? ვაი, დედასა!

— კარგი, ნუ ლაყობთ. არც ერთი არ ხართ დიდი ბარაქა!—გაუწყარენ ხელები ხახას.

— თქვენ სულელი ხართ. ამ მუტრუკისთვის მუშაობთ!—უტია ხახამ ხელებს.

— სულელიც კი ხარ და უარესიც!

— დაარტყით!

— სცემეთ მაგას.

— ახია მაგაზე...



ყველამ ერთმანეთის წინააღმდეგ გაიწია. თავხარდაცემული გამგე გიგივით წამოვარდა..

ხელები ყელს ცვენ დასახრობათ: გულს შეეშინა და, დარეტიანებული წარამარა იქით-აქით გვერდს ეხეთქებოდა; ამ აურ-ნაურში კუჭს ერთი დაუმუშავებელი ლუკმა გადასცდა და გამგის მუცელში დეზინტერის შეუკავებელმა გრიგალმა დაჰგერა; ფეხები ვერ უძლებდენ სხეულის სიმძიმეს და იკეთებოდენ, რითაც ვასპირი აღვებოდა უკანა ნაწილს იატაკზე ბრავანით; ყურები განთავისუფლებულყვეს სათვალეებისაგან, რომლის ნამტკრევები იატაკზე ეყარა: შეშინებული თვალეები ცეცხლს პყრიდენ; ტვინი მაჭარივით დლუდა; ხახა-დაღებულ პირადან ენა ამოვარდნილიყო და დაღრეკილი კბილები ვილაცას შეჭმას უპირებდენ.

ყველა ამ სანახაობას გამგე გულიანათ დაჰხარხარებდა.

— იგი თქვენ! აწი იდევით და იხსუბეთ ერთმანეთში! —ნიშნის მოგებით უთხრა სერეებმა წებანდელ მოჩხუბრებს, მაგრამ გამგის ხარხარში არავის გაუფრონია.

ისელი.



# „ხუმრობა“

მე მყავს ნაცნობი, რომელსაც ერთი ახირებული ჩვეულება აქვს: მას ბევრი რამ ხუმრობათ უწევნება. სხვათა შორის ძალიან აინტერესებს პოლიტიკური საქმეები და საერთაშორისო მნიშვნელობის ამბების გასაგებათ სწირად მესტუმრება: — გაზეთში მუშაობ, რამე ახალი გეცოდნებო.

— სხვა, რა არის ახალი ამბავი, — მკითხა მან ინგლისის დიდი გაფიცვის დროს.

— ინგლისში გაფიცვა 4—5 მილიონი მუშა.

— ხა, ხა, ხა, ხა! — ჩაიხარხარა მან ლაზათიანად. — მერე მართლა გაფიცენ გგონია?

— აბა?

— ხუმრობით, ჩემო კარგო, ხუმრობით გაფიცენ... ხა, ხი, ხა, ხა, ხა...

რამდენი დღის შემდეგ ისევ მესტუმრა.

— ახალი არის რამე?

— გაფიცვა შენგადა, ახლა მხოლოდ მაღაროს მუშებია გაფიცული.

— ე.. ე.. ხი, ხა, ხა, ხა! — ასტეხა მან ჩახრახნი. — ხუმრობით, თორემ ისინიც მალე დაიწყებენ მუშაობას. ხა, ხო, ხო...

გამეცინა მისი სისულელე. კიდევ ორი თვის შემდეგ:

— შეიტყვე რამე საინტერესო?

— ჩან-კაი-შიმ უღალატა რევილიუციას.

— ფხხხ! რასაკვირველია ხუმრობით...

— ფინ-იუი-სიანმა უღალატა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, — ამოითქვა სული. — რა ხუმარა ყოფილა ორივე...

— ასათიანმა რამიშვილი მიბეგვა.

— აბრარ... ხი, ხა, ხო, ხო... გადაპირქვედა სიცილისაგან მოსაყვებული სტუმარი.

— თბილისში შეშა არ იშოვება.

არც მარავია, არც ახალი.

— ხა, ხა... ხუმრობენ...

— სამმა კაცმა თავი მოიკლა.

— ხი, ხი... რასაკვირველია ხუმრობით.

— შტატების შემცირება დაიწყო.

— ხუმრობენ, ხუმრობენ... დავანებე თავი და კითხვას შეუდექი.

ათიოდ დღის შემდეგ ისევ მესტუმრა. ვიცოდი არ მომასვენებდა კითხვებით და ამიტომ შეუდექი ამბების მოგონებას. დაჯდა, გაზეთი აიღო და ჩააშტერდა. მონახა „შემთხვევების“ განყოფილება და გულმოდგინეთ შეუდგა კითხვას. გამიკვირდა მისი საქციელი.

— პაქიო! (მისი სახელია).

ყურადღება არ მომაქცია.

— პაქიოჯან, ახალი ამბები არ გაინტერესებს? ბელგია გამოირიცხეს ერთა ლიგიდან.



**ბინის დამპირავებელი** (სახლის-პატრონი): — ბინას არ ვიწუნებ — მომწონს... მხოლოდ, ის მითხარით, ამ სახლში ცუდი ყოფა-ქცევის ქალები ხომ არ ცხოვრობენ?  
**სახლის-პატრონი**: — როგორ შეიძლება!!! მაგ მხრივ ჩემი სახლი უზრუნველყოფილია.  
**ბინის დამპირავებელი** (თავისთვის): — ეს კარგია — კოსკურენტი არავინ მეყოლება!

ყურიც არ გააპარტყუნა.  
 — კაცო...  
 — თავი დამანებე თუ ძმა ხარ!  
 — რა დაგემართა?  
 — ბინა გამიტეხეს...  
 — ვინ?  
 — ქურდებმა.  
 — აიჰ! უხუმრობით...  
 — რის ხუმრობა, ნივთებიც წაიღეს.  
 — ფხხხ! — გამეცინა ძალაუნებურად. — ალბათ ხუმრობით, — რასაკვირველია დააბრუნებენ.  
 — რას დააბრუნებენ, ტანისამოსიც გაუყოლებით.  
 — იხუმრებდენ...  
 — კაცო, ხომ არ გაგიყდი, ხუმრობა კი არა შტატების შემცირებაში მოეყვედი...  
 — ხა, ხა, ხა! — წამსკდა სიცილი, — ხუმრობით, ჩემო პაქიო, ხუმრობით...

ველარ მოითმინა და თითონაც სიცილი წასკდა.  
 მეორე დღეს, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ჩემი ერთად-ერთი ოთახის კარები ღია დამიხვდა. გულგახეთქილმა შევირბინე შიგ და ვაი იმ შეხედვას... პაქიო, თავის მეორე ცოლით, ვაჟით და სიდღარით ჩემს ოთახში მოკალათებულიყო.  
 — რაშია საქმე? — გაჯავრებით შევეკითხე.  
 — გადმოვედი შენთან, ჩემო ოთახი პირველმა ცოლმა და მისა დედ-მამამ წაპართო, ახლა შენ შემოგეკედღეთ... ხუმრობით, ოღონდ, ხუმრობით...

## კედლის გაზეთ

შურ. „ბარბაროზი“-ს რედაქციი ახალბაზრდა მხატვრებს, რომლებს დეზულოგენ ადგილობრივ კედლ მოწოდებული სურათები (კარადაცხით) გონივრად მიეცემათ ჩნსურათის უინაარსი უნდა ზამ უცხოეთისას.  
 სურათის უნდა ჰქონდეს: სათარ(ი).

რედაქციას უფლება აქვს უმ...

— დიას, თქვენ სტუმართ მოყვარობას ვენდეთ! — გაიღმა პაქიოს მეუღლე.

— არც ისე გწყენიათ ვგონებ ჩემი მოსვლა! — შემომიღრია პაქიოს სიდღარმა (ქვრივია) და ელაში თვალი ჩამიქნია. — მიდი ბებიო. ბიძი-ასთან და მოკოლადს გიყიდის, — უთხრა მან შელიშვილს, 18 წლის „ბავშს“, რომელსაც ჩემი წიგნები გადმოელაგებია, კარგი ყდები მოეგლიჯა, ჩემს ლოგინზე ვასულიყო ტალახიანი წაღებით და კედლზე აკრავდა ყდებს.

— აბა სადილი შენ იცი, ხომ უმუშეუარი ვარ... ერთ ნახევარ წელს შეგვიანხე და მერე ვიშოვი ალბათ ოთახს! — სიამოვნებით იფშენებდა ხელებს ჩემი ახალი და მოულოდნელი მღვმური და „სასუმარო“ ამბებს მეკითხებოდა.

ასე იცის თურმე ზოგიერთმა ხუმარა კაცმა.

აღლარ — აღლარსან.

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

დღეს, გამგეობის წევრი, მიხო ბრანწი სამსახურში არ წასულა. ის თავის ბინაზე უჯდა მაგიდას და სწერდა მოხსენებას წარმოების მდგომარეობის შესახებ.

ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. თუმცა ციფრები უკვე ორი თვის უკან იყო გამოყენილი, ზოგი გაბედულად ჩაბოტაცებული ჰქონდა, ზოგიც მცირე ყოყმანით მარჯვენაგან თითიდან ამოწოვილი, მაგრამ სხდომისათვის ეს სულ ერთი იყო. სხდომა რომ იმის გამორკვევას შეუდგეს, როგორ არის გამოანგარიშებული ეს ციფრები, მაშინ ის სხდომა კი არ იქნება, არამედ რევიზია.

ყველას თავისებურად უნდა გამასპინძლებდა. ყველას თავის გემოვნება აქვს. ზოგს ღვედელი მოსწონს და ზოგს კიდევ ფოფოლია.

დამწვინებული ასეთ აზრებით გამგეობის წევრი, მიხო ბრანწი, გაშალვებით სწერდა:

„მიუხედავად იმ მოკლე დროისა, რომელიც ხელი გვქონდა, მაინც ბევრი რამ იქნა გაკეთებული. არ გვზონია, რომ მეტრს გაკეთება ყოფილიყო შესაძლებელი, რადგან პირობები, რომელშიაც გვიხდებოდა მუშაობა, არ იყო მაინცა და მაინც სახარბიელო. პირველი რასაც მივაქციეთ ყურადღება, ეს იყო ამ არა საშუარ პირობათა მიზეზების გამორკვევა და მოსპობა. არ იქნება კვებნა, თუ ვიტყვი, რომ ეს მიზეზები ჩვენ აღმოვაჩინეთ და ძირშივე აღმოვფხარით...“

მიხო ბრანწი შეჩერდა და სიამოვნებით გადაიკითხა დაწერილი. უკეთესად დაწყება შეუძლებელი იყო. კარგად დაწყება კი ბევრ რამეს ნიშნავს. როცა სხდომა დაიწყო, რაც გინდა ის მიაწოდე, ყველაფერს მოინებებს.

მიხო ის იყო შეწყვეტილ წერის გაგრძელებას აპირებდა, რომ უეცრად მეზობლისას როიალი ახმაურდა.

მიხო უსიამოვნოდ შეჩერდა.

— დაიწყო... განგებ უკრავს... იცის, რომ შინ ვარ...

მიხომ კიდევ გადააკითხა დაწერილი და უკანასკნელი ორი სიტყვას ორჯერ გაუსვა ხახი.

როიალი განაგრძობდა ხმაურს.

ვის შეუძლია თქვას, რომ როიალი არასასიამოვნო მუსიკალური ინსტრუმენტია. მაგრამ როიალი. რომელიც მეზობლისას დგას, ეს უკვე სხვა ჯიშის როიალია. ასეთი როიალი, როდესაც თქვენ შინ ხართ, მხოლოდ გამებს უკრავს, უკრავს მანამ, სანამ არ მიატოვებთ ყველაფერს, ძილს, ჭამას, მუშაობას და ქუჩაში არ გამოვიარდებით.

ეს ინსტრუმენტი სდუმს მხოლოდ მაშინ, როცა დანამდვილებით იცის, რომ მეზობლად შინ არავის არის.

ერთმა კაცმა, რომელიც მეზობლის როიალმა ჩამოახშო და ჩამოაღწია, ასეთ ხერხს მიმართა. დაიწყებოდა თუ არა მუსიკა, ის ხმაურით გავიდოდა კარში, ვითომ მივდევარო, და ჩუმად, ფეხაკრეფით შემოიპარებოდა უკან. ხერხი მუდამ სჭრიდა. ამ ხერხის წყალობით მან 45 წლამდე გასძლო და ბედნიერად თვლიდა თავს. ვინ იცის, შეიძლება კიდევ ერთი ამდენი ეცხოვრა, რომ ერთ ღამეს თავისივე ბინაში შეპარვის დროს მეზოვეს არ შეემჩნია და კომბალი არ ედრეზა თავში. ქურდი გონებოდა. ერთი კვირის წვალის შემდეგ საფლავზე წაასვენეს მუსიკით, და კიდევ ერთი კვირის შემდეგ, როიალზე დამკვრელი მეზობლის ქალიშვილი გათხოვდა და როიალიც თან წაიღო მხოვეად.

გამგეობის წევრი მიხო ბრანწი, გაბრაზებული დადიოდა ოთახში. მოხსენება ერთი სტრიქონითაც არ მიიწვევდა წინ.

— ყახიდათ უკრავს... ჯავრს იყრის, რომ სეკრეტარულად არ მივიღე.

ბოლოს მიხომ მოიკრიფა ძალონე და ისევ მაგიდას მიუჯდა.

„ამ მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, რამაც თითქმის ერთი წელი გასტანა, შენიშნულ იქნა კიდევ ერთი გარემოება, რასაც, თუ დროზე არ იქნებოდა მიღებული ზომები, შეეძლო მთლად შეებრუნებია საქმის მსვლელობა, რადგან როგორც ამას ნიხოზლის როიალი ირწმუნებდა, გაკები პირველ მოთხოვნის საგანია გლეხებისათვისა მხოლოდ რაც შეეხება ამ რულებს, იმას უარი ეთქვა, რადგან იგი თუმცა ახალგაზრდა და ლამაზიც, მაგრამ 70 პროცენტადაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს და როგორც ხმები დადის ქმარგაყრილიც უნდა იყოს... საერთოდ ბაზრის კონუნ ტურა ისეთი იყო, რომ...“

მიხო თმაში ხელბრავებული წამოვარდა ზეზე, მოხსენება იღუპებოდა.

უეცრად თითქოს რაღაც გარდაწყვიტაო, შუა კარებზე დააკაუნა და ტეხილი ხმით გასძახა:


— რა მშენებარად უკრავთ... მუშაობას რომ არ მიშაღიდე, გერწმუნეთ ბედნიერი ვიქნებოდი დღე და ღამე მესმინა თქვენი როიალისათვის... კმარა ნულარ მიჯავრდებით... სარეკომენდაციო წერილს მოგცემთ... და თუ თქვენ ეხლავ წაიღებთ მას...

## „აღვილი საქმე“



— კაცო, რა დამართა მაგ შენს ცხვირს—განზე რომ მოღრეცილა?  
— ცოლი წამეჩხუბა, მუშტი გამართყა სახეში.  
— რაღა მეშველება აწი? როგორ უნდა გაისწორო?  
— ეს ადვილ საქმეა—ხვალ მეორე მხრიდან გაგართყამს და ისევ გასწორდება.

# ს ა ს ა ე ა რ თ ლ ო ზ ი



**მოსამართლე (მოწამეს):**—ვეითხარით როგორ იყო საქმე, თქვენ ხო მოწმე იყავით ამ ჩხუბისა?  
**მწამალი:**—კი ვიყავი მანამ, ხანამ მაგათი მუშტები ცხვირპირში მომხვდებოდა... შემდეგ კი აღარაფერი მახსოვს—თავატებული იქვე დავეცი უგრძობოდ.

ხმაურობა შესუსდა. მიხო ბარათის წერას შეუდგა.  
 „აჰხ. თედო, ეს ქალი შენთან სამსახურის თაობაზე მოვი. დღესვე დაანიშნინე ჩემს მდივნად. ჩემს მოსვლამდის მაქ იყოს, თორემ მოხსენება დალოებული იქნება.“  
**შენი მიხო.**

მიხომ ჩადო ბარათი კონვერტში, დაბეჭდა, დააწერა მისამართი და კარებს ქვეშ გააძვირინა.  
 შეზობელ ოთახში ერთხანს ხმაურობა იყო. შემდეგ ყველაფერი მიწყდა.

— სულ ერთი არაა, ქმარგაყრილია თუ ქმარიანი... ახალგაზრდა ხომ არის!—ჩაილაპარაკა მიხომ და მუშაობას შეუდგა. ამოშალა მოხსენებიდან უქნასენელი ხუთი სტრიქონი და განაჯიჭო.

„დროზე მიღებულ ზომებით ეს დაბრკოლებაც დაძლეულ იქნა და ამის შემდეგ უკვე აღარაფერი უშლიდა ხელს, რომ წარმოება გიგანტიურ ნაბიჯებით წასულიყო წინ. ციფრებით ეს წაწყვეა გამოიხატება შემდეგში: 267 პროცენტით წარსულ წელთან შედარებით, 153 პროც. გეგმის მიერ ნავარაუდევ რიცხვისა და 147 პროც. 1914 წელთან შედარებით.“

ამის შემდეგ მოხსენება გაქანებულ ცხენივით წავიდა წინ. წინადადებები და სიტყვები თავისთვის მოდიოდნენ. რაც არ მოდიოდა, ასეთები ძველ მოხსენებებში და გაზეთებში მზამზარეულად იყო. საქირო იყო მხოლოდ მათი მონტაჟი. ამაში კი მიხო არც ერთ კინო-რეჟისორს არ ჩამოუვარდებოდა.

უკვე სბდომაზე გამგზავრების დრო ახლოვდებოდა, როდესაც მიხო ბრანწში თავის მოხსენებას ასეთი დასკვნა გაუკეთა:

„ძირშივე ჩაკვალთ საქმის გაქინაურება, ბიუროკრატიაში და პროტექციონიზში. განსაკუთრებით ყურადღება მიუქცევით უქნასენელს, რომელსაც მაგრად ჰქონდა გაღწეული ფესვი ასეთ თავდაუდებელ მუშაობის წყალობით წარმოება დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ

უკეთესი არ იქნება. მხოლოდ ეხლანდელ გამგეობას შეეძლო ასე წარბეჭდვით წაეყვანა საქმე და არავითარი საბუთი არ გვაქვს, რომ მომავალშიც ასევე წარმატებით არ წაიყვანს. რაც შეეხება უქნასენელად გარდაწვეტილ შტატების 25 პროც. შემოკლებას, უნდა გულახდილად ითქვას, რომ ეს დაე უპავეს წარმოებას. რადგან თავის ადგილას ყველა საქიროა და ერთი მათგანის საქმიდან მოწყვეტა წარუშლელ დაღს დასტოვებს სამუშაოდ.“

ესე გაათავა მიხომ თავისი მოხსენება. მოიწმინდა ოფლი, გადაიკითხა თავიდან ნაწერი, შეასწორა ზოგიერთი სიტყვები, დაკაჟა, ჩადო პროტეფელში და უწყაშ ბინაკენ გაქროლდა ეტლით.

**პარკულად თედოს შეხვდა.**  
 — რა ჰქენით... ჩანიშნეთ ის ქალი? — კი...აი. ზის კიდევ... ჩაიკინა თედომ.  
 მღიუნა ადგილას იჯდა მოხუცი ქალი და დარცხევით უტყურდა გაშტერებულ მიხოს.

— გამდლობთ მიხაილ პეტროვიჩს! მე უკვე იმედი აღარ მქონდა, რომ სამუშაოს ვიშოვიდი... შეიძლება მიცნობთ, მე მარგოს დეიდა ვარ... მარგო, ერთი კვირაა რაც მსახურობს...

გამგეობის წევრი კაბინეტში შეიკეტა. იმ დღეს სბდომა აღარ შემდგარა, რადგან მომხსენებელი ცუდად გრძნობდა თავს.

მხოლოდ მეორე დღეს შესძლო მიხომ თავის მოხსენების გაკეთება, რომელიც ახალ მდივნის ერთი ბრაზით გადახედვის შემდეგ ასე დაასრულა:

— რაც შეეხება შტატის 20 პროცენტით შემოკლებას, უნდა გულახდილად ითქვას, რომ ეს უმაღლეს წერილობდელ აიყვანს ჩვენს უწყებას, რადგან ჩვენთან კიდევ ბევრია ისეთები, რომლებიც სხვადასხვა ხრიკებით შემოძვირენ აქ.

ყველამ ილფითაიანებით დაუკრა მომხსენებელს ტაში. მხოლოდ მდივანი იჯდა მოწყენილი...

სინემატო...

# ჯოჯოხეთზე უარესი

ტელეფონის წკრიალი გაისმა რედაქციაში.  
 — გისმენო!— ჩასახა მიღწეა ტარტაროზმა.— ჰო, მე ვარ ტარტაროზი... რაო? გიორგი? რკინის გზის სამმართველოდან შელაპარაკები?... მერე?... ხა-ხა-ხა-ხა... კარგი, კარგი... ესავე მოვალ.. არა, ავტომობილი არ მინდა. მენსაით ავტოთი არ დავეიწრობ.. მოვალ, მოვალ.  
 ცოტა ხნის შემდეგ ტარტაროზი რკ. გზის სამმართველოში იყო თავმჯდომარის მოადგილესთან.  
 — შენი ავტოთი ნახე, თუ აქ შენს ჯოჯოხეთზე უფრო უარესი ჯოჯოხეთი არ არის!— ეუბნებოდა ტარტაროზს გიორგი.

სიტყვა არც კი გაეთაყვინა, რომ ვილაყამ კარები გააღო და შიგ შემოვიდა.

**თავმჯდომარე. რა გნებათ?**  
 პირგ. მთხოვნ.; მე თქვენთან გამომაგზავნა დავით ნაცნობაშვილმა. ხომ იცნობთ მას?

**თავმჯდ. მოადგ.:** ჰო, როგორ არა, — ვიცნობ და პატრებსაც ვცემ.

**პირველი მთხოვნ.:** ჰო-და იმან გამომაგზავნა თქვენთან... მეც ძველი რევოლუციონერი ვარ. ბევრი რამ გამიკეთებია რევოლუციისათვის. ცხრაას სუთში სოციალისტები რომ ფურცლებს ავრცელებდნენ, მე რამდენიმე წამიკითხავს... ერთი სიტყვით ბევრი რამე გამიკეთებია...  
**თავმჯდ. მოადგ.:** კარგი, მაგრამ რა გნებას თქვენ ეხლა?

**პირგ. მთხოვნ.:** რამდენ სოციალისტებს ვიცნობდი. მაგრამ ერთიც არ დამიბეზღებია მთავრობასთან.

**თავმჯდ. მოადგ.:** — ბრძანეთ!

**პირგ. მთხოვნ.:** ცხრაას სუთში მიტინგები, რომ იმართებოდა, მე რამდენიმეს დავესწარი. ჩემს ოჯახში ბევრ დევნილს შეუფარებია თავი და, წარმოდგინეთ თქვენს, დამეც გაუთვია. მე იმათ ახლაც ბევრს ვიცნობ. თუ გნებათ, სათითაოდ ჩამოგივლით...

**თავმჯდ. მოადგ.:** — რა საქროთა; მჯერა. კარგი კაცი ყოფილხართ, მაგრამ მაინც გვითხარით რა გნებათ: სამსახური, სამუშაო, ავანსი, გზის ბილეთი, ვაგონი თუ რა?

**პირგ. მთხოვნ.:** ესენი ყველაფერი კი მინდა, მაგრამ უალავოთ ვარ და თუ რაიმე სამსახურს მომიცემთ, დიდი ძაღლობელი ვიქნებით, როგორც მე, ისე ის, ვინც თქვენთან გამომაგზავნა, ე.ი. დავით ნაცნობაშვილი. დიდი ალბათი არ მინდა! რამე უბრალო, რომელიც თქვენი ნება იყოს. (ამ დროს კარებში თავს შემოპყრდნენ მეორე მთხოვნელი).

**მეორე მთხოვნ.:** შეიძლება შემოსვლა?

**თავმჯდ. მოადგილე:** — მობრძანდით. (ეუბნება პირველ მთხოვნელს): არაფერი ალაგი არა მაქვს; ვერაფერს ვერ მოგცემთ; ძალიანს ეწუხება, მაგრამ რა გაეწყობა.

**პირველი მთხოვნელი:** მე ძველი სოციალისტი ვარ, ძველი რევოლუციონერი; გაჭირვებული, ცოლ-შვილიანი კაცი ვარ...

**თავმჯდ. მოადგ. (მეორეს):** — თქვენ რა გნებათ?

**მეორე მთხ.:** თქვენი სიტყვებით.

**თავმჯდ. მოადგ.:** — გემდლომ, რომ ამ სურვილის გამო ისაცხადებოდ აქ მობრძანებულხართ, მაგრამ მაინც ჩრისთვის გასჯიხართ?

**მეორე მთხოვნელი:** მე ღარიბ კაცი ვარ; ქონება არაფერი მაქვს. ცოლ-შვილი მყავს სარჩენი.. რამე უბრალო ალაგს გასხოვთ.

**თავმჯდ. მოადგ.:** — სამწუხაროდ პრაქტიკული ადგილი არა მაქვს.

**პირველი მთხოვნელი:** მე რას გეტყვით?

**თავმჯდ. მოადგ.:** — აკი ვითხარით — ვერაფერი ადგილს მოგცემთ — შეთქი (პირველი მთხოვნელი გაჯავრებული გადის. შემოდის რიხით მესამე).

**მესამე მთხოვნელი:** გამარჯობა! როგორ ხარ? ცოლ-შვილი ხომ კარგად გყავს? (ხელს ართმევს, როგორც ახლობელ ნაცნობს).

**თავმჯდ. მოადგ. (ცივად):** არა მიშავს! ცოლ-შვილიც გენარჩანდა მყავს.

**მესამე მთხოვნ.:** გონი ვერ მიცანით!

**თავმჯდ. მოადგ.:** — რალაც არ მაგონდებით!

**მესამე მთხოვნელი:** როგორ არა, კაცო! — შენ რომ გაგაგზავნეს ციხირში, მაშინ რამდენი ვიღარდეთ და ვიტყვირეთ.

**თავმჯდ. მოადგ.:** — რატომ ჰქენით მერე მაგი? მაგრამ თქვენ რა გნებათ ეხლა?

**მესამე მთხოვნელი (აძლეეს წერილს):** — წაიკითხეთ რა სწერია.

**თავმჯდ. მოადგ. (წერილის წაკითხვის შემდეგ):** — რა ექნა, ძალიან მოგებათრები თქვენც და ამ წერილის დამწერსაც, მაგრამ სამუშაოს მოცემა არ შემოძლია.

**მესამე მთხოვნელი:** რატომ?

**თავმჯდომ. მოადგილე:** — იმიტომ, რომ არა გეაქვს!

**მესამე მთხოვნელი:** მაშ რა ექნა მე?

**თავმჯდ. მოადგილე:** — თქვენი ნება!

**მესამე მთხოვნელი:** რაც ჩემი ნებაა ის რომ ექნა, დამხერებენ!

**თავმჯდ. მოადგ.:** — თუ კი ეს იცით მაშ ნუ იხამთ.

**მესამე მთხოვნელი (გულმოსული):** — დამიწერეთ წერილზე, რომ არაფერი ყურადღებას აქცევთ, და ვუჩვენებ იმას, ვინც გამომაგზავნა.

**თავმჯდომ. მოადგ.:** — არაფერი წარწერა არ უნდა, ისეც დაეჯერებს, — და თუ არ დაეჯერებს, თქვენ ხომ გაჯერათ, რომ ვერაფერი ალაგს ვერ გაძლევეთ (მესამე მთხოვნელი გამოიფეხს წერილს, გაბრაზებული მიდის და კარებს მაგრად გაიხურებს).

**მეორე მთხოვნ. (დაიწყებს ისე):** — მე შესანახი ბევრი მყავს. რევოლუციონერი კაცი ვარ... რომ არ მიჭირდეს, რა ღმერთი გამიწყებოდა, თქვენ შეგაწუხებდით. რაც გნებათ და რაზედაც გნებათ, რამდენიც გნებათ იძლევი მაშუშავთ და რაც გნებათ ის მომიცით!! (შემოდის მეოთხე).

**მეოთხე:** საქმე იმაშია, რომ თქვენთან სათხოვარი საქმე მაქვს. ამდენხანს პროვინციაში ვმსახურობდი და ეხლა იქ ცხოვრება აღარ უნდა ჩემს ცოლ-შვილს. ამიტომ გთხოვთ ცენტრში გადმომიყვანოთ. შეიღებს უნდა ვისწავლო; ჩემთვის გადმოსვლა აუცილებელია.

**თავმჯდომარის მოადგ.:** — მიმართეთ თქვენს პირდაპირ უფროსს; ანდა პროფკავშირს; გადმოყვანა მათი საქმეა.

**მეოთხე:** განა ერთჯერ და ორჯერ მიემართე, მაგრამ ყოველთვის უარი მითხრეს. (შემოდის ორი მთხოვნელი ერთად)

**ორივე:** — თუ შეიძლება მოგვისმინეთ, საქმე გეაქვს.

**თავმჯდომარ. მოადგ.:** — იცი, რომ საქმე გექნებათ, ჩემი ნახვა არ მოგენატრებოდათ, მაგრამ ცოტა მოითმინეთ; ხომ ხედავთ მეც საქმე მაქვს.

**ორივე:** — ჩვენ მოთმინა არ შეგვიძლიათ; ჩამოსვლებს ვართ და გვეჩქარება.

**თავმჯდომ. მოადგ.:** — აბა მაშინ მიბრძანდით! (ორივენი გაჯავრებულნი გადიან. შემოდის თანამშრომელი).

**თანამშრ.:** — ძალიან მიჭირს; — ცოლ-შვილი ავად მყავს და ერთი ათი თუმანი მომიცით ავანსად და გადამხადევენით თვეში თითო თუმანი.

**თავმჯდომ. მოადგ.:** — არ შემოძლია; ავანსის გაცემა აკრძალულია.

**თანამშრომელი:** ეს მეც ვიცი, მაგრამ ჩემი საქმე სხვაა. (ამ დროს შემოდის „უშუშევი“)

**„უშუშევი“:** — მე უშუშევი ვარ; შორიდან ვარ ჩამოსული; გზის ბილეთი უნდა მომიცეთ და წავალ აქედან აქ მშიერი ვარ; დაიქცეს აქაურობა.

**თავმჯდ. მოადგ.:** — თქვენ წინეთ სად მუშაობდით? ან რა საქმეს ეძებთ?

**„უშუშევი“:** — მე გზის ბილეთი მქონდა, მაგრამ ბატარებელში გამჭურდეს და ბილეთიც თან წაიღეს.

თავმჯდ. მოადგილე:—სად გქონდათ ბილეთი შენასული?

„უმუშევარი“:—ჩემოდანში და ჩემოდანი თავს ქვეშ თავმჯდ. მოადგ.:—კიდევ კარგი, რომ თავი არ მოგვარეს... კი მაგრამ ბილეთს ჩამადანში რა უნდოდა?!

„უმუშევარი“:—აბა რა ვიცი მე!  
თავმჯდ. მოადგ.:—არც შე ვიცი, თქვენი საქმე. ბილეთი: ვერ მოგცემ (შემოვარდება ქვრივი დედაკაცი და სტირის).

ქვრივი:—ქვრივი ვარ?  
თავმჯდ.:—რა გენბავთ?  
ქვრივი:—სოფლიდან ჩამოვიტანე რაღაცები. ამიწონეს ხარგი და ათი მანეთით დამაჯარიმეს. ფული არ მქონდა და ვერ მივეცი. ეხლა მილოცვილი მოვიდა და საბანი ამიწერა.

თავმჯდ. მოადგ.:—როდის დაგაჯარიმეს?  
ქვრივი:—ორი წლის წინეთ. (თავმჯდომარეს მოადგილე ქახალზე წააწერს: „მოსწენით ჯარიმა“). არ გადამახდევინებენ?

თავმჯდ. მოადგ.:—არა. (ქვრივი მდლობას უხდის და გადის. ამ დროს უკვე შეუღმწველად შემოსული მსუქანი შოქალაქე მიმართავს).

მსუქ. მოქ.:—ბატონო, მე საწყალი კაცი ვარ. სახლისათვის, ოჯახისთვის რაღაცები ჩამოვიტანე; დამიჭირეს ვაგეზალში, ამიწონეს ტყეები. ბატონო, და კაი ხუთმეტრ მანეთით დამშტრაფეს; შე გენაცვალე მომიხსენი შტრაფი.

თავმჯდ. მოადგ.:—კარგი საწყალი ყოფილხარ, თუ ოჯახის საქირობისათვის ტყეებით მოგაქვს ღვინო მიბრძანდით; ჯარიმის პატიება არ შეიძლება!

მსუქ. მოქ.:—იმ ქალს თუ აპატიეთ, მე რა ვარ? ერთი თვის შეიძლება და მეორესთვის არა? ნათლიმამობას და პრეტქეცას ადგილი არ უხდა შქონდეს სოციალიზმის დროს. (გადის).

„გაჯავრებული“: (შემოდის ხილში ქალაღლით):—ჰა, ბატონო, ჰა! აწი ხომ აღარაფერ გქვებდა სალაპარაკო? (აღლეს აღმასრულებელ ფურცელს) ორი ათასი მანეთი. მეკუთუნის ზედმეტი საათებისათვის.

თავმჯდ. მოადგილე:—შე კაი, კაცო, ვის გაუგონია ორი ათასი მანეთი ზედმეტ საათებისათვის? არ მოგცემ არა გზით! თქვენ, ალბად, სასამართლო შეცდომაში შეიყვანეთ!

„გაჯავრებული“:—პროკურორთან წაველ და მაშის ნახეთ, თუ არ მომცემთ!

თავმჯდ. მოადგ.:—შენ რომ არ წახვიდე, ჩვენ გაგაგზავნიან ასეთი მოქმედებისათვის (შემოდის მდივანი).

მდივანი:—ექვს საათზე სტირის შტატების შემცირების შესახებ და უნდა დაგვესწროთ!

თავმჯდ. მოადგ.:—კარგი. (მდივანი გადის. შემოდის რკინისგული).

რკინისგული:—ბატონო, სათი წელიწადია ბინა არა მხაქვს და როგორმე უნდა მიშოვოთ.

თავმჯდ. მოადგ.:—ხომ არ ხუმრობ, კაცო? სადაურა საბინაო განყოფილება მე მხაზეთ! (შემოდის უცნობი მოქალაქე).

უც. მოქ.:—საავადმყოფოში მიცვალბული მყავს და ვაგონი უნდა დამიბოთ.

თავმჯდ. მოადგ.:—კაცო, მკვდრისათვის კი არა პუტის მოსატანად გვიჭირს ვაგონების შოვნა დასაფლავეთ ტელისში. აკრძალულია ვაგონის უფასოთ მიცემა.

უც. მოქ.:—ვიცი, მაგრამ უნდა შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში.

თავმჯდ. მოადგ.:—რა ვქნა, ჩემო კარგო, შევედევოთ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ ისევე გამოჯივარ, რადგან თავისუფალი ვაგონი არა გვაქვს. ფასიც რომ გადაიხადოთ, საჭიროა ნებართვა. (შემოდის ისევ მდივანი).

მდივანი:—ექვს საათზე გამგეობის სწდომა შესდგება და უკლა მობრძანდეთ.

თავმჯდ. მოადგ.:—კაცო, ამ 'ალამო' მგონი ექვსი საათი ერთი იქნება და ერთსადამივე დროს რამდენ სწდომა უნდა დაგვესწრო? (შემოდის შრომის ინსპიკტორი ექვსის თანხლებით).

შრ. ინსპექ.:—ეს რა ამბავია—ამოდენა ხალხი ერთ ოთახში? ფორტუჩკაც არა აქვს! ეს შეუძლებელია! გააკეთებინეთ საჩქაროდ.

თავმჯდ. მოადგ.:—კაცო, თქვენ მოცლილი ხომ არ ხ.ა.თ.!

ექიმი:—შრომის კანონში ასე სწერია. ლენინმა ასე ბრძანა (გადიან).

თავმჯდ. მოადგ. (რეკს. შემოდის მდივანი):—ეხლავე დააწერე კარგზე, რომ დაუთითხავად შემოსვლა აკრძალუია.

მდივანი:—კი მაგრამ მუშკორი გახეთში გამოგქიმავე!

თავმჯდ. მოადგ.:—რაღ უნდა ის ქანას! ამაზე უარესს ხომ მინც არ დაგვემართება საეკიეთია, ნამდვილი საეკიეთი (ასაო წესილი ჩაეშვება საეარძელში).

გ. ჩ.

### ალეასკოუმის თავმჯდომარე

ჩახუნდარიძე თემდამსკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. ახალი ცოცხი ჯარასავით დატრიალდა. აქ სკოლის საქმეს მოჰკიდა ხელი, იქ კოოპერატივს, გლეხკომს და ქონ-სამკითხველს...

— დამაცადეთ ორიოდე თვეს და ჩვენი სოფელი გალაქს დაეადაროო, იძახოდა ჩახუნდარიძე.

ერთ დღეს ჩახუნდარიძე მაზრის ცენტრიდან გაჯავრებული დაბრუნდა. იმ საღამოსვე მოიწვია საბჭოს სწდომა, რომელზედაც გარეშე გლეხობაც დაესწრო.

— ამხანაგებო, დღეს დავბრუნდი მაზრიდან და გულისტკივლით უნდა აღვნიშნო, რომ ეს სენი იქ ფართოდ არის გავრცელებული. ერთგან შევედივარ, ვუტყერ—განყოფილების გამეგ ახალგაზრდა ქალთან გახუტის კითხულობს, საჩქარო საქმე მაქვს და ისენი კი კარებს მიტეტენ. დიდხანს იკითხეს. როცა სამი საათი შესრულდა, მითხრეს—მუშაობა გათავებულაო. მეორე ალგას შევედივარ, და გამეგ საუვედურით მხედება, — მოხოვენელების მიღება პირველი საათიდან იწყებოო. და განა ერთი და ორი ამისთანა შემთხვევა! ნახევარი საათის საქმე არა მქონია სულ და, ორი დღე მომიხდა დარჩენა...

უკაცრავად ამხანაგო, წამოდგა. ერთი საბჭოს წევრი, არც ჩვენს თემშია საქმე კარგად!

— დაასახელეთ თუნდა ერთი შემთხვევა, — გაცხარდა ჩახუნდარიძე.

— აი, თუნდა წარსულ ორშაბათს, გარეთუნელები რომ მოვიდნენ ტყის საქმეზე და შენ სახლში დააბრუნე, კრება მაქვსო, ნამდვილად კი ნათლობაში წახვედიო...

— ტყუილია. — დაიბნა ჩახუნდარიძე, — მართალია, უკან დავბრუნე, მაგრამ მაშ როგორ გინდათ, ხალხი არ უნდა შეეაჩივოთ წესრიგს?! ყველამ უნდა ვაგოს, რომ დაწესებულებები სამ საათამდე მუშაობენ...

ჩახუნდარიძემ საქმე გამოასწორა, მაგრამ ახლა მეორე წამოდგა.

— გუშინწინ ოცი ვერსიდან გაღმა სოფლიდან მოსული გლეხი გააბრუნე, ბეჭედი მდივანმა წაიღო, მე კიდევ არა მცალიანო...

— ეგ რა ვუყოთ, ისეე დაიბნა, ჩახუნდარიძე, ბეჭედოთ თუ არ დაარტყი, ქალაქდ ისე რა ძალა აქვს?! მაშ მდივანი რალს აკეთებს, ბეჭედი რისთვის არის მოგონილი სიტყვა სიტყვას ვეღარ ვადაბა...

— ძირს... ძიირს...! დაიძახეს გლეხებმა.

— უქნარა, მცონარა... მიყოლეს მეორე მხრიდან. ჩახუნდარიძე გაწითლდა, ენა მუცელში ჩაუვარდა და გაიპარა...

ქეკელი.

\*) ვის რად უნდოდა!

# „კეპრთაყვანის ტემა“



ჩამოსული მოქალაქე (ქუთაისელ მეტელს):—შენი კირიბე, ცოტა დაძიევილი და წაძიეყავი ბიბახე!  
 შპსტლმ:—ნაკლებ არ იქნება,—სიმინდი ძვირია... ხუთი მანეთი შენთან, თორემ სხვას მეტს გადავახდევინებ!



## კოწიხას სიმღერა

(ნინოშვილის თემა)

თუმცა გამსახლში ეზივარ,  
 მაგრამ მაინც ვმღერო.  
 რა გინდ მიყივიონ,  
 რას დამაკლებს მტერი.  
 როცა ვარდ ვიყავი,  
 ყველას ჰქონდა რიდი.  
 საქმეს მავალეებდენ,  
 კაცი ვიყავ დიდი.  
 ნინოშვილის თემა  
 ჩემს ხელთ იყო სრულად.  
 ყიდეც გამოვანსლე  
 რაც გაანჩა ფულად.  
 აქ რაც მომბაზრანეს  
 წელი ვადარს მგონი;  
 ლაშის შეპომადნეს  
 შეძენილი ქონი.

მახსოვს მე დავარქვი  
 ჩვენს თემს ნინოშვილი  
 ამით „გავიმასწანე“  
 საქმე მეტად მსხვილი.  
 მივაშურე თბილისს  
 დიდი არძით ხელში;  
 თავი ამოვიყევი  
 მყისვე სასახლეში.

შეეწიეთ ცოტა—  
 ვსთხოვდი იქ მე ყველას,  
 ნინოშვილის სოფელს  
 ბულხაურს და ყელას.  
 (გულში ვიცინოდი,  
 რომ ეჩმხავიდი ასეთს,  
 იგი ხომ მეძკვიდრეთ  
 ეკუთვნოდა ჩანჩეთს!).  
 —უნდა ითქვას მეტად  
 ღარიბია იგი;  
 რომ ეიზრუნოთ მასზედ  
 წესია და რიგი.—  
 და გაიღეს კიდეც  
 ჩერონცები ბლომად.  
 გულში ვფიქრობ:—ან კ  
 მზად ვარ გასაძლომად.  
 როს ეიბრუნე პირი,  
 და მოვიხმე ავტო,—  
 ეინახულე წამსვე  
 „ორიანტი“, „არტო“...  
 და გავქაფე სრულად  
 ჩერონცეც ასი, —  
 რამაც დამაცლია  
 ბოლოს სიმწრის თასი.  
 რალაც ჩემდა ბედათ

გავეიჭმეს თემა;  
 მიაწერეს საღლაც  
 შეაკვეცეს ფრთები.  
 სარდიოს და კოლა  
 ამით გაასაზრეა;  
 (მაგრამ ეამთა-ბრუნვა  
 მათაც გაამწარებს).  
 და ამაზე აქაც  
 შე ავტეხე დავა,  
 რომ ჩვენ გვეკუთვნოდა  
 მოსათლელი გავა.  
 ჩემს მხარზე იდგენ.  
 უაისო და ესე,  
 არ დასდევდენ იმას  
 მე თუ რა დავეთეს.  
 — ამ დროს მუხოლ მტერსაც  
 თურმე არ ეძინა;  
 უცნაური ხრიკით  
 აქ მიპოვა ბინა.  
 მაგრამ ეს სურვილი  
 მაინც აღმისრულდა.  
 ნინოშვილის თემა  
 აღდგა, დავებრუნდა  
 მამ, რა ვუყოთ მერე  
 დღეს თუ აქა ვმღერო;  
 ყველას ავზღავ, ვფიცავ,  
 თუ კი გამოვძეგრო.

ჩახუნდა...იძე.

# „გ ე მ ლ ა ვ ე რ ი“

— გამარჯვება ბასე.  
 — გამარჯობა, შენ ნუ მომიკედები, მითამ ჩალ-  
 ცან-ხაში დამიმარცხებია ჩინეთში, — ანულის დრო გა-  
 ვიდა და ერთი კვლი მიწა არსადა მაქვს გაჩინქნილი.  
 — მერე, შე ყურუშსალო, რატო არ შაბამ გუთანს?  
 — რო შავაბა, შარა გზას ხო არ მოვენავე ავე ?  
 ზემლავერია.. რაღაცა, სანამ სულ პრ დაპკლანავს არ შა-  
 იძლებათ.  
 — იქნება იმან წრეულს ვერ დაპლანოს, უხნავე ხო  
 არ დავრჩებით.  
 — არ იცი რო ვერ დაპკლანავს? წრეულს კი არა,  
 სანამ კარგა არ ისწავლის მიწის გოზვას... აქ უნდა დაას-  
 რულოსო კერსები, ჩვენ შიწახე...  
 — ავილოთ კაცო და ჩვენც მოვენათ...  
 — რო მოჰხნა, მერე იცი როგო უნდა მოჰხნა?  
 — როგო?  
 — ეხლა სხვანაირად უნდა თურმე. განათლებულად.  
 იოფის ლულასავით ვაიშერს ხოლმე ზემლავერი ი „ფა-  
 თარატი“ თუ რაღაცა და ერთი გორის წვერიდან მეორე  
 გორის წვერს უმისწნებს—აგრე უნდა გაატაროთ გუთა-  
 ნით—ასე გონია ჰაიროპლანი იყოს ი თორმეტულელა გუ-  
 თინეული.  
 — კაცო ვეუბნები ზემლავერს: სად გაგონილა ეგ-  
 თი ჰლანი?  
 — თუ არ გაგონილა, მე გაგავებინებთ: ეხლა ყველაშ  
 ერთი მიმართულებით უნდა ჰხნათ.  
 — რას ამბობ, კაცო: ერთი მიმართულებით მკვდრე-  
 ბიც არ მიდიან საიჭოში...  
 — საიჭოს თავი გაანებე. სააქოში ყველაფერი  
 ჰლანზე უნდა იყოს.  
 — ეი! დალოცვილო! მაში დავიჯერო შენს თაროშ  
 ჯამებდა სუ ჰლანზე აწყვილა!..  
 — ეგ რა ლაპარაკია!  
 — კაი ლაპარაკია: სუ ჯამები ხო არ გიწყვიდა თარო-  
 ში!  
 — თაროში თუ არ გაკეთდება, აქ უნდა გავაკეთოთ,  
 მიწახე.  
 — მაშ, ეხლა ავე გმორახე რო ერთი მტკაველი  
 მიწაა, იქ ჰლანი გაკეთდება? კატის ჩულსავით მიწაა სა-  
 ით უყო თავი?  
 — საითაც ეს ლულა იყურება.  
 — ეგ ხო იბრუულად ვამოვა.  
 — რას ჰქვიან იბრუული?  
 — აი, თქვენ გაკეთებულ საქმესა, შენი ჭირიმე. გინა  
 ხავს და გავიგია, რომ ნახნავს ერთი ადლი სიგძე ჰქონდეს  
 და ათასი სიგანე?  
 — როგორ?  
 — როგორ და ა ამ გორახე რო ერთი ლართხა წა-  
 რული, გარდიგარდმო უნდა მაიხნას, შენ კი აღმა-დაღმა  
 პკლანამ: თორმეტულელა ხარდაკამეჩი. შენ თავშიც აგრე  
 ტრიალებენ აზრები?!  
 — ხეპრესავით ნუ ლაპარაკობთ! გახსენით თავე  
 გლუხებმა და შეუსვით შიგ განათლება: ეხლა ჰლანზე უნ-  
 და მოჰხნათ.  
 — ეგეთი ჰლანი არ ვარგა, ამხანავო, მაგრამ მაგ  
 ჰლანვასაც რო აღარ ათავებ: ანულოზის დროც წავიდა,  
 ნულად მოხენის დროც, ან როდისღა მოვენათ, ან როდის-  
 ლა დავეთესოთ.  
 — ეგ მე არ ვიცი, როცა გვათავებ, მერე გინდა ნე-  
 ლა მახანით, გინდა ჰქახა.  
 — ვაი ჩემი ცოლ-მეილის ცოლო გეკილოს მაგ კისერზე!  
 უაზრანი.

# „თ უ ნ გ ი“

ცოცხალი სურათი

სტეხა სწარმოებს გორის მახრის ერთ დიდ სოფელში.  
 მთელი რიგი დუქნებისა საესეა ხალხით. შუა ქუჩაში დე-  
 დაკაცი მიდის და თავ-პირში იცემს, თან მოსთქვამს:  
 დედაკაცო—შაქრო, შენამც დაგმიწებია ეგ ვასაქვა-  
 ვებელი ხელები. შენ გულზე ნახოს კეკელამ მიწა. შე  
 პირუტულმა დასამარხო შენა!.. ვაიმე, ჩემო მზითვის თუნ-  
 გო... (ბავშვები და დედაკაცები აქა-იქიდან ქუჩაზე გად-  
 მოდებიან და გაკვირვებით უყურებენ).  
 ხიღონია—ქა, კეკელო, შე უბედურის შვილო, რა  
 იყო ქალო, ნიკლას ხომ არა ასტეხია რა?..  
 კეკელა—მიწამ შექამოს ჩვენი შაქრუს თავი!.. გე-  
 ნაცვალეთ, ეს რა მიყო, თქვენი ჭირიმე.. აგრემც ოხ-  
 რად დაურჩებათ წითელი სასადილოა, თუ რაღაც შავე  
 ჭირი! ჩემ ამოსავარდად ვადღეს... ეგ ოხრად დასარჩენი  
 დუქანი აგრემც ძირიან-ფესვიანად ამოვარდება აქაურა  
 კოფარატი, ბანკიც და კომისარიცა,—სულ იმათი ბრა-  
 ლია მაგის დაარსება. გენაცვალეთ, მთელი ქვეყნის გაყ-  
 რილ-გამოყრილ მიკიტნებს აქ თავი მოუყარებ  
 ტრატირივით დუქანი გამართეს და ეგ  
 არის მშრომელი ხალხის ვითომ დასაყენებელი და ია-  
 ფად პურის საქმელმ ადგილი... აი, ისემც ჩემი ცოდით  
 ამოწყვდიან და ამოიგვებიან. ქრისტიანი თუ ხარ, ამ  
 ქალაქია დღე, ხომ თქვენცა ხედავთ, თქვენი ბედნიერი  
 თვალთ, ამ ქალაქია დღე, ამ ჩვენ კაცებს მუშაობისათვის  
 თავი მოუწებებიათ და შეჩვეულ ბაზრის ძალებივით  
 სული აქ ამოსდით! წულამდი გაეწყვალდით. გენაცვალე  
 წულამდი!  
 ხიღონია—აქი ნახევარ ბოთლი ღვინის მერის და-  
 ლევა აკრძალულიაო?  
 კეკელა—აი, ისემც თავი დაუმიწდება იმ თრითიხა  
 ბიჭს! ქალო, დახლიდრათ ის დამდგარა და ისეთია, ისე-  
 თო... მოაქვს და მოაქვს ის ძირგასაზარდნი ბოთლები, —  
 და ე ჩვენი უბედური ხალხიც, მიუფა თუ არა ნაწუქანს  
 სუნი,—მოიტა-მოიტას გაიძნინან...  
 იმ დღეს თურმე ლალაღას ბიჭი ისე დათერა ისე  
 იმდენი ფული შაქამა, რომ ვერცხლის ქამარი შემოისხ-  
 სნა და გიროოდ იქ დაუტოვა... განა ეგ სამართალია?  
 ერთი დედაკაცია—აი, გენაცვალე, მეც მავან გაძაუ-  
 ბედურა...  
 კეკელა—ის მიწისაგან გამოსახვერილო, ჩვენი შაქ-  
 რუს აქ მიეჩვენა, ქალო და ამ ქალაქია დღე სულ აქ  
 აღამებს. აღარც მუშაობა, აღარც ცოლ-შვილი, აღარც  
 ოჯახი... (ტორის) ვაგზგონიათ ეს უბედურება?! დამიბო-  
 მავდეს შე თვალები. დედაჩემის სასოვრად ზანდუქში  
 ერთი პრილა თუნგი მქონდა შენახული. ისე პრივლუბ-  
 და, ისე შეიღები არ დამესოცება, როგორც კაი ოქრო  
 იმისთანა დაბატული გვერდები ჰქონდა, რომ იმი ცე-  
 რით ვერა ეძღებოდნი... (უფრო ტორის) ის თურმე წულე-  
 ლის მოუპარავენ და შალომასთან დაუგზავნებია. (თავი  
 ში წაიშენს) ვაიმე, ჩემო ლამაზო თუნგო... როგორ მიყ-  
 ვარდა, თქვენი ჭირიმე, როგორა!..  
 ხიღონია—ქა, დედაკაცო, რა გატირებს, გასწი ი შა-  
 ლომასთან და ის წითელი წვერები აგლოჯე ამა ნუ მოგ-  
 ცემს!  
 პატარა გოგო—უი, ძალო, შალომას ცოლს, რახიე-  
 ლას, გუშინ, ძმები არ დამეხოცება, ბუხრის თავზე ედგა  
 რაღაცა პრილა და სულ იმას შესცინოდა.  
 კეკელა—უი, უი, დამიდგეს თვალები... ყველას  
 მიწაში გავაცინებ, შაქრუსაც, შალომასაც და ი წითელ  
 სასადილოა, თუ რაღაცა ჯანდაბა, ახლა მართლა სულ  
 მთლად გაუწითლებ; ჩემს სისხლს იქ დავეურო ყველა  
 ფერს მთვრ-მთვრებრემ, ჩემი თუნგის დაგზავნებისათვის  
 ერთი იქ ჩავიდე! (გარბის).

ჩველებია

# რ მ ე ლ ი ა!

ყოველ კუთხეში თქვენ ნახათ მთვრალეებს,

ნახლენილობა ეტყობათ ხმაში, ერთს უხარია და ეცინება, რომ მან აჯობა მსუყველას სმაში. მთვრალია ყველა, თვით მისირეც კი დაიჯთან უნდა მას მიძინება. იქ კი ვილაცა სიზმარში არის, რაღაცას ბოდავს და იგინება,

ერთი სიდი აქვს მარტო ამ ქალაქს მეორე მხარეს გადასასვლელი. აკირა-უქმე დღეს თუ გინდა გავსლა თან უნდა გქონდეს სასმელ-საქმელი.

აქ აფთიაქი მულამ საყსია, როდის მოუწევს კაცს რიგი ნეტა?! (შიგ მოლარე ზის ისე ლამაზი, რომ ყველას უნდა იმისი კერტა).

ქვევით ბაზარში სამხარაძეა (ბეგლარა არის მისი სახელი). რიგა კაცია ის ქარხალივით, ზეირს ვერ ნახავს მისი მნახველი.

ფულის მდა აქვს ამ ჩარჩს ისეთი, (თანდათან კიდევ ისე გადიდება), რომ მან სიმინდი მანეთიანი სვიდმეტ აბაზზე მტად ვაჭაიდა

ოორდანაჲ სპეცი ეჭიმი, ქებული არის ფულის ღებამი არ დაგჯერდება სამიშანეთიანს თუ კი შეგებდება გაქირებამში.

აქ ხომ თეატრი სულაც არ არის, რაღაც სახლია თავლის მიგვარი. თუკი შიგ შედი, მაშინ მშვიდობით, არშინზე არის მტვერი ნაყარი.

ერთი თეატრი ქალაქს არ ჰქონდეს, ეს ვერაფერი მოსაწონია. თქვენ ეს ქალაქი სხვა არ გგონოსთ, ჩენი პატარა ზესტაფონია.

**ტემუნტა.**

## ლანიკ-ქუბირი

ჩვენში ამბობენ: — გვეყავს ექიმბაში; სოფელში დარბის იგი ვით რაში.

ამზიანიძე ელპიტო „წყნარი“. დოსტაქარი ის უებარი.

წამლობს ყველაფერს, ციებას, შანკირს (რომელსაც აყრის გოგირდსა ან კირს) და საემპევილოს წამლით კი ყველას მტკიცე დასტურით ჰპირდება. შველას.

გალესავს აგურს, ზალახის ძირებს, ზატის ნაბანიო აგი აპირებს,

რომ ჩაფიგონოს გლეხობას, რომა ნის შეუღლია თვით მკედრის ადგომა.

ქირას ღებულობს სორბლით და ფულით (ძუნწი არ არის ელპიტე გულით).

თუ, მაგალითად, რა ვაქვს ფარა— მასთვის სასყიდლად გოქებშიც კმარა.

შინაც ღებულობს ის პაციენტებს. სხვებთანაც მიდის (ოაქს არ იმეტებს).

ამგვარ ხელობით და მსახურა სიქს ჰყვლევს ყველას,— და თვითონ მღერის ზოდელა-დელა... ს.

**ზინდისკი ბომბ.**

## სამბრპლი

პროცინციამი სიძულვილს, არა აქვს ყიდე, საზღვარი! კანგელი ბზივი ყველას სძავს; როგორც აფთიარი საზარი.

შინც კალამი ამბორით, ამ მხარეს ეხმაურება,— არ მინდა ლოთი გრიშახა, არც ცქერა, არც ყურება.

გაცი ექიმად აღზრდილა, (თუმცაღა აღზრდა აჯლია); მის წარსულს და მის აწმყოსა შვიი ღრუბელი აკვრია.

ტარტაროზ, ჩემო ტარტაროზ, კირიმე შენი სულისა! ექიმი გველესიანი.

საშინლად გამიფულისდა. დამზედა ჭურში (ჭურია, მისი სახლი და კარია) შემოგვეთა ბარშემო ხალხი, ვითარცა კალია.

ლაიწყო „ლოცვა-კურთხევა“— გამბანა როგორც წესია! არ მოეწონა, ჟურნალში რომ იყო მასზე ლექსია.

როცა რომ ჩემზე იჯერა, „მარგალიტებით“ გულია, „ქებბათა-ქება“ შენც გიძღვნა, არ მოგეხატარა სრულიად.

ტალოა ავიარდა ტრილიოი, მისი ვადითარა სულარა! ხელხმა გამიგო დემილი— გრიშას დაუწყეს მუდარა.

და გაიფანტა ზოლებათ: ღრუბელი, შავი ნისლეზი, და წაბარბაცდა ექიმი: მუქარით, რაღაც ნიშნებით— ესე ამბავი ნამდვილი! გულში მეგს როგორც ყინული!— ვინ მოგვაშორის ნეტავი, ეს ვილაც თავგანწირული?!

**კანგელი ბზივი**

## გამოცანა

(მ რისაოვის)

ვაჭარი არის თაღლითი, ვერ ნახათ იმის მსგავსაო, პირი ორშიმოს მიუგავს, თავი კი გურულ კვასაო

ღამი წინ წამოუგდება (წიწმტით განაბერია) არშიყი არის წყვეული, ქალების ერთობ მტერია!

ერთ წელიწადში: ორ-სამჯერ, ჯგვარს იწერს ეს პირშავია, გააწყო ქალის სინსილა (სოროცად არს ერთობ ავია)

ერთმა მეუღლემ მხოლოდ-და გაუძლო ხუთი წელია, მაგრამ მოაბა თავს რქანი, დღე გაუთყნა ბნელია!

რაც ტყუავი აძრო მან ხალხსა, წელს წაუვიდა მთელათა, შერცხვენილ, იაგ-ლაფ-დასმული, ილკვეცას ლამობს ბერათა!

ან გამოცნობას, მე მგონი, ვინც კია ოდნავ ფხიანი, თუ ვინ არს ესე მოგახშე, მაგალი გრეხილ რქინი!

ეცადეთ გამოიცანით, ჩხევა ძმური ჩემია, თუ გსურთ მიიღოთ საჩუქრად ერთობ ძვირფასი პრემია.

პრემია მეტად ლამაზი და თვალწარბეცაკი პლაკატი, მარკოზ ფხალიმის სურათი, დიდ ხაჯალიას ნახატი.

**ქვე-შეხა**

## საჯანაზო

საჯანაზოში გვეწვიე, შემოიარე „ეპოში“ გამგეობის წევრს ნახავ, ვაშლილი დაღის თეძოში.

სახელად ქეია ივანე, მამალაჲ აქვს გვარია, გადაუქირე მათრახი, გასანთლული და მწარია.

თუმც მბა-ბიჭები ბევრი ჰყავს, ქურდობა დამალულია, შენის ჩამოსვლით, მშობილო, ვიქნებით მოხარულია.

„ეპოს“ კიოსკში პურს ჰყიდდა, გაქაფა ბევრი ფუთია; მოპარვის მიზნით იჯობა ჩერეონცი ოცდა ხუთია.

მაგრამ გამახალი ანაზეს შიგ იჯდა სამი წელია, რე გამოვიდა იქიდან, კვლავ გაიშიართა წელია.

ამბრეშუმის ტრესტს მიადგა და შიგ ამოჰყო თავია. (ხეტავი შიგ ვინ მოაწყო, ეს არის საკითხავია?)

ღარდულის გამგეთ დაბრძნდა, რომ ჰქონდეს მეტი ხერიო... ელოდეთ მალე იქნება თვალდანახული სერიო.

**კაბე**

# „სკვანძიანი“

საქულ ჯან, კარგია კაცმა ყველა ენა მოხარულად ხტოდეს. მე რო მცოდნოდა, ისევე შეცდომები არ გამი- გილოდა.

ამას წინად ზნაკომებმა კრასნი სტალინოვოში დამა- ტიყეს. პური როდესაც გაიხელი და ლენინის სმას შეუდ- ექით, ვილაც სხვა შემოვიდა და კარი ღია დააგდო. დაჯდა სტალინთან. მიათხოვა საღილი და შუღდა ქაშას. მე უკვე შემითამაშდა ოპოები ლენინის სმისაგან. ამ დროს ფახჯა- რაც ღია იყო. სწორე გითხრა—კარგი ნიამი მოდიოდა. ერთმა დამიხაზა:—ჩქარა კარი დახურეთ. „სკვანძიანი“ მო- დისი მეროდ სთქვა: ვიმიე, გამიცია; „სკვანძიანი“ მო- დისი.

მე წამოვხტი, ვიძრე ლევროვი და ვყვირი: — გაუშვით მოვიდეს მე არაგის მეშინიანი მაგის ში- ში ვერ გამაციებს! გააღეთ კარები შემოვიდეს ვილაც „სკვანძიანი“.

მოხდა არეუ-დარევა. მეცნენ. უნდოდათ ლევროვი წაერთმიათ, შემოვიდა სტარში მილიციონი. მას შემოჰ- ყვა ორი მილიცილი შუშტუკით პირში და ხელში ლე- ვროვებით, რუკი ვერხ მიქნა და წამომიყვანა უჩასტკაში. მებნებიახ:—„სკვანძიანი“ ვინ არის?

ვებნებია:—არ ვიცი, მილიციონჯან; ჩემი ამხანაგები იცნობენ.

მილიციონმა უბძანა მაყევანათ ჩემი ამხანაგები. მაი- ყვანეს და ჰკითხეს:—ვინ „სკვანძიანი“ უნდა მოსული- ყო? რა ამბობს ეს?

უამბეს:—კარები ღია იყო, ქარი ქროდა და ვთქვით —„სკვანძიანი“ მოდის და დაკეტე კარები—ამას „სკვან- ძიანი“ კაცი ეგონა,—ვინმე მტერი მოდისო; იძრო ლე- ვროვი და ყვიროდა:—გაუშვით, მოვიდესო... ამ დროს მო- ვიდა მილიციონები და წამაიყვანეს.

მილიციონებმა ტკბლათ გაღიხარებარეს და გამამიშ- კეს.

ამის შემდეგ, თუ კარი ღია იქნება, მეც ვამბობ: — „სკვანძიანი“ მოდის კარები დახურეთ. ჩემ ცოლსაც ერთვანში წერილს რო წერამ, უწერამ: შუშან- ჯან! კარები და ფანჯრები ღია არ დაქრეს, თორემ სკვან- ძიანი შამოა და გარცივდებიტო...

კარაპეტ სიღნაღელი.

## ა ც ა ნ ა ( გ უ რ ი ა )

არცეს, გიგოს და ნიტიფოს ამშვენებს ბესარიონი. ამ ჩარჩებს მგონი ვერ გასწმენდს ვერც სუფსა, ვერცა რიონი. გამდიდრებულან ოხრები, არ თაკილობენ ყველფასა. სულით - ხორცამდე ხალხს სკამენ, თვით იმსუქებენ კეფასა. სახალხო სახლსაც ვესტუმროთ დღითი და ღამით მტირალსა, მოუთავებელს, საბრალოს და ობოლივით მტკირალსა. დიდხანს დარჩენა ამ სახლთან არ არის ხელსაყრელია. გლეხკომის სასადილოსა გვერდზე შეკრია წელია. საჭმელი შემოლევით, ნოჭრები სხედან მშიერი. სიმშლიის გამო აღარ აქვთ სახეზე ფერი, იერი. ეჭმი არის საკირო, მაგრამ ვინ ნახავს მიშასა!

ქალებს სდევს, არა სცალია, ასწორებს მთა-ბარს, ქვიშასა. წასვლა თუ სთხოვეთ სოფელში; ზევით აიწევს ცხვირია. ას საენის შორე მანძილზე „იორღა“ ცხენი სჭირია. ბანკმა დაიწყო ვაჭრობა და ტყემლის ოპერაცია. მთელი სოფელი შეინძრა, ტრიალებს ქალი, კაცია... და ბოლოს ბანკი აცხადებს: —ჩვენ გვინდა მორბულია. სხვა გადაჰყარეთ სუყველა, გამოგველია ფულია. გაჯავრდა ხალხი... ისმოდა წყველა და საყვედურია; სამაგიეროთ ამ ჩვენს ბანკს ლორები არ ემდურთან გადაყრილ ტყემალს მიაძღენ, ისმის იმათი ტამია; კურკების მტკრევა - ხმაური მაღლაც კი ისმის ცაშია.

# ტ ე ლ ე ფ ო ნ თ ა ნ

ტრ... ტრ... ტრ...

— ლანჩუთი ხარ? აღმასკომი მოვიდეს ტელეფონ- თან... აბა, გიორგი შენა ხარ?... მე ჩიბათის აღმასკომი ვარ... რა საქმე მაქვს, კაცო, და აგერ გეტყვი: ჩვენ გზებს რაც- ხას ქე ვაპაიჩნებთ, მარა რათ გინდა,—თქვენს საზღ- ვართან რომ ჩამოვალთ, თავი დასტრახული უნდა გექონ- დეს; ადამის უამს მერეთ კენჭი არ დაგიყრია. გვეხრობა ხარი, კამეჩი, ქალი და ბალანა... ასი გზობა გთხოვეთ, მარა მან არაფერი გამევიდა. ახლა უკანასკნელათ... რაო? თქვენი საქმე არ არის?... საგზაო კომისიას მივმართო?.. ჰოო, კარგი აბა; უკაცრავათ!

ტრ... ტრ... ტრ...

ვინ არის ტელეფონთან? საგზაო კომისია? მაღლობა დმერთს, რომ გიპოვეთ... მე ჩიბათის აღმასკომი ვარ... რა იყო, კაცო, და რატომ არ აკეთებთ ჩვენს საზღვარზე გზას?... რაო თქვენი არ არის? კაცო, ნუ შემშლით ქკუი- დან! აბა ვისი საქმეა? ჯუნჯუთელების? ჰოო, უკაცრავ- ვათ აბა!

ტრ... ტრ... ტრ...

ჯუნჯუთი ხარ? ჩიბათის აღმასკომის გელაპარაკე- ბი... რა იყო და ის იყო, რომ ამდენი ხანია ეძებ და ვერ მივაკლიე ვისი გასაკეთებელია ჩვენს საზღვარზე რომ გზაჲ თურმე თქვენი ყოფილა... კაცო, სირცხვილია; ქვეყა- ნამ შეიგნო გზის გაკეთების საჭიროება და თქვენ კი... რაო? რაო... ო, ღმერთო, ნუ გადამრევე, თუ თქვენი საქმე არ არის, მაშ ვისი საქმეა?... რაო? ეშმაკმა იცის! კი მაგრამ იი ეშმაკი ვინლა იცის? ისევე ჯაოზიას ვარჩევიებ მითარგმოს.

ჯაოზიე ხარ? ძალიან კარგი... საქმე შემდეგშია: ჩიბა- თის საზღვართან რომ დაქცული გზაა, ვისი გასაკეთებე- ლია იგი და ვინ არის მისი პატრონი? გეთხარეს ეშმაკ- მა იცისო, და ალბად შენ გეცოდინება... აბა გაშალე კარ- ტი და გვიჩიე... რაო? ტარტაროზმა იცის თუ ვისი გასა- კეთებელია ლანჩუთის გზაი?... მაღლობა ღმერთს, ეგებ აწი დაგვადგეს საშველი... ბიჭია და ნუ გააკეთებენ აბა?

შხანკოლა.

## ბ ა რ ო

ზემო-სვანეთი

ტარტაროზო... სვანეთიდან მსურს გაგაცნო საქმე ერთი, ქმარიან ქალს... და ცოლიანს შეუყვარდა ერთმანეთი. კაცი ცოლშვილს ფეიცება სიყვარულზე ექიმ ანას, თავს ევლებს სიყვარულით და უმტკიცებს მთელ ქვეყანას. ქალი ასე უპასუხებს: — გენაცვალე, ჩემო. ელო; მე მსურს მაგ შენს ლამაზ თვალებს. ჩემი ქმარი ვანაცვალა. შეგებევწენ ორივენი მოგვცეთ ცნობა უტყუარი— თუ კი შესაძლებელია: ორი ცოლი, ორი ქმარი. რომ ცოლ-ქმრობდეს თანასწორად თუ კანონი არის ასე?... დაჩქარებით გვიპასუხე, ტარტაროზო, შეკითხვაზე. გთხოვთ ქორწილზე აქ მობრძანდით, თუ გსურს გასცათ რახი. აქ ბევრი გვეყარს მოსასდენი, წამოიღეთ თან მთარახი.

გაიე.

ესტიელი ზვლიკია.

# ჯოჯოხეთის კუთხე



## „მზარეული ანგელოსი“

შოთა რუსთაველი რომ ეხლა ცოცხალი იყოს და ფოთში ცხოვრობდეს მთლიანი კოოპერატივის მახლობლად, იგი ალბად ასე იტყოდა:  
...მაგრამ გამგე არ გასწირავს კაცს ბედისგან განაწირსა.

შეიძლება, როცა შოთა ამას სწერდა მეთორმეტე საუკუნეში, მხედველობაში ჰყავდა ფოთის მთლიანი კოოპერატივის გამგე და მისი ზოგიერთი თანამშრომლები, რომლებიც მართლა გასწირა რევოლუციამ, რამეთუ ისინი იყვნენ შავრაზმელები.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ჩარჩვაჭრებს და სპეკულიანტებს კოოპერატივი რატომღაც არ უყვარსთ. მაგრამ მეცნიერების ამ შეხედულებას არ ეთანხმება ფოთის მთლიანი კოოპერატივის გამგე და მან კოოპერატივში თავი მოუყარა „ყოფილ ადამიანებს“.

ჩვენს თანამშრომელ „ბუკს“ საშუალება ჰქონდა გადაეღო სურათი, როცა ეს „ყოფილი ადამიანები“ გამგეს სამსახურს სთხოვენ და კეთილი გამგე იწყნარებს მათ ვედრებას.

რომ მან სიკეთე გვიყოსა.

„პრისტავი“, ჩარჩი, ვაქარი

შენ შემოგვეღეთ ყველაო.

კოოპერატივში მივვიდე,

ჩვენ სხვა არა გვაქვს შევლაო.

აი ამიტომ არავის უნდა გაუკვირდეს, რომ:

კოოპერატივი მრავალჯერ გაქურდეს, გაფლანგეს და ერთხელ კიდევ გადასწვეს.

ალბად „შინაურებმა“ „ხელი მოითბეს“ ცეცხლზე.

საკვირველია, ყველა ამის შემდეგ როგორ გადარჩენ კოოპერატივის ვირთხები!

## „ქაღლის მოყვანი“

როცა მკითხველმა ენათაური ამოიკითხა, მას ეგონა, რომ ჩვენ ლაპარაკი გვექნებოდა მანდილოსანზე.

მაგრამ ლაპარაკია წაღვერის დასასვენებელ სახლის სასადილოს გამგეზე, ე. ი. გიორგი მაქაროზე, (მამრობითი სქესისა).

ჩვენ მას ვერ ვიცნობთ, მაგრამ როგორცფ. ორტველი სწერს, იგი ასეთი ყოფილა:

„საკმარისია ერთი წუთით დააგვიანდეს დამსვენებელს, რომ მას უღუფის მიღების უფლებას ართმევს და ჩამორთმეულ უღუფით ძაღლს ასუქებს“ (ზაზი ავტორისა).

ბოლოს ასე დასკვნის: ასეთ პიროვნებას დასასვენებელ სახლში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. (ზაზი ავტორისა).

## ს მხატვართა საყურადღებოთ

წარსულმა აქვს უშრანალო მონაწილეობა მიაღებინოს კოოპერატივში თავისი ნორჩი კალმით მონაწილეობას ზაზითვაში..

შრამი) დაიგემაღება უშრანალო ამტორის უფლების მხატვრების თანაბრად.

დეს შემეტასად აღმლოზივ ცხოვრებას და იზვიათად


შარწიკა და საზიროების მიხედვით ციტატა (ამონაწე-

მარი უმსოვრებაგისა. შურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია.



გვიშველე, ჩვენო მფარველო, ჩვენ ობლები ვართ „ნიკო“-სა.)  
შენს გარდა სხვა ჩვენ არვინ გვაყავს,

• ნიკოლოზ მეფესი.



ჩვენ არ ვეთანხმებით დასკვნაში ორტველს. სწორედ ასეთ პიროვნებას უნდა ჰქონდეს „დასასვენებელ სახლში“ (ანუ გამსახლში) ადგილი.

## ორანი არიან, ძმები არიან.

„ძმა ძმისთვისა კარგი დღისთვისა“—ასე ამბობენ გაგრაში ორი ძმა: სერიოჟა და ეარლამ კეშელავები. ჯა მაგირის მისაღებად მისულ მუშებს ასე ეუბნებიან:

არ გეგონოთ აქ ქალაქი,

ავი არის დაბა გაგრა.

არ გვაქვს ფული და რა მოგცეთ,

თქვენი ფული საღლაც გაჰქრა.

სად „გაქრებოდა“ მუშების ფული?

„საქიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯიბეები გაუსინჯოს ძმებს. ამბობს ლეჩხუმელი მუშა, რომლის წინადადებას საცხებით უერთდება ტარტაროზი.

რედ.

საქამიასულო შარასული

საქამიასერი, გურიაში, ხოლო ნიკოლოზ ოსიძე საქამიასერის ყარაულია.

როცა დაღამდება და ბაზარი იძინებს, ნიკოლოზი წამოწეება და ამოუშეებს ხერენას. ისე ღრმად და ტკბილად სძინავს, რომ ჭრბების და სოფელელების ხმაურიც კი ვერ აღვიძევს.

— ძილში ქე მესმის ხმაურობა,—ამბობს იგი,—მაგრამ თავი ძილისაგან ისე მაქვს დამძიმებული, რომ მაღლა აწევას ვერ ვახერხებ.

(საკვირველია, ასე მძიმე ასაწევი როგორაა ცარიელი თავი).

ამიტომ ოსიძეს მიუჩინეს ყარაული, რომელსაც სოფელი შეეკითხა:



— რა საქირო ხართ ამ პატარა ბაზრისთვის ორი ყარაული? — აწი უყურე ოსიძეს — მთელი ღამე ძილში იქნება!

— თქვენ ცდებით ბაზრის ყარაული იხვევართო! — ოსიძე, — ხოლო მე მას ვყარაულობ, რომ ღამით არ ჩამოეძინოს.


ამ წერილის განხილვის დროს, ლევარსი როხროხაძე რედაქციაში იყო და როცა ეს ამბავი წაიკითხა, მან დასწერა წერილი, რომელსაც აქვე ვათავსებთ.

ამხ. „კირილიეზონ“ ცდება, როცა დასცინის ოსიძეს, რომელიც მაღლობის ღირსია, და აი რატომ? ყარაულს ყარაული მიუჩინეს, რომ არ ჩამოეძინოს, მეორე ყარაულსაც გადაედება პირველის სენი. („ხაარი ხართან რომ დაბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. ბოდიშს ვიხდი, რომ მათ ხარი ვუწოდებ). მაშასადამე, ამ მეორესაც დასკირდება მესამე ყარაული მინენა. შემდეგ მესამესაც დასკირდება, — და ასე ამგვარად ბაზრის მთელი მოსახლეობა იძულებულად იქნება ღამ-ღამობით ერთმანეთს უყარაულოს. მაშასადამე: მთელი ბაზარი ღამით გავიძებული იქნება და მას შეუძლია ივაქროს, ისაქმოს, იმუშაოს; სამაგიეროთ დღითი ყველამ დაიძინოს. ამგვარად საქმე იმ დასკენამდე მივა, რომ ყარაული აღარ იქნება საქირო რადგან მუშაობა დღის ნაცვლად ღამით იწარმოებს, ხოლო იძინებენ ღამის ნაცვლად, — დღისით.

როცა მკითხველმა ეს სათაური ამოიკითხა, მას ეგოთათვისი აზრის უფრო გასაგებათ, ლევარსიმ მხატვარ ღონს დაახატინა შემდეგი ორი სურათი:



საქამიასერი ღამით, როცა ადგილობრივი მცხოვრებნი ერთმანეთს ყარაულობენ, რომ არ დაეძინოთ.



საქამიასერი დღით, როცა ადგილობრივი მცხოვრებნი იძინებენ, რადგან წინა-ღამით ერთმანეთს ყარაულობენ.

# ცნობათა შილაბა



კრაზანას (ზაჭუნა): მაინც არაფერი გამოვა, რომც მშვეასრულოთ თქვენი თხოვნა:

გთხოვთ, ტარტაროზ, რომ ერთხელ ჩვენს ზაჭუნასც ეწვიო და უტვინო თავჯარბანს გააგლიჯო ბეწვიო.

ბეწვის გაგლიჯიოთ კი არა, — ერთმანეთისთვის თავ-პირი დაუშტვრევიათ და ჭკუა მაინც ვერ უსწავლიათ;

მცხეთას კაცი აფრინებს—  
ღვინო არის თუ არა;  
ორაგული შესწვეს და  
უფელამ ჩამოუარა...  
გამოსცალეს ბოთლები,  
უფელა გადაირია,  
დაუშტვრის ერთმანეთს  
ტანი, ცხვირი, პირია.

ამის შემდეგ ტარტაროზს რაღა დარჩა, რომ ჩამოვიდეს და:

მაგრად მუშტი შემოპკრახს,  
თანაც ჩანგლის ყუაო,  
რომ ისწავლონ იმათმა  
აწი მაინც ჭკუაო.

საკემ ალავს ტარტაროზი კი აღმოაჩენდა სადმე იმათ სხეულზე, მაგრამ ამით მაინც არაფერი გამოვიდოდა.

ელვის: იმედი არ გქონდეთ—თქვენი წერილი არ დაიბეჭდება და ნუ ელოდებით მას ჟურნალში. უფლება გაქვთ იყოლოთ ცხელი „ტარტაროზი“.

ზაშარს (ვანი. ოზურგეთის მაზრა): გასჭრა პროტექციამ და თქვენს წერილს ვთავსებთ... გოცდორში ამ ამონაწერის გამოკლებით:

ფერის-ცვალებას თევზს სჭამენ,  
ეს ჩვეულება ძველია.  
თევზი რომ ველარ იზოფეს,  
საკლავსა მიბჰყვებს ხელია.

კიდევ ამონაწერის მოყვანა არ არის საჭირო, რადგან ყველა მიხვდება და ბუნებრივია, რომ:

ჯერ არაფერი... და როცა შევიდა ღვინო თავშია,—  
ვერც ერთი ვერ დაეტიო  
აფის საკუთარ ტუაჟშია.  
დაპჭროლებს ბოთლებ-თევზებმა...  
და ხვეწმეს ერთი-მეორეს...  
ამ სისულელეს აწ ნება,  
თუ ვინმე განიშეორებს?!

ბომ, გაგიგონიათ:— ახი ურტყი დავითასა, მაინც იზაშს თავისასა!

პაპოს: ჩვენთვის გამოგვგზავნათ და პატივის-ცემას არ მოვკლებდით. აფსუსს ახია თქვენზე. ასეთი ულაზათო და უშნო როგორ უნდა იყოთ? (სურათების წარწერებს გამოვიყენებთ).


ვერ მიცანს, (ქუთაისი) აი ჩვენი პასუხი თქვენს შეკითხვაზე: — როცა ერთდამივე ამბავზე სწერს ორი ავტორი, რედაქცია, რასაკვირველია, მოათავსებს მას, როგორც უფრო უკეთესია.

ზარხოზს (ქუთაისი): ეს სიმღერა კი არარის,—ეს არის „ხრიწინი“. გამხმარ თავს, გამხმარი კლუი სჯობია. ამიტომაც თქვენ უარეს მდგომარეობაში ხართ, ვიდრე თქვენი „სიმღერის“ მომღერალი.

ლ.რ. ს. მარტო ინიციალები არ კმარა. სახელის და გვარის პირველი ასოები ბევრს ერთი და იგივე აქვს,— (მაგ. ლევარსი როსროხაძე). მაგრამ ჩვენ მაინც დაბეჭდვით, რადგან თქვენ იწერებით, რომ—თუ დაბეჭდავთ ამ ლექსს და ამ ჩემს სურათსაც მოათავსებთ,—მეტს არასოდეს არ გამოგვგზავნი და აღარ შეგაწუხებთ.

### გამარჯობა პაპანო

გელოდებოდი ფეხის ადგილთან,  
ხადაც სალორში ეძინათ ღორებს.  
თუმც სუნი იღვა იქ საზარელი,  
მაგრამ მივეყრდნე მე იქვე ყორეს.  
იყო შუაღამე. უფელას ეძინა.  
ცადან დამცქერდა მე მზე და მთვარე:  
ახე ეტრფოდენ ერთი-მეორეს,  
რომ ჩვენი თავი მათ შევადარე.



გისურვებთ—ისე ხშირად შეხედეთ თქვენს შეყვარებულს. როგორც მზე და მთვარე ერთმანეთს ხელებიან.

დაპირება უნდა შეასრულოთ—წერილი კიდევ არ გამოგვიგზავნოთ, თორემ თქვენ მიწას და იუპიტერს ერთმანეთს „შეახვედრებთ“, რასაც მოყვება მსოფლიოს კატასტროფა. ჩვენ კი ჯერჯერობით ამისათვის არ გვცა-ლია.

### ლიახხმელს (გორი)

„მენშეიკი რამიშვილი,  
ვერ ყოფილა კაი შვილი“...


აქამდე გეძინა? ბნელა?

გრიპს: შე გულუბრყვილო, რა გატირებს თუ ცოლი დაგეკარგა? პირიქით—მოხარული უნდა იყოთ მაგნარი ცოლის დაკარგვისა.

თქვენი ცოლის საპოვნელად აღწერილი გაქვთ მისი ნიშნები: კოვერკოტი საზაფხულო პალტო (კონტრაბანდი) „ვიქტორია“-ს ჩულკი (ისიც კონტრაბანდი), „ლორეიან კოტი“-ს (ისიც კონტრაბანდი) პუდრით შეთხუპნული სახე. თმა რიჟათ შედებილი. ტუჩები წითლად შეღებილი, მანიკურ-გაკეთებული, თხელი, გამჭვირვალე და მოკლე კაბა... და სხვა...

ვინაიდან, თითქმის ყველა მანდილოსანი მაგნარად არის შემკობილი, ამიტომ თქვენი ცოლის ნახვა, შეუძლებელია. არის ერთი შესაძლებლობა—ეგებ ის, როგორც ყოველმხრივ „ჩაკონტრაბანდებული“, ზის შესაფერ ალაგას. მიაკითხეთ იქ!

# მონი არიან, ფეხავსნი არიან...



მამლაქინვა (ბიუროკრატს):—აზნაგო, ზრდილობა იქონიეთ—წინ ნუ მისწრებთ! თქვენზე ნაკლები არც მე ვარ.

# ტატატატატი

## ნაკლებილი ვიზიტი



„ტატატატატი“ (გ.გ.გ.) — არ ვიცი რატომ ხდება ეს — როგორც ეს კვირა დღე მოახლოვდება — მისებზე  
 მე შეკრებიდა, გული ხშირად მიცემს და მიღობდები  
 მინი...ა...ა...ა... და იმდენი არის, მეტი ვარდის, მისი კვირა-დღეს „ტატატატატი“ კვირის და  
 ეს მისი მეტი არ უნდა „რეკლამირება“.

# „სამართლმეტყველებელი“

— არა მანახებო, მე ცხრაწლიანი არ მეყოფა, უმაღლესში უნდა შევიდეთ — დაკონტროლებით ეუბნებოდა მამამ ცხრაწლიანი დამთავრებული შალიკო.

— კი მარა, ფული, ბიჭო? შენაბნე არ გინდა?

— ფული... ერთასან შენ გამომიგზავნე და შერე საზნახურში ჩავლდები, ათასი ნაინობი მყავს, საერთო ცოდნა დიდი მაქვს, ინსტრუქციული საკითხები კარგად მესმის, მექანზაცია შესწავლილი მაქვს დეტალურად.

— მაგდენი თუ კი იცი, აღარ შეშინია, — იმედინათ თქვა მამამ, რომელსაც გული გაუმაგრა შეილის „მექანიზაციამ“.

შალიკო ჩაეცა ქალაქში და უნივერსიტეტში შეიტანა განცხადება:

„საერთო ცოდნა მაქვს, მინდა კიდევ ადვილურად უმაღლესი განათლებით და ცოდნით შეიარაღებულმა გავაძლიერო ქვეყნის თავდაცვის საქმე. მართალია მისაღები ადგილები არ არის ბევრი, მაგრამ ადგილების წინმძინოვან რეკვიზიტს ვატარებთ კი შესძლებთ ჩემს მოღებას, რადგან ხელს შეუწყობთ ჩემს კულტურულად წინსვლას. რაც შეეხება სწავლის ფულს, გთხოვთ გაატაროთ მისი შემტყობის კამპანია და დამინიშნოთ სტიპენდია, რადგან ვარ პროლეტარული ელემენტი და მამაჩემს — ძველ ბნალიზმის აღარაფერია შემოსავალი აღარ აქვს ანტირელიგიოზური კამპანიების წყალობით. ამას ვარდა, გთხოვთ მომცეთ ოთახი საცხოვრებლად. ყარგი იქნება თუ ორი ოთახი იქნება, რადგანაც ბიკოლა ჩემიკ აპირებს თბილისში გადმოსვლას და ბიბაჩემს, როგორც პატარა ვაჭარს, არა აქვს ოთახის შოვნის საშუალება.“

განცხადება შალიკომ თავის ამბანაც — ძველ სტუდენტს წაუკითხა, რომელსაც ამბარა ჭკუა და განცხადებებიდან ამოშალა ყველა „კონტრ-რევოლუციონური ადგილები“.

შალიკო წარსდგა გამოცდებზე.

წერაში გამოცდის დროს იგი დიდი რიხით სწერდა:

„ქართული მწერლობა, როგორც სახვითი ხელოვნება, ვაითქვიფა მეურნეობის აპარატში და აშუქებს ბიუროკრატიზმის უარყოფით მომენტებს. ძველი ფორმები დაინგრა და მოხდა შინაარსის რაციონალიზაცია. ეს კამპანია დღესაც გრძელდება საერთაშორისო მდგომარეობის გართულების პირობებში. მიუხედავად ამისა, ქვეყნის პროლეტარიაციის პროცესი ჩვენ გვიკარნახებს პროლეტარმწერლობას დავაწვეთ და ავიღოთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გეზი. ამ დარგში უმთავრესი უტრადდება უნდა მიექცეს წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, ჩიხთიხაც საჭიროა სანიტლექციების და ავტოპროპარმოდგენების გამართვა. წარმოდგენებში ყველამ უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა და აგრეთვე თვითუღმა მშრომელმა უნდა დასწეროს თითო - ორობა ლექსი ოქტომბრის დღესასწაულების შესახებ.“

საზოგადოებათ მეცნიერების დარგში გამოცდის დროს შალიკომ ყველაფერი აუტრია, მაგრამ გამოცდიდან იმედინათ გამოვიდა.

ქართულ მწერლობაში ზეპირი გამოცდის დროს მან ყარგად უქასუხა ნინო შეილის შესახებ.

— დანიელ კონჭაძე რაღას იტყვით? — შეეკითხა მან.

— დანიელ კონჭაძე? — დაიბნა შალიკო, — დანიელი ებრაელი იყო და მისი პოემა...

— დანიელი განა ებრაელი იყო? ან შობა ნაწარმოები პოემა?

— უკაცრავად, მე „დანიელა უტრია“ მომაგონდა... არა, ებრაელი არ ყოფილა, მაგრამ... ერთი სიტყვით, უკაცრავად, მარა, მასწავლებელი ავად გაგვიხდა და დანიელად აღარ შევსულვართ... ისე, საერთო ცოდნა მაქვს...

შოვიდა არითმეტიკის გამოცდების დრო.

— რას იტყვით ათწილად ნაწევრების დალოჯარი რითმების შესახებ?

— ათწილადი ნაწევრების თეორია არ ვიცი, პრაქტიკა მაქვს მხოლოდ... ლოჯარითმები აღარ გვისწავლია, რადგანაც ჩვენი მასწავლებელი ჭოხ-სამკითხველოს გაშვებთ დანიშნეს და დრო არ ჰქონდა... ისე საერთო ცოდნა მაქვს...

დადგა ფიზიკაში გამოცდის წამი.

— რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკის კანონებს?

— ფიზიკის? — დაიბნა შალიკო, — ფიზიკური კანონი ფიზიკური ძალაა, ხოლო, ფიზიკური ძალას დიდ მნიშვნელობა აქვს მოქიდავისთვის... ისე კი, ფიზიკური ძალა უბნეშია და, მაშასადამე, ფიზიკური კანონებსაც არ უნდა ჰქონდეს გასავალი...

— ეერ გჰქონიათ გარკვეული წარმოდგენა ფიზიკაზე? — უთხრეს მას.

— არა, ფიზიკა ვიცი საერთოდ... ვიწრო სპეციალობა მაინც არ მყავს... საერთო ცოდნა მაქვს...

შოვიდა რუსულ ენაში გამოცდის დღე.

— რუსული ენა დეტალურად არ ვიცი — განცხადდა შალიკომ გულწრფელად. — მაქვს მხოლოდ საერთო ცოდნა რუსული ენის შესახებ.

— რატომ არ იცით?

— რატომ და... ჩვენმა მასწავლებელმაც არ იცოდა მან ორი წლის წინად გაათავა ჩვენი ცხრაწლიანი და იქვე დანიშნეს მასწავლებლად. სხვა ვაკეთებდით არ იყო თანვესუფალი და ისევე რუსული ენა აიღო, ამიტომ ჩვენც ვერ გვასწავლა ზეარაინად... საერთო ცოდნა კი ყველას გვაქვს, მასწავლებელსაც საერთო ცოდნა ჰქონდა...

გამოცდები გათავდა.

— რა ქენი ბიჭო, არ მიგიღეს? — შეეკითხა მამა სახლში დაბრუნებულ შალიკოს.

— არ მიმიღეს... მე საერთო ცოდნა მაქვს და იქ ვიწრო სპეციალობა ყოფილა საჭირო. თურმე ყველა საგნები უნდა იცოდეს; ისე არ მიგიღებენ... არაფერია, ამ საერთო ცოდნას აქვს გამოვიყენება, — სთქვა შალიკომ და ისევ სოფლის მასწავლებლობა იკისრა „საერთო ცოდნის“ გამოსავლებლად.

ალლარ-ალლარხან.

## „ხ ი შ ა თ ი“



ცოლი: (ქმარს) დიომიდე, აი გოგო აწი განათხოვარი გახდება, და თუ სკოლაში არ მივევით, — ანა-ბანა არ ეცოდინება!

— ქმარი: გაივ, ქლო, ვინ არიან მასწავლებლებად თუ ახლამომცხვარი მასწავლებლებია, — სახლში ევლეს; თუ ხნიერი და პატიოსნებია, — მაშინ უნდა მივხედო სკოლაში, აბა რა უნდა ვქნათ?

### სტუდენტთა მოკარობა

სტუდენტები მოძრაი ხალხია. ისინი დღეს რომ ნობატატურშია, ხვალ ქუთაისში, ზეგ თბილისში არიან და საგაისოთ საზღვარგარეთაც კი სურს წასვლა თუ გაუშვებს.

სოფელში, დაბებში და მახრებში კურსდამთავრებული სტუდენტები წარელი ფენებისაგან შესდგება. ზოგს რუსული აკლია, ზოგს ალგებრა, — ზოგს ტანისამოსი, ზოგს კიდევ ყვეთელი ბოტინკები. ქალაქებში კი ამ ნაკლებს ასწორებენ. თბილისი სტუმრო სტუდენტებისათვის ხელგაშლილი მასპინძელია —ათასში ერის— (ისიც ხეირიანი თუა) უნივერსიტეტში დებულობს; ზოგს ტრაქტორის ფურსებზე გზავნის; ზოგს სამკითხველოს კურსებზე; ზოგს ხომ კურიერების და ფოსტალიონების ადგილს აძლევს; კარგი სტუდენტები კი (ბუგოვრაში რამე აქვს და ზელი უვარა) რეგისტრატორათაც იგზავნიან.

ღოდ შემწეობას უწევს სტუდენტებს საბუღალტერო კურსები. ის მრავალფეროვანია და მრავალ ფენოვანი ხალხიც ჰყავს. თუ კაცმა ოთხი მოქმედება იცის, ისიც იქ მიდის; 5—6-ს თვეში ბუღალტერი გამოვა და სასპეცო ჯამაგირებით ამოივებს მშვიერ კუქს.

#### ცხრაწლედში

ყარგ მასწავლებელს თბილისის იქით რომ ქული გაუვდო, არ აიღებს, ისე ეზარება თბილისის მოცილებდა. დაბაში თავს იყრის სშირად ახალგაზრდა და მშიშარა პედაგოგები. მოწაფე ასეთ პედაგოგს წლის ბოლომდე არაფერს ეუბნება. წლის ბოლოს კი რიხიანად ჩაუარს გვერდიოთ და თვალეზის ტრიალით აშინებს.

თუ კარგი ნიშნები არ დაეწერია, 24 საათში უნდა დასტოვო ეს მხარე. მასწავლებელსაც ეშინია და აკმაყოფილებს მოწაფის მოთხოვნილებას.

#### ბაღავი და მოწაფეები

ძმათ-შეფიცულებია ბაღები და მოწაფეები. ავილოთ ვერის ბაღი. აქ ბევრი მოწაფე-ქალი და ვაჟი მიდის სანაცადინოთ. მაცადინობას რომ მორჩებიან, მერმედ სიყვარულს უხსნიან ერთმანეთს.

#### თეატრები და სტუდენტები

ქანქარი თეატრებისათვის სტუდენტობას არ მოეუოება. თუ დაპატრია ვინმე ნაცნობმა, ხომ კაცი; თუ არა და სამი, ან ოთხი ერთ ბილეთს აიღებს და ამ ერთ ბილეთით ყველა ახერხებენ შავ შესვლას.

#### კამედიები და სტუდენტები


კრედიტები და სტუდენტები ძმა-მიკებია. ვისი გინდა სტუდენტს ფული არ ემართოს. მეჩისტე, მეპაპიროსე, მეპურე, მენახშირე, მენაეთე ეს ყველა მოვალეებია.

ძნელოდლი.

### ს ი ფ რ თ ხ ი ლ ე

სახლის მეპატრონეები ყურადღებას არ აქცევენ სახლებს. ბინის ქირას თავისთვის იჯიბავენ და სახლს საკურო შეკეთებას არ უკეთებენ. ამის გამო ბევრი სახლებში უნუგეშო მდგომარეობაშია.

(გაზეთებიდან)



მილიციელი (მდგმურს):—შენ ვინა ხარ, რომ ამ შუალამისას არ გძინავს და კიბე გამოგიდგამს ოთახიდან ბოძზე?... ალბად ქურდი ხარ?  
მდგმური:—არა, ძმობილო, მემდგმური ვარ—აქ ცეცხოვრობ... მძინარე ცოლ-შვილს ვყარაულობ— მეში ნია სახლი არ დანგრეს და შიგ არ მოჰყვენ..

## გ ზ ა ლ დ ე ბ ა

„სარსტაროზი“-ს სპეციალური ნუნარი

# „ეცნიერება და ტეხნიკა“

ლევასკი როხროხბამის რედაქტორობით

# ს ი ც ო ც ხ ლ ე წ ა რ ს უ ლ ი თ

მთელი საათი ვუჯექი მაგიდას, რომ „ტარტარო-ზი“-სათვის მასალა დამეწერა, მაგრამ ფუჭი იყო პაპიროსების ერთიმეორეზე წვევაც და კუთხიდან-კუთხემდე ბოლთას ცემატ.

— ეი, რა ამბავია? დროვის ცხენი ხომ არ ხარ?! — ამომძახა დემურმა ქვევიდან.

მე შეეჩერდი.

— გადახედე და მიდამოს—ეგებ რამე თემა დამებადლოს თაქში! — გავიფიქრე და აივანზე გავვიდი.

ჩემი ოთახის აივანი ქუჩაში გამოდის.


ქვეშ, მოსახვევში ყოფილი სამხედრო პირი პაპიროსებს ჰყიდის. მუშტრებს „ეხათრებათ“ მისი და მიანც-დამიანც არ აწუხებენ. ამიტომ იგი მუდამ რომანებს კითხულობს სამხედრო ცხოვრებიდან.

— რა მასალა უნდა იშოვოს კაცმა ასეთ პირობებში და გარემოში?! შწამს—დრამატურგი ვიყო; ამ მეპაპიროსის ცხოვრებიდან დავსწერდი ტრალედიას. მაგრამ მე იუმორისტი ვარ—სახუმარო ამბებს ვსწერ! — ელაპარაკებო ჩემს კარგ ნაცნობს და მეგობარს—ჩემს თავს.

ამ დროს მეპაპიროსემ წიგნი დახურა. ამოიღო „ფედრაცია“—დან ერთი ცალი პაპიროსი და ის იყო ცეცხლი უნდა მიეკიდებია, რომ უტბად პირიდან გამოიღო და ისევ ჩასდო.

— რაც იქნება, იქნეს—ერთხელ მეც მოვსწევ „სა-ვეტსიკი“-ს! — ამოიღო ერთი ცალი „საბჭოთა“ პაპიროსი და გააბოლა.

ქვაფენილზე ბოლთას სცემა დაიწყო. ეტყობოდა წაკითხულის შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ იყო:



იციოდა, ხელებს ზევით იქნევდა (აგონდებოდა რომანიდან: კაფე-შანტანი, შტაბს-კაპიტანი როსკიკებში ქეიფობდა და სადღეგრძელოების სმა). ილიმებოდა და თავს აქნევდა (აგონდებოდა რომანიდან: ფანჯრიდან ამხანაგის ცოლს ეარშიებოდა და პაემანს უნიშნავდა); ხან შეკრებოდა (აგონდებოდა: ცოლი წამოესწრო არშიყო-ბის დროს); მუშტებს ისვროდა და ბრაზობდა (რომანიდან: ოფიცერმა დღიურს—„დენშიკს“ შემოჰკრა). ხან მხნე სახეს ღებულობდა (რომანიდან: გენერალს პატაკს აბარებს); ხან, ისე მიდიოდა, თითქოს ალღუმს უძღვებო წინო; ხან შუბლზე ხეოს მიიდებდა, თითქოს „ჩისტს“ უდებს მთავარ-სარდალსო... ყველა ამასთან შესაფერ სიტყვებსაც ლაპარაკობდა.

— კჭიდან შეშლილა! ეშმაკებს ელაპარაკება! მართლაც სასაცილოა! — გამიხარდა მე, მაგრამ ამავე დროს რალაცამ წამჩურჩულა:

— სასაცილოა, მაგრამ სავალალოც არის მისი მდგომარეობა. კაცი გენერალი თუ არა, პოლკოვნიკი მიანც უნდა იყოს,—და ესლა კი მეპაპიროსეა! არა. არც ისე ზნედაცემული კაცი ვარ, რომ სხვის უბედურებაზე ფელეტონზე დავსწერო, მკითხველი ვაცინო და მე გონორარი ავიღო!

— Стараго нести! — მოისმა მეორე ქუჩიდან შურუმ-ბურუმის ხმა: მეპაპიროსე შეკრთა და გაბრაზებით მიაფურთხა. ოცნება დაუფრთხო შურუმ-ბურუმმა.

— ანდა იმაზე რა უნდა დავსწერო?! კაცი ძველებს ყიდულობს-ჰყიდის და ამით ცხოვრობს! — გავიფიქრე შურუმ-ბურუმზე.

მეორე ქუჩიდან ორი კაცი მოდიოდა. ერთს მღვდელის ანაფორა ეცვა, ხოლო სვერი კოხტად ჰქონდა შემოკრევილი.

— კარგი ოთახია! ხოლო ერთი თვის ქირის რაოდენობა მე უნდა მომცე! — ეუბნებოდა ანაფორიანი მეორეს.

— შეტიც იყოს, მხოლოდ ბინაში ჩამასახლე! — და მეორე გამომეშვიდობა.

ანაფორიანი მოტრიალდა; მთა-წმინდის ეკლესია დაინახა და პირჯვარი დაიწერა:

— ღმერთო, მოაწყევ ეს საქმე! — სთქვა ეს და შივიდამეპაპიროსესთან ცალობით პაპიროსის საყიდლად.

— ანდა ამაზე რა უნდა დავსწერო?! კაცი მოძღვარად იყო და ესლა ბინის მაკლერობა დაუწყია. მაგისი ლოცვა-კურთხევით და პროტექციით სამოთხეში ღებულობდნენ ცოდვილს; ესლა კი ოთხსაჯ ვერ შოულობს კლიენტები-სათვის... მოდი და დასწერე სასაცილო ფელეტონი ასეთ უბედურებაზე?! — ამ ფიქრებში ვიყავი, რომ მეორე ქუჩიდან დავინახე აქეთ მომავალი ხმელი და მაღალი, ყელიწორო და თავგამზმარი კაცი, რომელსაც ხელში ჩანთა ბეირა. ეტყობოდა იგი შიკრიკი იყო. რომელიმე დაწესებულებისა.

მართალია: როცა პირველად დავინახე, კინაღამ სწოცილი წამსკდა და გამიხარდა:

— აი, ეს კია ჩემი მუხა! — მაგრამ, როცა ამათთან მოვიდა და ახლოდან დავინახე, შემოცრდა.

იქვე ჩამოჯდა მეპაპიროსესთან, რომელთანაც ისვენებენ, „იმუხლებენ“ „მოგზურები“, და ხალათის კალთით ოფლის წმენდა დაიწყო სახიდან.


— კაცი დამდნარა! დღეს თუ ხვალ საიჭიოში წაბრძანდებდა და მაგას უნდა დავსცირო? არ ეყოფა მას მისი უბედურება?! არა... არასოდეს!...

Стараго нести... ხარა-ხურა! — მოისმა იქვე და უტბად მოსახვევიდან გამოვიდა შურუმ-ბურუმ, რომელიც „სად-გურთან“ შეჩერდა პაპიროსზე ცეცხლის მოსაკიდებლად.

— რაღა სხვაგან ეძებ—აგერ ვართ „სტარია ვეში“ და ხარა-ხურა! — უთხრა ხუმრობით შიკრიკმა შურუმ-ბურუმს.

ოთხივემ საუბარი გააბეს ერთმანეთში.

— ამით გაქირვების ამბავს თუ ვუყურე, სამუდამოდ დამეკარგება იუმორისტული ფელეტონების წერის უნარო და სურვილი! — გვიფიქრე ერთ წამს, მაგრამ მაშინვე სხვა აზრმაც გამიბრინა თავში:



— დაიცადე... აბა, ყური დაუგდე რას ლაპარაკობენ: შიკრიკი:—ეგეე! ასეთია ცხოვრება... საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი... როგორც მინდოდა, ისე მიმყავდა საქმე... მთელ გუბერნიას ვატრიალებდი... ისეთი შეშვებვება მქონდა, რომ...

მეპაპიროსე:—ეე! შენ ჩემი იკითხე! რა დიდებული ცხოვრება მქონდა? კვალურიასი ვიყავი... ისეთი ბედაური ცხენი მყავდა, რომ...

შურუმ-ბურუმ:—ეგეე! ერთი ჩემიც იკითხეთ და! პრისბეტზე მქონდა ორი მაღაზია. ქალაქის ცენტრში საამი სახლი ავაშენე... თვითონ მე ისეთ სასახლეში ვცხოვრობდი, რომ...

მაკლერი:—ეგეე! თქვენ, თქვენ ხართ და,—მე რომ ცხოვრება მქონდა... ეხსი რა ცხოვრება დამეკარგა? როცა მომაგონდება, ცრემლები მადგება თვალებზე... სწორეთ ვითხრა, ისეთი მრეველი მყავდა, ისეთი რომ...

შიკრიკი:—ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეობა? გიყვარდეს ფული და ძღვენი... იმდენი მოდიოდა, იმდენი მოდიოდა...

მეპაპიროსე:— როცა პოლიციისკობა მივიღე, ისეთი აღლუმი იყო, რომ მთელი ქალაქი დაესწრო. მუსიკის ხმა უცხად კი სწვდებოდა და...

შურუმ - ბურუმ:— რა კარგი დრო იყო, რა კარგი... ჩემს მაღაზიებიდან მუშტარი გაწვილებული არასოდეს არ წასულა — ყველაფერი მქონდა და კიდევაც...

მაკლერი:— მართლაც რომ მქონდა მაშინ ცხოვრება... ქორწილი, ნათლობა, დასაფლავება — ყველა ესენი ფულის და ქაშა-სმის წინამორბედი იყო. მიხაროდა: ქორწილიც, დაბადებაც და სიკვდილიც. რატომ არ გამიხარდებოდა, როცა...

შიკრიკი:—ოი-ოი, ოი-ოი... რა კარგი იყო, რომ სასამართლოს დარბაზში გამოვეცხადებდი: ამა და ამ კანონის მუხლის ძალით მისჯა — დახრობა. შეიქნებოდა წვილ-კვილი... მე კი არხინად გამოვბრძანდებოდი, ჩაეჯდებოდი კარეტაში და, ჰაბარდა, — გაეჭროლდებოდი... მომდევდენ უკან მაგრ...

მეპაპიროსე:—ჰო-და გოსულარ-იმპერატორი რომ გვესტუმრებოდა, რა მზადება გვექონდა მაშინ!?! ცხენები

ისე უნდა ყოფილიყვნენ გაწმენდილ-დასუფთავებულნი, რომ თეთრი პერჩატკებით ვსინჯავდი და ვაი იმ ჯარისკაცს, რომლის ცხენს მტვერის ნამცეცი აღმოჩნდებოდა; იქვე ეროზგავდი... რომ ეუკამანდრებდი ჩემს პოლკს:—  
 ОМНИУМ!—მთელი ჯარი ისე გაქვევდებოდა, როგორც...  
 შურუმ-ბურუმ:—ჰაი, ჰაი, რა კარგი ცხოვრება გვექონდა ყველას. ვინც ჩემი მაღაზიის წინ გავიღიდა, ყველას თვალი რჩებოდა და ვიტრინაზე; უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც შემოდიოდენ და ყილუღ...

მაკლერი:—როგორც კი მნახე ზარბზ შემოჰყავდა, ხალხი მაშინვე იწყებდა ეკლესიაზე დენას... იმდენი შესაწირავი მოჰქონდათ, რომ...

შიკრიკი:—შენ ჩემი იკითხე! ოი დედასა რა ცხოვრება გავგიფრინდა? ეხლა აჩრდილს ვგეყვარ; მაშინ რომ გენახეთ...

მეპაპიროსე:—თქვენ არ ვიცი და, მე რომ მაშინ გენახეთ, პირჯვარს დაიწერდით და იტყოდით:—სიღამა-ზის განსახიერება ეს არისო! ისეთი მოყვანილი ისეთი კობტა და ისეთი...

შურუმ-ბურუმ:—ჰმ! ჰმ! ბედის დაცინვა ამაზე მეტი შეიძლება? მე რომ საღამოს ალაზიას დეაკეტინებდი ნოქრებს და პრისბეტზე ვაგისიერებდი, ყველას ჩემზე რჩებოდა თვალი: — ვინ არის ასეთი შეხედული და მდიდარი კაციო? გასათხოვარ ქალებს ჩემზე ეპირათ თვა...

მაკლერი:—მე უნდა გენახეთ თქვენ—ბლალოჩინის ოქროს ჯვარი როგორ მშვენებოდა აბრეშუმის შავ ანაფორაზე! პირდაპირ მაცხოვარს ვგავდი. ზიარების აღების დროს, ეკლესია ლამაზ ქალებით იცებოდა და გიყვარდეს თქვენ რომ იცით იგი ამბავი—მოდიოდა და მოდიოდა ძღვენი და...

შიკრიკი:—და ეხლა კი, ჩემი სიკეთის არ იყოს, აპრუ-წუწუნ თქვენს საქმეს... საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი და ეხლა კი საბინაო სასამართლოს შიკრიკი ვარ... აი, დამსახურება და კარიერა, თუ გნებავთ, ეს არის! კანკები გამომწვარი მაქვს წალმა-უკულმა სირბილით; ყელი და კისერი ყანჩასავით გამიგრძელდა... ფეხებზე ტყა...

მეპაპიროსე:—შენ ჩემი უნდა იკითხო! ვზივარ აქ და დღეში ორ-სამ კოლოდ ჰაპიროსს ძლიეს-ლა ვყიდი. ზამთარი მოდის, ამ გაფხვიელ მუნდირის მეტი არაფერმ აღარ შემრჩენია... ისე უბერავს ზამთრობით აქ ქარი, რომ...

შურუმ-ბურუმ:—მეც მაგრე არ ვარ! ფეხის გულზე ტყავი ვადამძვრა. ორ-სამჯერ შემოვივლი ამ უბანს, მაგრამ ხეირი მაინც არ არის. ეს ტანსაცმელია ჩემი სწამით-რო-საზაფხულ...

მაკლერი:—სამი კვირაა ერთ ოთახს გადავყევი და აქ იქნა ხელში ჩავდებო. ეგებ პურის ფული მეშოვნა. ეს ერთი ანაფორა შემრჩა; ქვეშ არც ზარვალი მაქვია და არც ზარვალის მეორე. ჯერ-ჯერობით კი გავდივარ ოღოთ, მაგრამ ზამთარი მოდის და...

ტუჩებს კბილებს ვაჭერდი, რომ არ გამცინებოდა, მაგრამ სიცილი ვერ შევიმაგრე და ისე ვადენიარხარე, რომ ითხივენი ზეზე წამოვარდენ და ყურები ცქეტიტს.

მე ოთახში შევარდი და ტახტზე დავეგდე სიცილით მოსავეებულმა.

ეს ამბავი მართალი იყო. ვისაც გინდათ, დაიჯერეთ! ვისაც არა და—რა მენალვლება, თქვენნი ნებაა!

ისელი.

# მ ს ბ ა მ ს ე ბ ა

„კედლის გაზეთებში დაწესებულების თანამშრომლები მონაწილეობას არ ღებულობენ; ადგილკომის მდივნები მათხოვრებივით სთხოვენ მოსამსახურეებს წერილის დაწერას, მაგრამ...“ (მუშკარის ზენიშენიდან)



— წაშოდი, კაცო, რას უტყერი? ნუ თუ მათხოვარი ამის მეტი არ გინახავს?  
 — არა, კაცო!.. საქმე იმაშია, რომ ეს მათხოვარიყველას ისე ელრიკება და სთხოვს მოწყალებას, როგორც ჩვენი ადგილკომის მდივანი გვთხოვს—დავუწეროთ წერილები კედლის გაზეთისათვის.

## ო ს , ც ი კ ლ ო ნ ო !!!

უა, კაცო, რა ყოფილა ეს რევოლიუცია?, როგორ აჯაფსანდალივით აუღია ყველაფერი არა, ვოზღუბიც რომ შაიცელა! შაიცელა, მაშ რა ჯანაბაა, კაცო! ზამთარი — ზამთარს არა ჰგავს და, ზაფხული—ზაფხულს! თურმე ყველაფერი ნესხასტია ამ რევოლიუციას დასდევს თანა და მე კი არ ვიცოდის არა, რევოლიუციის ბრალი რომ არ იყოს ყველაფერი, განა წინათ აქ არ ვიყავით რატომ მაშინ არ იყო ასე არეული, ეს ვოზღუბი ან მე ვარ გლუპი და ტუპი, და ამ ქვეყნიერებისა არა გამეგება რა, ანდა ქვეყნის იმენენია ბოუვიდა რადა!

ხან ნიაღვარი მოეარდება და მთელი სასტაინია მი-აქეს, ხან თოვლი გვახრჩობს, ხან სიციხისაგან ვიხრჩობით, ხან ქარი ამოვარდება და მიგვლეწ-მოგვლეწავს!... ერთი სიტყვით, პრამათ ბეწვზედაც კი იღია რადა ჩვენი ცხოვრება! როდის მოვა მიქელგაბრიელი, სულის ამოსაძრობათ, ცაცმა აღარ იცის! ბარემ თუ ამოძრობაა, ამოგვაძროს სრიაზუმ და მოჩრეს. რადა უქინოთა გებრუყავს ნელ-ნელა ეორანიკზე!

იხიხიან: — ციკლონმა გადაიარათ და ეს ვოზღუბის იზმენენია იმისი ბრალიაო.

კაცო, წინათ სად იყო ეს ციკლონია, თუ ბიკლონი? როგორ, წინათ ხალხი არ ვიყავით? წინათ ვოზღუბს არა ცულაპედით? „ციკლონმა გაიარათ“... ეა, კაცო, ქრისტეს ჯორით ხომ არ დაღის, რომ აქამდის ვეღარ წავიდა! წავიდა კი არა იმდღეს იმისათანა შამოტრიალდა, იმისთანა ქარი ასტება, რომ ურავანმა მთელი ტიფლისი მილენ — მოლენა! კაცი დაებერდი და ამისთანა ქარი ქალაქში არ მინახამს! ამ უზარმაზარ ხეებს ისე გლეჯდა, თითქოს სტაფილო ამოაძროვო! შუშები ხომ სულ მილენა მოლენა! სახლებს კრიშებს ისე აძრობდა, თითქოს შლაპა მოხადაო. ერთი სიტყვით მთელი ქალაქი მოგლიჯა რადა!

ჰოდა ამისთანა ურავანში გარეთ არ მოგვევით მე და ჩემი ფეფეა!...

რალაცა ღმერთი გამიწყრა და ჩემ სიმამრიშვილთან წაველი სტუმრათ. ამიტუდა ჩემი ფეფეა:  
 — გინდა, თუ არა, უნდა წაწოდეთ სახლში!

# ს ვ ლ ა რ უ ი

„ბათომში ზოგიერთ საბჭოთა სახლებში წვიმის დროს შეუსლებელია ცხოვრება — წვიმა, რაგორც ვარდ, ისე ჩამოდის სახლებში“.



ს(ი)ლი: (ქმარს ვაბრაზებით):—თავი გაანებე მაგ ვა ზეთოს კიოხვას; ბავშს და ძაღლს მიხედე, რომ არ დაიხრჩვან... ხომ ხედავ მე არ მცალია—სადილს ვაკეთებ!

ვეებები:  
 დედაკაცო, რა დროს სახლია? ვერა ხედავ ქარი ყველაფერსა ჰგლეჯავს?  
 — რა უყოთ, რომ გლეჯავს! მე რას მამაგლეჯავსო? ეპ, რას ვიხამდი. დედაკაცის გაჯავრება არც ისე ადვილია! რომ ჩამოუშვებს იმ ცხვირს, ვეელი ბადროჯანივით, ერთ თვეს ახლო აღარ მივიკარებს!  
 მეც ავდექი და გამოვყევი, მერე პირშავი ჩემი ფეფელა ისეა ჩაძმული, თითქოს საჭიდაოთ იყოს გამზადებული! ეს კლავები მოტიტვლებული, გრუდი საცემ ატკრიტი; კაბა ხომ მუხლის კვირისტავ ზევითა აქვს ატანილი! ისეა დაკარწყებული, თითქოს მეთევზე გიგუა იყოს!  
 მოვდივართ სახლში, მაგრამ რომ დაუბერავს ქარი და ამ კაბას წამოასურავს თავზე, სირცხვილით ვიხრუქები კაცი! მთელი პადვიაცები და რამე - რუმეები სულ მოუჩანს და მთელი ქვეყანა მისჩერებია ფეფელას! საწყალს კაბა ხელით უჭირავს და ძლიერს მობაჯბაჯბებს! მიყვიროს:  
 „კარავტე, მაიცა კაბას მიწვეს ქარიო“!  
 ვეებები: არა, რომელი ქორფა ბარიშნა შენა მყეუხარ, რომ მოდნის კაბას იკერავ?!  
 — ეა, მაშ რბრესტავში ხომ არ გამოვწყდები? ვისზე რა ნაკლები ვარ!  
 — ნაკლები, თორემ უშენოთ კრუთოკები დაიკეტება? დედაკაცო, სხვები რომ იკერავენ მოკლე კაბებს, ახალგაზრდები არიან და რიგიანი ფეხები გამოუჩნდებათ! არა, შენ რა უნდა გამოიჩინდეს, რომ ფეხები რაბოჩი დვორცის სტოლებს მივიგავს?! ტანი ხომ ისე გაქვს გაშვებუ-

ლი, რომა სუთასმა მალიარმა რომ გიხანუნოს ჩოტკები, სუთას წელიწადს ვერ გაუათეთრებს!  
 ამ ლაპარაკში რომ ვართ, ერთი უცებ წამოუქროლა ურაგანმა, ფეფელას კაბა თავზე წამახურა და რაგორც ბურთი ისე გააგორა ძირს! ყვირის ფეფელა:  
 — მიშველეთ, მიშველეთ! საწყალმა ფეფელამ მართო ღრიალი. მივარდი, მიხდა ავაყენო, მაგრამ დამქროლა ქარმა და ფეფელას მიმხებოქა. ფეფელა ისევ ყვირის და ღრიალებს. მაგრამ ბუნჩუნეს! რამდენი ავიწევი, იმდენი ურაგანი ზევიდან მაწვება და მე კი საწყალ ფეფელას ვაწვები და ვეყლებათ!  
 მოციფენენ შილიციონერები, მტკაცეს ხელი, წამომადეს ზევით და ერთი ორიოდ რიგიანათ მითავაზეგს!  
 — კაკ ტი სმიტ აბიუაიტ ვენჩინაო.  
 ვეებები: — კაცო, ურაგანმა შიშხებთა ფეფელას! მაგრამ ყურს ვინ გვადებს! მტკაცეს ხელი, წამათორიეს მილიციაში. და ჩამადეს პადვალში!  
 ახლა ვზივარ ქარულმა ყაჩაღივით, არესტოვანი. სად არის ის ჩემი მოკლე კაბიანი ფეფელა? ოხ, ჩემი ცოლო ელოს ამინსუკუნისამდე ამ ციკლონს და ვინც ეს მოკლე კაბები მიიგონა იმსაც! ვა, ვა, ვა, ვა! როგორ შავრცხვი ეს კაცი, როგორ ობჩესტვენი მასხარათ გავხადე ჩემი ფეფელა!.. აფსუს!... კაცო, ამ ბალშეიკებმა ყველანი მოხარეს, ყველანი თავის პლათორმაზე დააყენეს და, ნეუქელი, ამ ციკლონის პლათორმაზე დაყენება ასე გაუჩნელდათ! ანა რა ვახდა ეს ციკლონია, თუ ბიკლონი!!!  
 გომია.



№ 2 „ტარტარო“ ს უფასო დამატება № 2

### მსავგებრებელი საკითხი

მეტწიერების გამოკლებით წელსაც გამწიფრება ზამთარი, რომელსაც ჩვე ნამდვი რამდენიმე კერხი დარჩენია. არ უნდა დავიწყოთ, რომ ზამთარში სიცხვეობა, და ზაფხულის ტან-ფესის-მული არ გამოვადგება.

უნიდა გვახსოვდეს, რომ ზამთარში, შე ხაზლებლია, ჩვენ მოვებოდეს ბუზრებ-ლუბლებების გობობა, რისთვისაც, რო-ბორც ამბობენ, (და ტყე-ტრესტიც ადა-ტურებს), საჭირო არის ერთგვარი სა-ბობი მასალა, რომელსაც უმუხს ეძახიან.

საჭიროა ამოვიდინდეთ დაფიცურდელ ზამთარის ყოველივე „ხიამოვნების“ თა-ვიდან ასაშორებლად.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვჩანია, რომ ყოველ ოჯახში ცოლის თანგვლიმარე-ბით და ქმრის მდივობით შესდგეს ზამ-თარის სიცივისთან მებრძოლი სა-ჯოჯოჯოხეთი.

ამ ღონისძიებათა გატარებით, თვითუ-ლი ჩვენგანი უზრუნველყოფილი იქნება ზამთარში და, როგორც იტყვიან, თამ-ში ჭეშუდი გმურებამათ.

ლმეგრისი რომხრობამე.

### ფუტკუფუქი

**თავის ძვბა კიბრალ, კიბრი კაკი-კატო.** (როტომ კაკიკათ! ბაზარზე ქსლი წველი დამტკნარი კიბრი ღირს 15 კაბ. ტარტარო ში).

**წარსაზა, კონსერვატულ ჯგუფების ყრილობაზე,** პილსულუქიმ ძალიან მოი-წონა და შეეჭო თავისი პოლიტიკა.

**უპი კატამი**

**იჩილანკვი.** მოავრობახ და ხეიშ მო-რის ისევ დარბიან შავი კატები.

**უპისი ქივისი**

ახლად პარლამენტის მიერ ახალი მოხუცი ნაბიშნი

**ვარშავა.** ყირიმში მომხდარი მიწისძე-რა ძალი ბლიერი იყო, რომ პოლიტიკა-თის სეიმის და სენატის ნიადივი შეარყია განადურებულ (მთავრობის—პილსულ სკოს მიერ) საკანონმდებლო პალატების უფლება და ძირითადი კონსტიტუცია.

**ჭურკლის ჭურკლი** (არ წაწყდებო-ტარტ.)

პეკინი. გაცოცრეს ორი უტეო სახელმწიფოს ელჩი. გაცოცრეა მოახლონეს მთ-ვე ქვეყნის პირებმა. ამის გარე ჩან-სიანა, რომელიც

### ტარტარო ცხრა-ფული

მოწაფეების ცოდნის გამოხარკვევად, ტარტარო შმა რევინა მოახლონა ერთ-ერთ ცხრაფულეში, რის შედეგსაც აქვე ვათავებთ:



**ტარტარო:**—**Что такое виноград?**  
**მოწაფე:**—**?! ? !**

**ამხანაგი (მოწაფეს ჩურჩულთი):**—**ქ-ლაქია, ბიჭო!**

**მოწაფე (ეკვი შედის):**—**მატყუილებ!**

**ამხანაგი:**—**არ გატყუილებ:** **ლენინ-გრაღიც ხომ ქალაქია? ბიშხალადმე!**

**ვინოგრადიც ქალაქი უოფლია!** **უთხა-რა; ნუ გე შინაი!**

**ესт виноград** (ტარტარო ზს): — **Виноград**

**ტარტარო ზი (ეკვებს სიცოცხლს):**—**რო მეუ სიტყვიდან წარმოადგება თუ იცი?**

**მოწაფე (მაშობე):**—**Вино, ღვინოაგან.**

**ტარტარო ზი:**—**რომელ ქვეყანაშია ეს ქალაქი?**

**მოწაფე:**—**?! ? ! ?**

**ამხანაგი (ჩურჩულთი):**—**კახეთშია, ბი-ჭო, მგე ქალაქი!**

**მოწაფე:**—**მატყუილებ!**

**ამხანაგი:**—**ეპი, შე გლახა! ნუ თუ არ იცი, რომ კახეთში მოიღოს ღვინო ღვინო? მგე ქალაქიც იქ იქნება; ამა სხვაგან სად ჯანდაბაში უნდა იყოს? უთხარა; ნუ გე შინაი!**

**მოწაფე (ტარტარო ზს):**—**ქალაქი „ვი-ნოგრადი“ არის კახეთში.**

**ტარტარო ზი:**—**კახეთი რომელ ქვეყანა შია?**

**მოწაფე (თავდათვებს):**—**ოჯახი დაგვ-ცეს, ძალი გავტყუეს. (ტარტარო ზს):**—**ვერცხრობაშია.**

**ტარტარო ზი:**—**შევიცხარაა რომელ ქვე-ყანა ნაწილში?**

**მოწაფე:**—**შევიცხარაა არის ტრაპიზონი ში.**

**ტრაპიზონი:**—**ჩა არის ტრაპიზონი?**

**მოწაფე:**—**ტრაპიზონი არის ქებალ-ფაშია....**

**ტარტარო ზის ადიუტანტი.**

### ხელუცნობ

**ამალი პიესა.** ზმუკი სწერს ახალ პიე-სას: „ამა-ბიებე“, ცემი-ტყეპია 5 მსხვერ-პლათ და ას მუშტათ.

**სიუჟეტი** აღებულია სოფლის წითელ-სასადილოს და თემზღამსკომის ცხოვრე-ბიდან.

**ამალი ოპერა.** პანლუჟეთის მღვდელ-მა მიცევაფელთა გასაქვეყნებლად წაა

### მოგვამდეთ პატიოსანებს!

ქორესის ქუჩაზე, პლენარის მოსა-გვეში და ზემოთან მიუღო დღე რომ იდგე, ტრაპიზონში ადგოს ვერ იშოვით, და მით უმეტეს თუ პატოსანი კაცი ხარ.

გოგინი თუ არა, ხალხი მაძე-ბა, ზოგერთი მიხულოვანო პირები, რომ ცა დინახავენ, რომ უქნა ბაქნზე ბე-რია ხალხი და ბლომდ ურევი ღამაზა

უწყებებს აქტივობის უფლებას აქვთ გამოიხატონ, რაც ამოწმებულია სახელმწიფოს მხარეთველთა შორის კონკრეტულად.

### კომუნის ნადავლი

**პაკივი.** დეტურდინგის მიერ გამოკვეთილ კომუნაზე (ფეხსიანობა ქვემოთ) ფლავის სახელით მოხდადებული სტუმრების მოხარული შეწყვეტა დაბრუნების გამო კოვზი ნიკიტის ჩაუფარა.

### სისხლის დავა

**ნიქილანგი.** ამერიკელ ფაშისტურ სემგონთან დღესასწაულის ჩატარების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის—საროას სიციხე თითქმის ნორმალურად აქცია დეტურდინგის ნორმალურად უბრუნდელი.

### გოგონი ხულიგნობა

ერთა ლიგის სესიონზე ხუმრობით ნორმალური ამონაგვები.

### ახალი თეატრი

**ნიუ-იორკი.** დილარის პრინციპებზე თამაშების უბანში საბრწყველი ჩაუქმარეს საბაზისო-კომიკური თეატრის, რომელიც ულდესი იქნება მთელ მსოფლიოში. თეატრის მათი დანერგვის დამახასიათებელი სახეობებია უწოდეს—ერთა ლიგის გეოგრაფიკულ თეატრისთვის სავარაუდოდ იქნება მოწყობილი ჯამბაზევის და მასხარების დრამატული დანი, რომლის შემადგენლობაში შემდეგ ერთა ლიგის ყველა დელეგატები.

# ფერის ეპიკა

## ალაგითი რევივი

წვიმიან დარბაზში, როცა ქუჩებში ალაგის ტალახი დდება, რევივიების სიბრალეს სახეობები არიან აქვს.

თუ დარბაზს—მოდის ლიმონათ ჩაქმულ-დამბრუნული კობა ქალაქი, ანდა კონტაქტის მთავარი ქუჩის ნაპირზე მდებარე ადგილს, რომ ტალახის ნაქმულ-დამბრუნული გარეგანი.

ამას წინეთ ადარებო ჩემი ხეობის ქუჩაზე მდებარე მარტოა ხეობის მთავარი.

ქალაქის მთავარი აქ იმდროინდელი საბრწყველი დარბაზის მთავარი—ოქროსი წიგნი და მთავარი—მთავარი (სახეობა) სავარაუდოდ.

ნატორი ლი-დუ-იანს და სამსახურით დაითხოვეს.

### კუჭის კატა

**ვინა.** საბჭოთა ფლავის მანერებში შავ ზღვარზე გულის მანკი გუქრის რუმინეთის სახელმწიფო მინისტრის, რომელსაც ამ ნიადაგზე აუშავა კუჭი და გაუქრდა დეზინტოზი. შემწიფული მინისტრი მთელი დღე-ღამის განმარტობაში ზის საჭიროების ალაგის და გარედ არ გამოდის.

### აგარაკიდან დაბრუნება

**ფინევი.** 28 სექტემბერს მსტურ-ბარონ-გრაფის ბატონ ავადმყოფ ვიზიტის პოლიტიკის (ალდამიანია) კითხვები (ერთა ლიგის დელეგატები) დაბრუნდნ თავთავიანთ სახლში. ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან უმძულა ხდება,—ამბობენ: ერთა ლიგის საავადმყოფოში მალე განუტყვევებს სულსო. (გზაც იქით ჰქონება! ბარბ.)

### გაქცევის კუსკები

**შანხი.** რევოლუციონარული ჯარების მოახლოების გამო, უბრუნის საეჭიროება გახსნეს ერთდროაინ გაქცევის კუსკები. კონსტაბლიერებულში კონსულებმა უკვე სეკიდეს თავიანთი მესხები და გაქცენ. ზონკონგოში. (ინდაზა: გასაქციო მანგვე, და გაქცევის განხვევა-ბარბ.)

გონს მიგვემობიან მანაბლი, სანამ უკანა გაქცენე საეჭიროდ არ შეთხერხდებიან გზაზე.

მოგვემობიან პატრიანს ხელის ტრამვი-ში ჩაქვდომის საშუალება.

### „დიდი ლუკა“

სამსახურის შემდეგ პუწკიანე წითელ სასადილოში შევიდა სადილის სეკციონად. პუწკიანემ ფორმალურად მიიბარა ნუქიანე, რომელმაც მშინვე თანხმობა განაცხადა.

სადილის ჭების დროს მუტელად იქით დიდ ლუკებს იღებდა პირობა და, რასაკვირვლია მუტელში აგზავნიდა, რომ მსახიობელი ხანა-მხოლოდ დარჩა. სტუდენტს არ შეუფერის ასეთი საქციელი.

### „სკიცი“

**მონაგარი (გამგებს):** — თუ შეიძლება, გონივრით ჩემი ცოლი მიიღონ საქმურად.

**გამგე:** — კი მაგრამ, რა საქმის გამოეთება შეუძლია? — ბუქალტერია!



**გამგე:** სდ უმეშანია? — არასდ!

**მონაგარი:** — ვამ როგორი?! — მონაგარი! — როგორი და, — ჩემს ჯამბიანს ისე ატრიალებს წაღმა-უქმლად და ისე გაქცენ ანგარიში, რომ შეპირათ იცის თვითმული კაციკის გზაკვალი; გახეივტილ გრომის გამოჩინებაც კი არ შემიძლია. — რია-რია.

ერთა ლიგის მთავარი რევივი. კინო-სახელმწიფოებმა გამოიწვი სიღამს ახალ სურათებს: „მემა ქონებანე მკილი“ და „რევივი“.



# რევივი-დარბაზი

**კითხვა:** მე-ვად ლამაზი ცოლი. საზოგადოებაში როგორც კარგი ხელმძღვანელი იყო ჩემი გვიანობა. ვიღაც შემემა შეუქრდა და შეუყვარა,—მანვე გათხოვდა. ფირმის და რეკლამაზე კარგად ჩემს გეგმას აწერს. გონივრით გამაგებინოთ—მაქცის თუ არა უფლება აუქციონებო ჩემი გეგმის ტრევივი.

**პასუხი:** გაქცევი,—მეგრამ სჯობს მოითმინო. ახალ ქმარსაც მალე მიატრევი. მისი, მოსალოდნელია, ისევ თქვენ დავიბრუნდეს.

**მეკითხვე:** დეგამათვიე ტრაქვილი. ვაბიოებ უნივერსიტეტში სწავლის გავრცელებას, მაგრამ ვერ ამომიჩრევი ფაქულტეტი. გონივრით მიჩინოთ—როგორ ფაქულტეტზე შემიძლება გეგმადინება?

**პასუხი:** როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, არც ერთ ფაქულტეტზე არ გამოდებებით. ვიჩრევი უნივერსიტეტის თავი დაანებებით.

**კითხვა:** უმეშვივი ვარ, ფული არ მაქვს. როგორ მოვიქცე?

**პასუხი:** დადებითი სამსახურში და გვამგროს მიიღებთ.

**კითხვა:** ერთ კაცს უნდა ცხვეთი ორ-მა ამხანაგმა (ინიტომ), რომ უნდა მან გვეცხეზო ორივეს). მაგრამ უბედურება იმისა, რომ მე გაქცევი არ ვციცი.—დარბაზიკმელი ო კარგი ვარ,—ხოლო ჩემი ამხანაგი დეგამატევი ვერ არის,—სამბიცი-რობთ გაქცევა კარგად იცის, როგორც მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

**პასუხი:** შენ, რადგანაც დარბაზიკმელი უმეშვივი, დარბაზი, — შენი ამხანაგი კი, როგორც კარგი გემქმევი, გაქცევი. ამგვარი შიშის განაწილებული იქნება თქვენი სპეციალის მიხედვით.

— უნივერსიტეტის რევივი.

რევივი-დარბაზი

# ს ა მ რ ე ჯ ვ ე ლ ო ს ე ს ხ ი

ბ ა ვ შ მ ა ც კ ი ი ც ი ს ...

ე რ თ გ უ ლ ი



**მასწავლებელი (მოწაფეს):**— ერთმა კაცმა მოიგო ოცდახუთი ათასი მან...  
**მოწაფე (წამოიძახებს):**— ალაბად სამრეწველო სესხის ობლიგაცია ჰქონება!

— რა გადარდებს გულს ნუ გაიტეხი ამდენ გაჭირვების და ზარალის შემდეგ, ეგებ ბელმა ვაგვიღიძობ და ოცდახუთი ათასი მანეთი მოიგო! იყიდე ინდუსტრიული-ზატისის სესხის ობლიგაცია.

## გ ა მ ო ც ღ ე ზ ზ ე

**პროფ.** ალგებრა კარგად არ გცოდნიათ, მაგრამ თუ ერთ ამოცანას შეადგენთ და გამომიყვანთ კარგ ნიშანს დაგისვენებ.

**აბიტურენტი (ცოტა ხნის შემდეგ):**— ერთი ამოცანა მზად მაქვს, ბატონო!

**პროფ.** ბატონოს ნუ მეძახით, თორემ კოწია გაჯავრდება. სთქვიეთ.

**აბიტურენტი (თავისთვის):** თუ ჩემი ამხანაგი ხარ, რაღას მაწვალე შე დალოცვილო? ხომ იცი ალგებრის არაფერი გამეგება? დამიწერე სამი და გამიშვი! ასე უნდა ყავი ამხანაგობა. (პროფესორს):— ამოცანა ასეთია: მასწავლებელ ალექსანდრე მგალობლიშვილს უმაღლესისათვის მოსამზადებლად აყვანილი ჰყავდა 18 ჯგუფი მოწაფე; თითო ჯგუფში იყო 15 კაცი; თითო კაცი იხდიდა 45 მანეთს. ამ ფულებიდან მან იყიდა ერთი სახლი 4.000 მანეთად; დანარჩენი კი ოჯახში დახარჯა. ამოცანა გვეკითხება—რაოდენი დაუხარჯავს ალექსანდრეს ოჯახში?

**პროფესორი (სიხარბით გაბრაზებული):**— მაგ ხომ არიოთეტიკა! მე ალგებრაში უნდა ჩამბარო გამოცდა!

**აბიტურენტი:**— გვადროვეთ. ამხანაგო პროფესორო! ბოლოს ალგებრაე მოკვება. (ანგარიშობს დაფაზე): სულ აილო 12.150 მან. შეკამა 8.150 მან.

**პროფ.** (გამოცდა ავიწყდება).— ოჰ! რას ამბობ, კაცო! 12.000 მანეთი 3—4 თვეში?! მსოფლიო რეკორდია! პირდაპირ სასწაულია... შე პროფესორი ვარ და ათას მანეთს თორმეტ თვეში ვერ ავიღებ... ეს პირდაპირ უსამართლობაა.

**აბიტურენტი (სარგებლობს პროფესორის აღელვებით და ცდილობს დაავიწყოს გამოცდა):**— დიახ! უსამართლობაა, ამბ. პროფესორო, 12.000 მან. შემოსავალი და „ნალოგი“ კი არც ერთი კაპეიკი. მამაჩემი სამტრედიისში ძველი, ან დამსახურებული მიკიტანია. წელიწადში ხუთი ათასი „აბაროტი“ აქვს და 1.500 მანეთი „ნალოგი“ შეაწერეს... ალექსანდრე კი ამდენს ღებულობს!

**ეს კიდევ რა ირის!**— მომავალ წელს სხვა საგნებიც მე უნდა ვასწავლო. ისე რომ შემოსავალი კიდევ ემატება. ასე და ამგვარად აქ არის პროგრესია, პროცენტები და ალგებრის ყველა დანარჩენი მოქმედებანი; რომლებიც მე ნაკლებათ ვიცი.


**პროფ.**— იი, უსამართლობა კვადრატში აყვანილი. მოწაფეებს კლასების რიცხვი შეუმცირეს; იქ ვერაფერს სწავლობენ. — ატესტატებს მაინც აძლევენ — უფლება აქვს ანაგრობის სწავლა უნივერსიტეტშიო. ამზადებენ, ფულს ახდენებენ, სწავლით კი ვერაფერს ასწავლიან. აი, თუ გინდა, ამ ვირის თავს რომ ჰკითხო, ყველაფერი იცის, მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ იცის. ცხრა წელიწადს არაფერი არ გაუკეთებია...

**აბიტურენტი (ხვეწნით):**— ბატონო ამხანაგო! ხვალ გეომეტრიაში მაქვს გამოცდა და თუ შეიძლება მიღე გამიშვი.

**პროფ.:** პო, წადი... სამი იქნება (აბიტურენტი გახარებული გამოდის)... 12.000 მანეთი... ვაისად კიდევ შეტი... 15 მან. გამრავლებული 180 მოწაფეზე. უუუჰ, რამდენი? პირდაპირ მსოფლიო რეკორდია... უსამართლობაა კუბში აყვანილი... დაუშვებელია!..

# მისი თვალსაზრისით

აწუ



ლომი

როგორ ეჩვენება ბიუროკრატს თავისი თანაგზრომლები

# „პ ა ტ ი ვ ი ს ტ ე მ ა“

ყორიფელს დევიგერებდი, მარა ძველებურ—ჩვენებურ—ქართველურ პატივისცემას თუ ფულში გაყიდვდნენ, ეგა არ მეგონა სწორეთ!

ავარი გარყვით ახლა რაფერ დემემართა ეგი აზბავი:

ქალაქში გეახლებით, ჩემო ბატონო, ამ ზაფხულში; ბაღანე მსახურობს, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქინე. სიმაართლე გითხრა—პირველად ვიყავი ქალაქში და ჩემმა ბიჭმა ბითხრა:—თუ მე ვერ დავგვხდე სტანციაზეო, ანდრეზი გექნება ჩემი, აჩვენე კონკას და ქე მოგატარიხინებს ჩემამდე შეურათო.

აღწყვე ბარგი-ბარხანა; ხვირჯინე, კალათი—და გო უდექი ერთ მშვენიერ დღეს ქალაქისაკენ.

სიმაართლე გითხრა—ქე ვიმგზავრე გეარიანთ. ჩევედი დიღას ქალაქში და ჯერ კილო არ დამდგარა ხვირიანად პოეზდი, რომე შამოვარდა ვინცხა ყაძახი ვაგონში და მეუბნება:—ხაბაკი ხომ არ გინდა წაგიღოვო?

იმე, შე დალოცვილო, რაეა არ მინდა, თუ კი მეგისთანა სიკეთეს მიზამ!!! უარს რაეა გეტყვითქვა!—გუთხარი, დაელო ხელი. შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ჩემს ხვირჯინას, კალათებს და მიეგლო ზურგზე. მიეყობი უკან. ვფიქრობ:—ამ დალოცვილ ქალაქში კილო ქე ცოდნიენ აზნაურის პატივისცეო? ოქვა!

ჩამევედით ვაგონიდან სტანციაში თუ არა, მოვარდა მეორე ვინცხა თეთრი ფართუკიანი, გულზე დიდი მენდალი ეკიდა ჩენი ცხონებულ მამასახლისის პოპოშნიკიეთ; ეცა ამ ჩემი პატივისცემელს ხელში და დოუწყო ქიჩავი ხაბაკს:—რაეა ბედაე შენ ამის წაღებას? ეგი მე უნდა წოულო მეგასო!

— იმე! ვადავირეე კაცი! ეგი ნამეტანი პატივისცემა იქნება. თქვენ ნუ შეწუხდებით, მაგან წამომიღოს, არა უშავს-თქვა,—ვეუბნები მენდალიანს!

არ შეგკამოს კირმა არ ესმის არც ერთს. ებდღენა მენდალიან-ფართუკიანი და მოუერთო თავში ჩემი ხაბაკის წამომღებს. შეიქნა ჩხუბი—არა მე უნდა წევილო, არა მეო!

ვეუბნები ორვეს:—რაზე ჩხუბობთ ბიძია? რადგან აეე გამწარებული გინდათ ჩემი პატივისცემა, ნახევარ გზაზე ერთმა წამიღეთ და მეორე ნახევარზე—მეორემ-თქვა!

მარა შენც არ შომიკვდე! დოუწყეს ამ ჩემს ხვირჯინას ქიჩავი აქეთ-იქეთ და ქე მიმიტჭრიეს შით ღვინიანი დოქი, კვერცხები და კვანწარახიანი ბოთლი!

გამოლიტა ხელში ხაბაკი მენდალიანმა, მიეგლო ზურგზე და მიაჩინილებს სწორედ გითხრა ქე მომიეიდა გული. ეგი პატივისცემა კი არა, ვალანძლე გამევიდა ჩემი. ვამეიტანა სტანციის უკან, დაავლო მიწაზე და მეუბნება:

— ჰე! აწი შენ წეილე და მალე გამისტუმრე ფული მომეცი!

— ვაი!—ქიარ დაეალე ხარხაა!—კაცო მე მეგონა პატივს მცემდი და სახლამდი მიმიტანდი ამას,—და ფულს რაეა მთხოე აქანე გამოტანისათვის? იმ კაცს რომ გამოლიტე ხელში, რას ერჩოდე? იქნება იმას მიეტანა სახლამდე!?

— უი! შენ ვადარეული ხარ ვინცხა ხარ! რა დროს პატივისცემა? მე ამის მოხელე ვარ აქანე. მე ნასილჩიკი და არტელის წვერი ვარ, იგი კი ჩუყოი კაცი იყო—არა წვერი და აქანე მუშაობის უფლება არა აქვს და იმისა

წავართვი ხაბაკი მალე ქენი. მანათი მინდა, მეჩქარება!—რას ვიზამდი? ვერაფერი ვერ ვთქვი უცხო კაცმა. ამოვილე გამოკონჯილი მანათი და მივეცი. მევიკიდე ზურგში ჩემ ზურჯინე - კალათი და გოუდექი გზას.

ეგია ახლა სამართალი? მე მეგონა პატივისცემით მიქნეს ყორიფელი და თურზე ნუ იტყვი—ფულს გულიწა კლავდენ ერთმანეთს, თვარა შენი პატივისცემა ფეხებზე ეკიდათ! დამიმტვრია ხაბაკი და კილო მანათი ქე წეილო ორ ფეხის ნაბიჯზე! მანათათ დღეეენით მევედი ჩვენ სოფლიდან მუხიანეის სტანციამდე! ამოვივარდათ ოჯახი!...

ბალაჯან.

## უნივერსიტეტის ეკოუზი



— რა დაგემართა? რაზე ვაჯავრებულხარ?

— იმის ოჯახი დაიქცეს, ვინცხამ საქართველოში უმალღესი უნივერსიტეტი ვახსნა, თვარა ქე ვიქნებოდე მოსვენებული; ნუ გეშინია, საზღვარგარეთ ვერ გამავგზავნიდა მამა ჩემი!

# გამოცდებზე

**მასწავლებელი:** — რა, ან ვინ უფრო სწრაფია ამ ქვეყანად?

**მოწაფე:** — ყველაზე უფრო სწრაფი მებნანძრეები არიან.

**მასწავლ:** — როგორ?

**მოწაფე:** — თუ სადმე ცეცხლი გაუჩნდება სახლს, შენობის დაწვისთანავე იქ გაჩნდებიან.

**მასწავლ:** — უფრო მეტი სისწრაფე არ იცით?

**მოწაფე:** — თბილისის ელსმენები.

**მასწავლ:** — დამიმტკიცეთ.

**მოწაფე:** — ესთქვათ — თქვენ დაგვირღაოთ რომელიმე დაწესებულების გამოძახება. ელსმენით უფრო ადრე მიიღწევთ მიზანს, ვიდრე ურმით წახვიდეთ თქვენთვის საჭირო დაწესებულებაში. (რა თქმა უნდა, თუ შეელსმენე ვინმეს არ ეარშიყება, ანდა ცუდ გუნებაზე არ არის და არ შემოგვიკურთხა).

**მასწავლ:** — ესენი მარჯალია, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სისწრაფე არ იცი?

**მოწაფე:** — როგორ არ ვიცი! სახლში მწოლიარე მძიმე ავთამყოფისათვის გამოძახილ ექიმის მოსვლა.

**მასწავლ:** — ეს როგორ?

**მოწაფე:** — როგორც გასულ წელს მასწავლეს კოსმოგრაფიიდან — დედა-მიწა თავბრუ - დამსხმელ სისწრაფით უტრიალებს თავის ღერძს გარემო მზის ამოსვლიდან — ჩასვლამდე. დილით რომ ექიმს გამოუძახო ავთამყოფის სანახავათ მზის ჩასვლამდე აუცილებლად მოვა. მაშასადამე: განა ამაზე მეტი სისწრაფე შეიძლება?

მასწავლებელი კმაყოფილი დარჩა პასუხებით და მოწაფე შემდეგ კლასში გადაიყვანა.

მ. საქარდლი.

თბილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილების თანახმად, ძალის პატრონები ვალდებული არიან ძალღებებს პირბადე გაუკეთონ. (ქრონიკიდან). (რეზო გა-ძის მიხედვით).



**ძალის პატრონი (ძალს):** — შე გასაცოფებელო, ვერა ხედავ გაქურდეს, და შენ კი კუღსაც არ აქანებ?

**ძალლი (ნიშნის მოგებით):** — ახია შენზე! რატომ ამიკარი პირი ამ ბალით? სულელი ვარ — თავი შევიწუხე! „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

## განსჯვლებლის ღიღინი

(ილიახებური)

მისთვის ვმღერი, რომ ვიმღერო, ვით ცრინველმა გარეგანმა; მე ამ ქვეყნათ მასწავლებლათ ნობავლინა პოლიტგანმა.

მე დამნიშნეს მასწავლებლათ და ფულს მაძლევს „ნარკომპროსი“

და ვარ მათი მე უფროსი. მოწაფეებს მე ვასწავლი

„ნარკომპროსის“ დავალებით, იმიტომ მაქვს ეს ხელობა, რომ ერისა სამსახურში მეტი ენახო სარგებლობა.

ერის ფული ჩემათ მიანდეს, და მით ჯიბე შევსებოდეს; მის ბედით თუ უბედობით პატივი არ მაკლდებოდეს.

და როდესაც მოწაფეებს, ვითხოვთ ხოლმე საზაფხულოთ;

გამოცდებს თან გავაყოლებთ... ვინ ამზადებს მათ უფულოთ?!

მე ვამზადებ, მე გამოვცდი შემდეგ ჯგუფში, რომ ჯდებოდეს. ისა სჯობს, რა ჩემი ლუკმა, ჩემსავ ჯამში ვარდებოდეს.

მასწავლებლებს ყველას ვიცნობ, მიჰამია მათთან პური; ერთმანეთს არ უღალატებთ. ასეთი გვაქვს სამსახური.

ჰო-და! ჩემებს მე ვამზადებ ყველას მოაქვს დროზე ფული, მოწაფეცა სუსტს თუ ძლიერს არხინათ ჰქონდეს გული.

და აი მეც მიტომ ვმღერი. მზიარულათ; ჰერი ჰერი! მაგრამ დადგა სექტემბერი — და გულს მიკლავს ეს ოხერი!

ნაშურელი შმაილა.

# ტ რ ი

ნუსა და რუსა შეხვედენ ერთმანეთს. ნუსა იყო ყოფილი მეჭარხნის ცოლი.

რუსა—თევზის მოვაჭრისა.  
— მე როცა დაეინიშნე, ჩემი საქმე-რო ქარხნის პატრონი იყო. მიხაროდა უზრუნველი ცხოვრება მექნებოდა, წავიდოდი პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ნიუ-იორკში—აქეთ და იქით: მაგრამ რა ღამესაც გავთხოვდი, იმ ღამეს ჩამოვადგეს ბოლშევიკებმა მე-ქარხნების ბედი ტახტიდან. ჩემმა ქმარმა მხოლოდ სულიდან ვაღიარა ჩინა-ქმედსა საუბედუროდ.

— ჩემმა ქმარმა კი—დაიწყო რუსამ, თითქმის ყველაფერი შეინარჩუნა. მართალია ძალიან ემდურის ბოლშევიკებს; მაგრამ ვერ ვატყობ რომ სამდურავი ჰქონდეს—ისევე ეპირობს თევზით და ფულიც საკმაოდ აქვს.

— ამასთანავე—განაგრძო ნუსამ,— ჩემი ქმარი მეტად ცუდრ კაცი გამოდგა: აღარსად გამიშო, აღარავისთან დამლაპარაკა, არც ჩამაცო, არც დანახურა და აღარც მაქამა რამე: ვასუქვალაშხდები და შენი კველარების თავი არა მაქცსო. ქორწინების პირველ დღეებში მხოლოდ ორჯერ მოვინახურე სხვასთან გასეირნება... აი ეხლა, მიყურე, საფრთხობელას დაეშვავს: ჩემი ქული ჩიტებისაგან ვარჩინო მშემიქვრიტესა ჰგავს. პალტო—მამა ანტონის ძველის ძველ ანაფორას და „ტუფლები“ ხომ... არც ქალმებსა ჰგავს, არც ფლოსტებს, არც ქოშებს. ერთი სიტყვით, რაღაც, ბევშეებისაგან ცუდათ დაწულ კალათებსა ჰგავს. სახეც, ხომ ჰხედავ—ცარიელი ყურებიდა ვარ. მერე, რო იცოდე რა ლამაზი ვიყავ!

— ვგრე გეჭყევა, შენი ქმარი და ვერ გაეყარე?

- სად წავიდე?
- ლამაზი ყველგან გზას იშოვის.
- მერე მე ეხლა ლამაზი ვარ?
- რა საშინელება!

— ჩემმა ქმარმა არ მიმიყვანა იქამდე, რო ცოტათ მაინც მოვეკითებულყვი. ჩემს გამოყვებებაში ის თავის უბედუროებასა ჰხედავს, რომ მქონდეს საშუალება. ცოტათ მაინც დავიბრუნო ჩემი წარსული სახე—რას დაუდგებოდი ქმარს! სად არ წამიყვანდნენ მაშინ კველარები!..

— ოჰ, რო იცოდე, ნუსა, ამ მხრივ რა ბედნიერი ვარ!

- როგორ?
- აი ხომ ხედავ: მოდათა უკანასკნელი სიტყვა ჩემს ტანზეა აღებული ფარჩეულობით! მერე რა კუთარლები, რა სეირნობა, რა დროს ვატარებ!
- ქმარი არ გიშლის?
- სრულიადაც არა.
- რა პატიოსანი კაცი ყოფილა!

# „ჩინური“

„თელავის შინამრეწველთა კლუბის აბრას და განცხადებებს დამწერის მეტი ვერაფერ წაიკითხავს.“  
(მოხეირნეთა საუბრიდან),  
(ლოს მიხედვით).



ჩამოსული— უკაცრავად.. ხადარის აქ შინამრეწველთა კლუბი? შესაბამი: აი ეგ უნდა იუოს! სახელი კი ძან ნამდვილი დაურქმევით— შინამრეწველთა. ხალხსა სწველიან რა-ღა და სახეიროს კი არაფერს უჩვენე-

— სადაც კი მოვისურვებ გამიშვებებს, რამდენსაც კი ვსთხოვ, მომცემს ფულს, არც ვისთანვე სიარულს მიშლის და—წარმოიდგინეთ — იმდენად პატიოსანი და სეინდისიანი ადამიანია, რომ ერთხელ მომასწრო კიდევ სხვასთან გახურებულ კონცაში და თავი ისე მომაჩვენა, ვითომ ვერც კი დავინახეო.

— რა პატიოსანი კაცი ყოფილა! რა ბედნიერი კყოფილხარ! ასეთი ბედნიერება მხოლოდ ზღაპრებში წამიკითხავს...

— ზღაპარი არ გეგონოს. პატალო ს:მართლუა!

— ალბად შენი ქმარი სოციალისტია.

— სრულებითაც არა! ისე ეჯავრება სოციალისტები რო!

— ჩემსას სოციალისტებიც ეჯავრება და არც მაგისთანა პატიოსანია.

— რატომ არ წასვალ ჟენოდელში?

— ჟენოდელი რას მიშველის? გამასუქებს, რო ვისმე მოვეწონო?

— გაგანთავისუფლებს ქმრისაგან.

— ეგ ხო მეც შემიძლიან: ვაეჭყევი და აღარ მივალ შინ. მაგრამ სად წავიდე? რაღამ მაცხოვროს?

— იმუშავე და იცხოვრე.

— შენა მუშაობ?

რუსა განუმიდა.

— მე შენისთანა ქმარი მენატრება მხოლოდ... მაგრამ მუშაობაც რო მოვინდომო, ვინ მიიღებს ჩემისთანა საფრთხობელას სამსახურში? ჩემი ყურები მოეწონებათ, თუ ნიკაპი?

— წარმოიდგინე, ნუსა, რომ ზოგჯერ ეგეცა ხდება...

— რა ხდება?..

— ისა, რომ საფრთხობელას იღებენ სამსახურში ვისმე დასაფრთხობათ. აი მაგალითად: ერთ გამგეს ლამაზი მექმანე ჰყვანდა; მექმანემ გამგეს სიყვარულზე უარი უთხრა; გამგემ იგი დაითხოვა და მის ალავას კუზინო მიიღო.

— რათა?

— გამოსაჯავრებლად.



— გაზაფხულის შემდეგ არ მინახავხარ... როგორ გასუქებულხარ ამ მოკლე ხანში ალბად აგარაკზე იუაფით ხადმე?  
 — აგარაკზე არ ვყოფილვარ არსად!  
 — მაშ როგორ?  
 — გაშვეთ და მნიშნეს და...  
 — ჰა! აწ ყველაფერი ვიცი... განმარტება აღარ არის საჭირო!

— შენუ?  
 — შერე და ის ლამაზი მემანქანე მივიდა და თანხმობა განუცხადა გამგეს სიყვარულზე.  
 — მიიღო ისევ სამსახურში?  
 — არა.  
 — რატომ?  
 — იმიტომ რომ ცოლად შეირთო.  
 — ისე რომ კუზიანს შერბა სამსახური არა?  
 — არა.

— არა.  
 — როგორ?  
 — ისე რომ კუზიანი დაითხოვა და ისევ ის ლამაზი ქალი დასვა იქ.  
 — რათა?  
 — უნდა გავეყარო და ეგ საცხოვრებელი მაინცა ჰქონდესო.  
 — თუ ჩემი სამსახურიც დროებით იქნება, რაში გამოვადგება?

— რატომ არ გამოვადგება: მანამ ეს დავი-დარაბები გათავდება, მანამ გამგე თაფლის თვეებს გაათავებს, შენც მოკეოლები და ვინ იცის იქნებ შემდეგი თვე შენც დაგეთაფლოს...  
 — მაინც შენს ბედს ვერ დავეწვიო ნეტა! შენ!  
 — ცდა ბედის მენახევრება... სინჯე!  
 ფაშანგი.

# „დაესახურებულნი ღირიუოზნი“



მეფე ზიორაბი: (ქალბატონ! გეგაპინას) — ვიმა ყობ „ცემბერლენი“ ჩინებული დირიჟორია — სხვადსენ  
 ჰეინტის შემუსკენი იბე შეხმარკილენი... რომ დიდებულად ვამოუდის ფოტოტროტი...  
 მალბატონი მუროკინა: — თქვი ურუ... რგად არ გესმით... ეს სიბერობი ბრალთა... თხოვემ გ. რდასუდებ-  
 ში და წიურენენში საზარელ დისონანსებს მანქვლით!

# ტარტაროზი

რედაქციის კავშირი



ტარტაროზი (ჩემპერლენს): ტყვილით, ცდილობს, სული ბორბოტო, აგენს მინა-წყალზე, დაფრენას. ქარხნის შიშ ბოლოში ამოვანრობთ, შენს ვერაგ ზრახვებს.

# ინდუსტრიალიზაციის სესხი

(ეს მოგონება დაწერილია ათი წლის შემდეგ—ე. ი. 1937 წელს, მაგრამ ვფიქრობ, რომ დღესაც, არ იქნება რიგი ინტერეს მოკლებული და ამიტომ ვათავსებთ. რედაქცია).

ეს იყო 1927 წლის შემოდგომაზე. მახსოვს, მაშინ მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები, სულ რაღაც 200 მილიონი მანეთის.

ახლა, 1937 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 20 წ. თავზე, ალბათ ყოველ თქვენგანს გაუკვირდება: რა არის 200 მილიონიო, მაგრამ ამ ათი წლის წინად ეს ფული დიდი თანხა იყო მით უმეტეს ჩვენთვის, რადგანაც მრეწველობას საფუძვლიანი გადახალისება ესაჭიროებოდა.

დღეს,—1937 წელს თქვენ ხედავთ აუარებელ ფაზრიკა-ქარხნებს და ჰიდრო-ელსადგურებს. მაშინ—1927 წელს მხოლოდ დაწყებული იყო ახალი მშენებლობა.

მაშინდელ გაზეთებში ყოველდღე ნახავდით ქრონიკას:

„დაიწყო ქალაქის ქარხნის მშენება“.

„მეუღლენ ჰიდრო-ელსადგურის მშენებას“.

„იწყებდა მადნეულობის დამუშავება“.

თქვენ ასლა აღარ გაკვირვებთ ზაჰესის, რადგანაც რიონის ჰიდრო-ელსადგურს 65.000 ტონის ძალა აქვს და თათარაენისას 100.000. მაშინ—1926—27 წლებში ზაჰესისთან სადგურიც დიდი ზედწიგება იყო.

ინდუსტრიალიზაციის სესხით და სხვა ხახელმწიფო შინაურ სესხებით. მაშინ ჩვენ ვეროპა ესევე გვიღრუნდა და სესხის მოცემას კი არა, ომის გამოცხადებასაც ეპირებოდა. ასე კი არ იყო საქმე დაწყობილ-დალაგებული, როგორც ახლა.

ჰო-და იმას მოგახსენებდით, 1927 წლის შემოდგომაზე მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის 200 მილიონიანი სესხი. მე მაშინ შემხაბველ სალაროში ვმუშაობდი და ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებს ვაერცელებდი.

ერთხელ ჩემთან უმუშევარი მოვიდა. მაშინ ბევრი იყო უმუშევრები. ისე კი არა, ახლა რომ სანთელით ეძებენ უმუშევარს და მაინც ვერ პოულობენ.

მოვიდა უმუშევარი და ადგილი მიშოვეო მითხრა.

— სადაა ძამია ადგილი, ხომ ხედავ შტატებს ამიკრებენ, აპარატის რაციონალიზაცია ხდება!—უთხარი მე.

— აბა რა ექნა, კაცო?

— შეიძინე ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია.

— დამცინი, თუ რა არის?

— არა შეგობარო, იშოვე ერთი ხუთი მანეთი და შეიძინე ობლიგაციის მეხუთედი, შეიძლება ფული მოიყო.

— უმუშევარი დაფიქრდა და წავიდა. მართლაც სადღაც ეშოვა 5მანეთი და ობლიგაციის კუპონი შეეძინა.

— შეეხვდი მუშას..

— რას შვრები, ივანე, იძენ ობლიგაციას?

— ფული არ მაქვს, შემომეხარჯა...

— მაინც შეიძინე იცოდე, მაგას მოველით შენგან?

მუშამ მართლაც შეიძინა.

გადავეყარე ნაცნობ ბუღალტერს.

— შეიძინე სესხის ობლიგაციები?

— საიდან ძმოო, წვრილი ცოლ-შვილი მყავს...

— რა უყოთ მერე? რა არის შენთვის 25 მანეთი? ზქნება ფულიც მოიგო.

შეიძინა ბუღალტერმაც.

წავედი ერთ დაწესებულების გამგესთან. ერთ ხანს არ მიმიღო. მაშინ—1927 წელს ისე კი არ იყო, როგორც ახლა.—1937 წელს: ცოტა ბიუროკრატიზმშიც გახლდათ, ცოტა „ვოლოკიტაც“. გამგესთან შესვლა მძინელი იყო. მხოლოს მაინც შემიშვეს.

— შეიძინეთ სესხის ობლიგაციები!

— ნება არ გვაქვს,—მომჭირნეობის რეჟიმიო.

— ნუ გეშინიათ, მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია მაგას არ ეხება.

— კარგი, შევიძინეთ დაწესებულებისათვის.

— თქვენც შეიძინეთ პირადათ.

— კარგი, მეც შევიძინე.

წავედი სოფლად და გლეხებს უქადავე სესხის მნიშვნელობა. მაშინ—ათი წლის წინად გლეხობა კიდევ არ იყო შეგნებული.

— მანქანებს გააკეთებენ, ფართალს მოგაწვდიან, მიტკალი ბევრი იქნება და ფანელი.—ვეუბნებოდი მე.

ახლა, რომ მუშკოოპის ნოქრები მუშტარს ხელში ალღეტენ ერთმანეთს—ჩემგან იყიდევო, ისე კი არ ყოფილა: მიტკალს წვეთობით ყიდდენ. ფანელი მხოლოდ ზაფხულში იშოვებოდა. სამრეწველო საქონელი ასე უხვად არ ეყარა.

გლეხებმა დაიჯერეს და რამდენიმე იყიდეს კიდევ ობლიგაცია.

კერძო ვაჭარ-სპეკულიანტებშიაც ვეცადე ობლიგაციის გავრცელება (მაშინ კერძო ვაჭრობა ასე მიკნავებული კი არ იყო) და ზოგმა ვაჭარმაც შეიძინა.

ქალები პირდაპირ არ მასვენებდენ:

— მოგვეცი ობლიგაცია, ფულს მოვიგებთ და კოკერკოტს ვიყიდითო.

— მომეცით სამი 25 მანეთიანი ობლიგაცია.

— მომეცით ოთხი!

— მიბოძეთ ხუთი ობლიგაცია.

ერთი სიტყვით ჯანი გამაცალეს, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდენ ობლიგაციებს. ჩემ კასასთან სულ რიგი იყო.

სულ რაღაც 1 ნახ. თვეში გავასალეთ 200 მილიონი მანეთის ობლიგაცია მთელ კავშირში. მაშინ ეს დიდი საქმე იყო, რადგან ფული ბევრი არ გვქონდა: მუშა რაღაც 70—80 მანეთს იღებდა თვეში, ახლანდელივით 200—300 მანეთს კი არ იღებდენ.

ობლიგაციები გავასალეთ და დაიწყო სესხის გათამაშება, ანუ ტირაჟი. როგორც მოგეხსენებათ, თუ ობლიგაცია გაქვს, ტირაჟის, ანუ ობლიგაციების გათამაშების დროს შეიძლება ფული მოი:ო. თუ ვერ მოიგებ, შენი ფული მაინც არ გეკარგება. ტირაჟი წელიწადში 4-ჯერ ხდებოდა.

პირველი ტირაჟი მოხდა 1927 წ. 28 დეკემბერს.

სწორედ სამი დღის შემდეგ, ახალ წლის დღილით ჩემთან მოვიდა ის უმუშევარი, რომელსაც ობლიგაცია შეეძენიე. მოვიდა, მაგრამ რა მოვიდა: პირდაპირ ფრანტივით იყო გამოწყობილი, ასე გეგონებოდა დიდი ხნის შვილიშვილსავე ყოფილა და შესაფერი გამოსარჩენიც ჰქონიო.

ძვირდა კი არა, შემოვარდა, მეცა და სამჯერ მაკოცა. თან წითელი კვერცხები მომიღოცა.

— შოგილოცავ გენაცვა ახალწელს...

— კი მარა ეს წითელი კვერცხი?

— ეს ხომ იცი, ძველი ჩვეულებაა...

— კაცო, დღეს ახალი წელია...

გიყვივით ხარხარი დაიწყო. საწყალი ისე გახარებული იყო, რომ ახალი წელი აღდგომით მოჩვენებოდა და წითელი კვერცხი შეეღება.

უცებ შემოტრიალდა, მეცა და ამიყვანა. ამიყვანა და ჰაერში შემავდო, ისე რომ კინაღამ ჰერს დავეტაკე თაკით.

— კაცო, რამ გაგაგოე, თავი არ გამიტეხო!

— გაგიტეხოვო! გაგიტეხო კი არა, ოქროთი უნდა მოგიქედო, შენით გავკეთდი კაცო...

— როგორ?

# ს ლ ო რ ი რ ე ტ ე პ ტ ი



აპადგმუში: — ენაზე რალაც მაზოლები გამიჩნდა...  
 შპიში: — მაჩვენეთ აბა... ჰაა! თქვენ ალბად ბევრს ლაპარაკობთ მოხ-  
 სენებებზე და ცოტას აკეთებთ; საჭიროა პირიქით: ცოტა ილაპარაკეთ და  
 ბევრი გააკეთოთ, ენა მოასვენეთ და სატკივარიც გაივლით

— როგორ და ხომ გახსოვს ობლივაცია რომ შევი-  
 ძინე?

- შახსოვს.
- ტირაყი რომ მოხდა 28 დეკემბერს ისიც გახსოვს?
- შახსოვს.

— ჰო-და ტირაყი მე მოვიგე... მოვიგე ორი ათასი  
 შანეთი, ათი ათას შანეთიანი მოგების მეზუთელი... მე ხომ  
 ხუთ შანეთიანი კუპონი მქონდა... ოხ! იმ პიონერს ვენაც-  
 ვალე ხელებში, რომელმაც ჩემი მოგების ნომერი ამოი-  
 ლო ლოტარეიდან... მოდი ერთი დაველიოთ...

— ლენის მოტანა მიწოდდა, მაგრამ არ დამანება,  
 ახალ ნაყიდ პალტოს ჯიბიდან ამოიღო ორი ცვარტი კა-  
 ხური, ერთი კონიაკი, (ძალიან დიდი ჯიბე ჰქონებია! ტა-  
 რტაროზი) უბიდან ბუტერბროდები ამოალაგა და ქეიფს  
 შეუდგეოთ.

— ეს გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაცია, რაციონა-  
 ლიზაციას, ნაციონალიზაციას, ტირაყს, მირაყს, ფინანს,  
 და ეირაფს. ერთი სიტყვით, გაუმარჯოს აპარატის გამარ-  
 ტიკებას და მის შედეგებს,—გაცხარებით ლაპარაკობდა  
 ჩემი სტუმარი და სავსე ჭიქებს სცლიდა.

შემგვი ტირაყი მოხდა 1928 წლის 20 თებერვალს.  
 რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა მუშა ივანე, რო-  
 მელსაც ობლივაცია ვაყიდვინე. მოვიდა ახალ სპექტანი-  
 სამოსში გამოწყობილი (მაშინ სპექტანისამოსს სახლშიაც  
 იცვამდენ).

— იცი რა გახარო? ფული მოვიგე,—მომამხა მან-  
 —ტირაყი მოხდა და ათასი შანეთი მოვიგე. ახლა ყველა-  
 ფერს ვოყიდი. ჯერ ეს სპექტანისამოსი ვიყიდე, რადგა-  
 ნაც აღმინისტრაცია მაინც არ იძღვოდა. შენ გენაცეა-  
 ლე ერთი საღამოს დამეპატოე, შენგან მაქვს ეს ათასი  
 შანეთი.

ბევრი ვიუარე, მაგრამ მაინც წავედი საღამოს.

მესამე ტირაყი მოხდა იმავე წლის 20 მაისს.

ერთ დღეს, ტრამეის საფეხურზე ასვლის დროს ვი-  
 დაცამ წელში ხელი მტაცა, ციმ-ციმ ამიყვანა და იქვე  
 რესტორანში ჩამიტანა. გაჯავრებულმა სიტყვის თქმაც  
 ვერ მოვახერხე. მხოლოდ რესტორანში შევხედე ჩემს მო-  
 მტაცებელს.

— ლენო! მწყვდი!—გასძახა მან რესტორნის პატ-  
 რონს

# ინდუსტრიალიზაციის სესხი

(ეს მოგონება დაწერილია ათი წლის შემდეგ—ე. ი. 1937 წელს, მაგრამ ეფიქრობ, რომ დღესაც არ იქნება ზგი ინტერესს მოკლებული და ამიტომ ვათავსებთ. რედაქცია):

ეს იყო 1927 წლის შემოდგომაზე. მახოვს, მაშინ მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები, სულ რაღაც 200 მილიონი მანეთის.

ახლა, 1937 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 20 წ. თავზე, ალბათ ყოველ თქვენგანს გაუკვირდება: რა არის 200 მილიონიო, მაგრამ ამ ათი წლის წინად ეს ფული დიდი თანხა იყო მით უმეტეს ჩვენთვის, რადგანაც მრეწველობას საფუძვლიანი გადახალისება ესაქიროებოდა.

დღეს,—1937 წელს თქვენ ხედავთ აუარებელ ფაზრიკა-ქარხნებს და ჰიდრო-ელსადგურებს. მაშინ—1927 წელს მხოლოდ დაწყებული იყო ახალი მშენებლობა.

მაშინდელ გაზეთებში ყოველდღე მახავდით ქრონიკას:

„დაიწყო ქალაქის ქარხნის მშენება“.

„შეუდგენ ჰიდრო-ელსადგურის მშენებას“.

„იწყება მანუფაქტურის დამუშავება“.

თქვენ ასლა აღარ გაკვირვებთ ზაჰესი, რადგანაც როინის ჰიდრო-ელსადგურს 65.000 ტენის ძალა აქვს და თათარაენისას 100.000. მაშინ—1926—27 წლებში ზაჰესისთანა სადგურაც დიდი ბედნიერება იყო.

ინდუსტრიალიზაციის სესხით და სხვა ხახელმწიფო შინაურ სესხებით. მაშინ ჩვენ ევროპა ესეე გვიღრუნდა და სესხის მოცემას კი არა, ომის გამოცხადებასაც ეპირებოდა. ასე კი არ იყო საქმე დაწყობილ-დალაგებული, როგორც ახლად.

ჰო—და იმას მოგახსენებდით, 1927 წლის შემოდგომაზე მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის 200 მილიონიანი სესხი. მე მაშინ შემწახველ სალაროში ვმუშაობდი და ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებს ვაზრტელებდი.

ერთხელ ჩემთან უმუშევარი მოვიდა. მაშინ ბევრი იყო უმუშევრები. ისე კი არა, ახლა რომ სანთელით ეძებენ უმუშევარს და მინც ვერ პოულობენ.

მოვიდა უმუშევარი და ადგილი მიშოვეო მითხრა.

— სადა ძაბია ადგილი, ხომ ხედავ შტატებს ამერიკებენ, აპარატის რაიონალიზაცია ხდება!—უთხარი მე.

— აბა რა ექნა, კაცო?

— შეიძინე ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია.

— დაშინი, თუ რა არის?

— არა მეგობრო, იშოვე ერთი ხუთი მანეთი და შეიძინე ობლიგაციის მეხუთედი, შეიძლება ფული მოიგო.

— უმუშევარი დაფიქრდა და წავიდა. მართლაც სადღაც ეშოვა მანეთი და ობლიგაციის კუბონი შეეძინა.

— შეხედი მუშას..

— რას შერები, ივანე, იქენ ობლიგაციას?

— ფული არ მაქვს, შემომხებარჯა...

— მაინც შეიძინე იცოდენ, მაგას მოველით შეგან? მუშამ მართლაც შეიძინა.

გადავეყარე ნაცნობ ბუღალტერს.

— შეიძინე სესხის ობლიგაციები?

— საიდან ძაბო, წერილი ცოლ-შვილი მყავს...

— რა უყოთ მერე? რა არის მენთვის 25 მანეთი?

იქნება ფულიც მოიგო.

შეიძინა ბუღალტერმაც.

წვედი ერთ დაწესებულების გამგესთან. ერთ ხანს არ მიიღო. მაშინ—1927 წელს ისე კი არ იყო, როგორც ახლა,—1937 წელს: ცოტა ბიუროკრატიზმიც გახლდათ, ცოტა „ვოლოკიტაც“. გამგესთან შესვლა ძნელი იყო. მხოლოს მაინც შემიშვეს.

— შეიძინეთ სესხის ობლიგაციები!

— ნება არ გვაქვს.—მომჭირნეობის რეკიშია.

— ნუ გეშინიათ, მომჭირნეობის რეკიმის კამპანია მაგას არ ეხება.

— კარგი, შევიძინო დაწესებულებისათვის.

— თქვენც შეიძინეთ პირადათ.

— კარგი, მეც შევიძინე.

წავედი სოფლად და გლეხებს უქადავე სესხის მნიშვნელობა. მაშინ—ათი წლის წინად გლეხობა კიდევ არ იყო შეგნებული.

— მანქანებს გაგიკეთებენ, ფართალს მოგაწვდიან, მიტკალი ბევრი იქნება და ფანელი.—ვეუბნებოდი მე.

ახლა, რომ მუშკოპოის ნოქრები მუშტარს ხელში აღლტენ ერთმანეთს—ჩემგან იყიდეთ, ისე კი არ ყოფილა: მიტკალს წვეთობით ყიდდენ. ფანელი მხოლოდ ზაფხულში იშოვებოდა. სამრეწველო საქონელი ასე უხვად არ ეყარა.

გლეხებმა დაიჯერეს და რამდენიმე იყიდეს კიდევ ობლიგაცია.

კერძო ვაჭარ-სპეკულიანტებშიაც ვეცადე ობლიგაციის გავრცელება (მაშინ კერძო ვაჭრობა ასე მიკნავებული კი არ იყო) და ზოგმა ვაჭარმაც შეიძინა.

ქალები პირადაპირ არ მასვენებდენ:

— მოგვეცი ობლიგაცია, ფულს მოვიგებთ და კოკერკოტს ვიყიდითო.

— მომეციო სამი 25 მანეთიანი ობლიგაცია.

— მომეციო ოთხი!

— მიბოძეთ ხუთი ობლიგაცია.

ერთი სიტყვით ჯანი გამაცალეს, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდენ ობლიგაციებს. ჩემ კასასთან სულ რივი იყო.

სულ რაღაც 1 ნახ. თვეში გავასაღეთ 200 მილიონი მანეთის ობლიგაცია მთელ კავშირში. მაშინ ეს დიდი საქმე იყო, რადგან ფული ბევრი არ გვქონდა: მუშა რაღაც 70—80 მანეთის იღებდა თვეში, ახლანდელივით 200—300 მანეთის კი არ იღებდენ.

ობლიგაციები გავასაღეთ და დაიწყო სესხის გათავაშება, ანუ ტირაჟი. როგორც მოგეხსენებათ, თუ ობლიგაცია გაქვს, ტირაჟის, ანუ ობლიგაციების გათავაშების დროს შეიძლება ფული მოიგო. თუ ვერ მოიგებ, შენი ფული მაინც არ გეკარგება. ტირაჟი წელიწადში 4-ჯერ ხდებოდა.

პირველი ტირაჟი მოხდა 1927 წ. 28 დეკემბერს.

სწორედ სამი დღის შემდეგ, ახალ წლის დღით ჩემთან მოვიდა ის უმუშევარი, რომელსაც ობლიგაცია შეეძინა. მოვიდა, მაგრამ რა მოვიდა: პირდაპირ ფრანტივით იყო გამოწყობილი, ასე გეგონებოდა დიდი ხნის შივლინებაში ყოფილა და შესაფერი გამოსარჩენიც ჰქონიაო.

მოვიდა კი არა, შემოვარდა, მეცა და სამჯერ მაკოცა. თან წითელი კვერცხები მომილოცა.

— შოგილოცე გენაცხე ახალწელს...

— კი შარა ეს წითელი კვერცხი?

— ეს ხომ იცი, ძველი ჩვეულებაა.

— კაცო, დღეს ახალი წელია...

გიჟივით ხარხარი დაიწყო. საწყალი ისე გახარებული იყო, რომ ახალი წელი აღდგომით მოჩვენებოდა და წითელი კვერცხი შეეღება.

უცებ შემოტრიალდა, მეცა და ამიყვანა. ამიყვანა და პაერში შემაგდო, ისე რომ კინაღამ ჰერს დავეტაკე თაკოთ.

— კაცო, რამ გავაგოცა, თავი არ გამიტეხო!

— გაგიტეხოვო! გაგიტეხო კი არა, ოქროთი უნდა მოგიტეოდო, მენით გავკეთდი იცი...

— როგორ?

# ს ლ ო რ ი რ ე ტ ე პ ტ ი



**ა ვ ა დ მ უ შ ი :** — ენაზე რაღაც მასოლები გამიჩნდა...  
**მ ე მ ი შ ი :** — მაჩვენეთ აბა... ჰაა! თქვენ ალბად ბევრს ლაპარაკობთ მოხსენებებზე და ცოტას აკეთებთ; ხაჭირთა პირიქით: ცოტა ილაპარაკოთ და ბევრი გააკეთოთ, ენა მოასვენეთ და სატყვიარიც გაივლით

— როგორ და ხომ გახსოვს ობლიგაცია რომ შეუძინე?  
 — მახსოვს.  
 — ტირაჟი რომ მოხდა 28 დეკემბერს ისიც გახსოვს?  
 — მახსოვს.  
 — ჰო-და ტირაჟი მე მოვიგე... მოვიგე ორი ათასი მანეთი, ათი ათას მანეთიანი მოგების მეზუთედით... მე ხომ ხუთ მანეთიანი კუპონი მქონდა... ოხ! იმ პიონერს ვენაც ვალე ხელეზში, რომელმაც ჩემი მოგების ნომერი ამოიღო ლოტარეიდან... მოდი ერთი დაველიოთ...  
 — ლვინის მოტანა მინდოდა, მაგრამ არ დამანება, ახალ ნაყიდ პალტოს ჯიბიდან ამოიღო ორი კვარტი კახური, ერთი კონიაკი, (ძალიან დიდი ჯიბე ჰქონებია! ტარტაროზი) უბიდან ბუტერბროდები ამოალაგა და ქეიფს შეუღებოთ.  
 — ეს გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაცია, რაციონალიზაცია, ნაციონალიზაცია, ტირაჟს, მირაჟს, ფინანსს, და უირაფს. ერთი სიტყვით, გაუმარჯოს აპარატის გამართვებს და მის შედეგებს,—გაცხარებით ლაპარაკობდა ჩემი სტუმარი და სავსე ჭიქებს სცლიდა.

შემეგი ტირაჟი მოხდა 1928 წლის 20 თებერვალს. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა მუშა ივანე, რომელსაც ობლიგაცია ვაყიდვინე. მოვიდა ახალ სპექტანისამოსში გამოწყობილი (მაშინ სპექტანისამოსს სახლშიაც იცვამდნენ).  
 — იცი რა გახარო? ფული მოვიგე.—მომბახხა მან.  
 —ტირაჟი მოხდა და ათასი მანეთი მოვიგე. ახლა ყველაფერს ვიყიდი. ჯერ ეს სპექტანისამოსი ვიყიდე, რადგანაც აღმინისტრაცია მაინც არ იძლეოდა. შერ გენაცვალე ერთი საღამოს დამეპარტეე, შენგან მაქვს ეს ათასი მანეთი.  
 ბევრი ვიუარე, მაგრამ მაინც წავედი საღამოს.  
 შესამე ტირაჟი მოხდა იმავე წლის 20 მაისს.  
 ერთ დღეს. ტრამევის საფეხურზე ასეღის დროს ვილატამ წელში ხელი მტაცა, ციმ-ციმ ამიყვანა და იქვე რესტორანში ჩამიტანა. გაჯავრებულმა სიტყვის თქმაც ვერ მოვანერხე. მხოლოდ რესტორანში შევხედე ჩემს მოტაცებულს.  
 — ლვინო! მწვადი!—გასახხა. მან რესტორანის პატრონს

— რაშია, მეგობარო, საქმე?— შეუბღვირე მე.

— ოს, შენ კი გენაცვალე სულში, შენს პატივისცემას ვინ გადაიხდის!— ალტაცებით მეუბნებოდა იგი.— ვერ მიტანი? მე ის ბუღალტერი ვარ, რომელსაც შენ თბლი-გაცია თითქმის ძალით აყიდივინე... მერე იცი რა მოხდა? მე მოვიგე... დიდი, მოვიგე ათ ათასი მანეთი... ბუღალტერობას თავი დავანებე. ერთ-ორ თვეს ვიჭივებ და მერე ერთ ლამაზ ქორწილს გავმართავ.— ცოლი უნდა შევირთო... ათათასი მანეთი ხუთ წელიწადს მეყოფა... მერე ვიდევ ვიყიდი ობლიგაციას, კიდევ მოვიგებ, კიდევ ვიყიდი და კიდევ მოვიგებ... სულ მოგებაში ვიქნები...

ძლივ-ძლივობით დავალწიე თავი გაბედნიერებულ ბუღალტერს.

ერთი წლის შემდეგ, როცა ისევ მოხდა ტირაჟი, გლეხების დღეუვაცია მომადგა.

— რა გნებათ?

— ლატარია მოვიგეთ შენი ქირიმე... დიდი ფულბ მოვიგეთ და კომუნა გვინდა გავაკეთოთ. ერთი აგრონომი გვიშოვე, რომ კომუნა მოგვიწყოს... ი ქიტე ძალლი აბლივაცია რა მადლიანი ყოფილა... ნატარეაში ოცდახუთი ათასი მაიგეს ჩვენმა ბიჭებმა. ახლა წყალსაც გავიყვანთ, ტრახტორსაც ვიყიდი, კამუნასაც მოვაწყობთ...

სამ-ოთხ წელში მოსვენება არ მქონდა: ხან ერთი იგებდა, ხან მეორე. ზოგმა სახლი იყიდა, ზოგმა ცოლი გაუშვა და ახალი შეირთო, ზოგმა მალაზია გასსნა, ზოგმა ბეტომობილი იყიდა...

ასეთია დაახლოებით იმ ინდუსტრიალიზაციის სესხის აზბავი, რომელიც 1927 წელს გამოუშვეს.

ახლა, 1937 წელს ორასი მილიონი დიდი არაფერი თანხა ჩვენი სახელმწიფოსათვის, მაგრამ მაშინ, ათი წლის წინად, როცა ასეთ წერილში ოცი მანეთის მეტს არ იძლეოდა (ტყვილად გვეკრავთ, ქათინაური არ გავივით, ამ წერილში ოც მანეთს არ მოგცემთ. ტარტაროზი). „ტარტაროზი“ რედაქცია, სხვა მდგომარეობა აყო: ახალი მრეწველობა იწყებოდა და ისეთი პატარა სადგურიც კი, როგორც არის ზაპსი, განცვიფრებას იწვევდა. თბილისში მაშინ ხეირიანი კანალიზაციაც არ იყო, ვერის დაღმართზე მტვერის ბული ადიოდა და პლეხანოვის პროსპექტის შეკეთებას ორი-სამი წელი უნდებოდა ქალაქის აღმასკომში.

აღლარ-აღლარსან.



ჩუბიკა

- მეუზოვევ, რომელი საათია?
- არ ვიცი ბატონო.
- კარგი მეუზოვევ ხარ— დრო არ იცი.
- კარგი ბატონი ხარ— საათი არა გაქვს.

# მოქმედი იოზი

ამ წერილის დამწერი ეხლა მკვლარი უნდა იყოს. მისი სიცოცხლის და სიკვდილის შესახებ, არავინ არაფერი იცის. არც არაფერი დარჩენილა მისი სიკვდილის შემდეგ, გარდა ამ წერილისა, რომელსაც სრულიად შემთხვევით წააწყვედი. როგორც დაინახავთ, მისი გვარიც გამოურკვეველი რჩება ამ წერილიდან. ვტყობილობთ მსოფლოდ, რომ მისი სახელია იოზი. ვინ იყო იოზი, სად დაიბადა, სად გაიზარდა, ეს ჩვენთვის წყვედილით არის მოცული. დანარჩენს ეს წერილი მოგვითხრობს.

წერილის სათაურია:

## „უიქრავი თავის მოკვლის წინ“

.....არასოდეს არ ვიფიქრებდი, ასეთ საშინელ საქმეს, თუ ჩავიდენდი. სხვას უბტყუნებდი თავის მოკვლას, ემბობდი: სილოელი ყოფილა და მოსანაღვლიც არ არის-მეთქი. მართლაც არ არის მოსანაღვლი ის კაცი, რომელიც თავს იკლავს. ეხლაც ამას ვამბობ. მეც არავის ვსთხოვ შებრალებას, თუმცა ბევრიც რომ ვსთხოვო, ვინ სცალია ჩემთვის. ცოცხალი არავის გავხსენებია, მკვლადი რომ მოვაგონდე, ეს ხომ სასწაული იქნება.

ჩემი თავი მაშინ დავლუპე, როცა საშუალო სასწავლებელი გავათავე და თავი ნასწავლ კაცად წარმოვადგინე, როცა სოფლის მასშტაბით არ დაეკმაყოფილი და ქალაქი მოვაშურე, მუშაობას მოწყურებულმა. ვფიქრობდი: ჩემისთანა ნასწავლ კაცს შესაფერად დამაფასებდნენ. ქალაქში და შესაფერად სამუშაოსაც მომცემდნენ. პროტექცია ყოველთვის სათაკლო საქმედ მიმიჩნდა და მართალი გითხრათ, კვებით შემძილია ვსთქვა, რომ ისე მივიღვიარე საიქიოს, რომ არავისთვის პროტექცია არ მითხოვია.

შევიდოდი რომელიმე დაწესებულებაში, ენახავდი (თუ შემეშვებდნენ) დაწესებულების უფროსს, და განუცხადებდი, რომ მე სურვილი მაქვს ვიმუშაო შესაფერად თანამდებობაზე. უფროსიც შესაფერად კასუსს მომცემდა და მეც თავაზიანად კარებს გამოვიხურავდი.

არ დამიტოვებია თბილისის არც ერთი დაწესებულება. თვით სასაკლაოზედაც ვიყავი სამჯერ, თუ ოთხჯერ ნავთლულში, როცა თბილისის შიგნით ჩემთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

აქა-იქ მეტყუოდენ „შემოიარეთო“. მეც, რასაკვირველია, ხშირად შემევილა, მაგრამ როგორც შემევილა, ისე ჩამივილია.

„მოთმინებითა შენითა იოზი“... ვეტყვი ჩემს თავს და ვუცდიდი ბედს. ჩემს დღეში არ დამეიწყებია ერთი კაცის სახე, რომელსაც ყოველთვის სიცილი აუფარდებოდა კანტელარიაში, როცა მე დამინახავდა დაწესებულების უფროსთან. შემევალოს.

ერთხელ ის გამომყვა დერეფანში, გამაჩერა და მითხრა:

— შენ, ჩემო ძმაო, ისე დაბერდები, რომ სამსახურს ვერ იშოვი.

— რატომ?— გაკვირვებული შევეკითხე.

— შე კაცო, კვერში ხომ არ ცხოვრობ. „მალაჩეო, შენ სურვილი გაქვს იმსახურო. (სიცილს ძლივს იკავებდა). უშველე ძმაო, შეუიწინე ჩვენს გამგეს ვინმე დიდი კაცი. ოთხი ადგილია ცარიელი. ვინ მოგცემს უპროტექციით ადგილს? დავატყორდი ეხლავე.

— მოვკვდები და მაგას არ ვიზამ.

— არ იზამ და მასე იარ, ჩემო კარვო!— მითხრა მამ და გაიხურა კარი.

მე ისევ დავდივარ. ჩამოვხმი კვირკობისთვის ტარანგით, ჩემს ტანსაცმელში ვგვევარ ყანის პირას დასობილ საფრთხობელას.

მოვიდა ბედი. გამოჩნდა პატიოსანი კაცი და მითხრა: ადგილი არის, მხოლოდ კავშირის. წვერობაა საჭირო.

— მიმიღეთ და კავშირში შემდეგ ჩავეწერები.

— არა, კავშირის წვერი თუ არა ხართ, უფლება არ მაქვს სამსახურში მიგიღოთ.

— ძალიან კარგი, ვუპასუხე და გავსწიე კავშირისაკენ.

— სურვილი მაქვს კავშირში ჩავეწერო, ვეუბნები კავშირის მდივანს.

— სად მუშაობთ?

— არსად.

— თუ არსად არ მუშაობთ, კავშირში ვერ ჩავეწერით.

— პერი ჰაა! კავშირში არ მღებულობთ თუ არ ემსახურობ, სამსახურში არ მღებულობენ, თუ კავშირის წევრი არ ვარ. როგორ არის თქვენი საქმე? ქვეყნის უკანონო შეიღი ვარ? ზედმეტი თუ ვარ, ამ ქვეყანაზე, მითხზაო.

....და ბოლოს დავრწმუნდი, რომ მართლაც ზედმეტი ვარ.

გავიდა დრო. ავად იყო, თუ კარგად, ერთ-ერთ დაწესებულებაში მოვეწვეე. თანამდებობა არაფერი სახარზიელო იყო, მაგრამ ჩემი პროტესტი არავის გაუგონია. ვმუშაობდი, უკაცრავად სიტყვაა, ვირიეით. ერთი კვირა ვიმუშავე. შემდეგ დაიწყო შტატების შემცირება და, რასაკვირველია, პირველად ჩემგან დაიწყეს. დაერისი ისევე გადავიღო.

გავიდა დრო. მოვეწვეე ერთ პატარა დაწესებულებაში, შეაძვირეს, კიდე მოვეწვეე, კიდე შემამცირეს, კიდე მოვეწვეე, კიდე შემამცირეს. ბოლოს მომბეზრდა ჯავი; როგორც კი დაწესებულებაში ფეხს შევდგამდი, მაშინ გაასხენდებოდათ მომჭირნეობაც, რაციონალიზაცია, აპარტის გამარტივებაც და ყველაფერი. დავრწმუნდი, რომ ჩემს ბედს დასდევდა ყველაფერი უკუღმართობა. ჩემმა ბედმა მარტო მე კი არ დამლუპა. სამარეში მიმყვება ერთი დაწესებულების ცოდვა. როგორც მიგ ფეხი შევდგი, მაშინვე, მეორე თუ მესამე დღეს, ლიკვიდაცია უყვეს. მე რომ არ შევსულიყავი იქ სამსახურში, ღარწმუნებული ვარ არაფერი მოუვიდოდა.

მოთმინება კარგი საქონელია, მაგრამ როცა ყოველგვარი აზრი ეკარგება, აღარაფრად ღირს. ძალიან მეზარება თავის მოკვლა. მე თვითონ ჩემს თავს ვეუბნები:

— იობი, ძალიან ცუდი საქმე განიზრახე, მაგრამ რას იზამ, რა შენი ბრალია. რომ იცოცხო, რა უნდა აკეთო? ხნ რა სიცოცხლეა შენი სიცოცხლე. გამოხვალ ქუჩაში და მე შენ გეტყვი, სალამს მიცემას ვერ აუხვალ. შენთან ვაზრდილი ამხანაგებიც რომ შეგხედეს, სწორედ შენ რომ გაგისწორდება, მაშინ დაუწყებს კიტრინებს უტრებას, ვითომ შენ არ გამჩნევო. შენი ამხანაგი შიო ავტომობილით, ჩაგივლის გვერდით და მტერს თუ მოგაყრის თვალგზში, თორემ სალამი დიდი ხანია მიხანშეუწონლად მიასნია. შენ კი, საწყალო იობი, ტრამეაზე ოცნებობ, როგორც მიუწვდომელ ბედნიერებაზე. რა ღმერთი გაგიწყრა, იობი, ცონსტანტინესთან „უდაკლადოთ“ არავინ შედის; შენ კი უზრალო გადამწყურის ადგილი რა არის!—იჭიდანაც ოცდაათჯერ მოგხსნეს.

ზედმეტი ხარგი ხარ ამ ქვეყანაზე, თუ დარწმუნდები. ხედავ, ხალხი ცხოვრობს, ხალხი ნეტარობს. რამდენიმეჯერ დაკვირვებისარ: მოვლენ სასადილოში, სკამენ, სემენ, ეს სუკო, ეს ცუცხალი, ეს სალათაო, კასურიო. ღესერტო და რა ვიცი რა არა, შენ კი, შენ გაჭირვებული, მესამე წელია ბორშს არ გასცილებინარ. სოფლიდან რაც წამოდი, ღვინის გემო არ იცი როგორია. ღვინო კი არა, რამდენი ბაპანაქება ზაფხული გაატარე ისე, რომ ლაღის წყალიც არ გადაგიშვია პირში. შენი

ახალგაზრდობა (რალა ახალგაზრდობაა, ოცდაათ წელს გადაალაჯე) ისე გაატარე, ერთი რომანი არ გქონებია. სხვის რომანს რომ წაიკითხავდი, ყოველთვის შეხი გული თრთოდა და სტებბოდი მხოლოდ სხვისი განცდებით, აბა ერთხელ თუ გამოგიცდია პაემანზე ლოდინი? რამდენ ლამაზ ქალს შეხვედრიხარ, რამდენზე თვალი დაგჩინია. აბა ერთს რომელიმეს თუ შემოუხედავს შენთვის? (თუმცა რა შესხედავი შენა ხარ!).

ეს! მოკვდი და გაათავე. რა გაქვს საერთო ცხოვრებასთან? აბა, შენ კიდე კი გაქვს საერთო, მაგრამ ცხოვრებას რა აქვს შენთან? თო? სამსახურში ზიდმეტი ხარ, შემცირება შენგან იწყება, მოდი და სამუდამოდ შეამცირე შენი თავი. ფული შენთვის არ არის. ერთხელაც მაგრად არ გამძლარხარ. რა კაცი ხარ, თბილისში ცხოვრობ და ტრამეაზე დაჯდომა გენატრება, მაშინ როდესაც სოვი ავტომობილს „სისტემის“ მიხედვით იწუნებს. შენთვის არ ვაჩენია თეატრი, კინო, პაემანი, ქალი და არაფერი.


მართალი პერი, რომ ყლაპო, ეს ხომ ცხოვრება არ არის. კილობით ყველაფერო! უპროტექციოდ ემორღებები ცხოვრებას. იობი“.

შენიშვნა: ესლა მოვიდა ცნობა, რომ იობის თავის მოკვლა დახარებია; წასულა ისევე სოფელში, დედამისის მიერ გამოძახებარ ქალს სქამს და ცხოვრებით კმაყოფილია.

ხეგირ-ბენ-შეიხ.

### მონსრეგული კასუხი

(ი. ბეჟ-ის მიხედვით).



მასწავლებელი:—რა არის ფედერაცო?  
მოწაფე:—(ვინიდან იღებს პაპიროსს):—ფედერაცია აი ეს პაპიროსია.

# გ ე ო ს ყ ი ს ე ა თ ი

— გეზნები, ანგელოზმა ჩვენი ყისმათის ბაშბორთი ეშმაკს ხათაბალბების კნიშკაში გაუცკვალა მეთქი! ამ ბე-  
მურაზ ვეშაქსაც, რაც რომ ფინთი ნესხასტიები იყო სულ ამ კინიშკაში ჩაუწერია: — ასმა გეოჯან, ქრის-  
ტიანული ყაშანაკები აგერეოა, ხათა და შარი კი აღარ  
დაგეოლოს! ჰამაც რაც აპანისი სლუჩი შაგზდეს, შიშე.  
შუტკი მამენტები, — რამე — ისიც სხვა იყოსო მამაშ?

ჭულურში ასე გამოდის რალა, სიყმეს გეეცები, თე-  
ლეთის მადლმა — ჰამ არევე-ქუ არევე, ტრჩი-ტრჩი სიმარ-  
ლეს ეამოვ, გინდა დაიჯერე, გინდა ნუ!..

ვახს! ქრისტიანებოჯან, ამტროლი ხათა გინახათ? სა-  
დაც რომ არ წაველ, ყველგან ნეუდახა და ნედარახუმე-  
ნიებთ, ყველგან ბრიაბრა და მახართთ გაკეთება, შიშე,  
ზარალი და ათასი ღოზანა — გინ მოსთვლის? სლოვოში ჩე-  
მი საქმე ამ კიტრაციის ღენერლებივით სულ უკან-უკან  
მოდის რალა, ჩინამეები აირია.

ახარ ზარალსაც ზარალს ეტყვიან, ჰამა ამისთანა ჰა-  
კარაკი ზარალი? — ფეფელი ერთი წყვილი კრიპდინინც-  
კის საცვლი დაკარგა, გრანდიკის საქონელა იყო, — თავის  
აუურნი ვიშაპებით, რამით, — ჰამაც კარქი ფარდალლა  
კაპოტის კაბა, ტუფელ-პადუსკი, გუმბი ჰამადა თავის რი-  
ბეკლეთთა და ღორიგანცის პუდრითა, სულ კანდრა-  
ბანტის რამეები იყო, ოქროსკეთი ხალასი — პოლიკრიანი  
რამეები.

ჰამაც ამას ჩემი ფინჯაკშარვლი და ბაშმაკები მიუ-  
მატე, იქაც ქული და ახლათ ნაყილი ბანდაჟი ჩაიღ ჩოთქ-  
ში! ნახე რა სუმა შადგეს? არა, რომ დიდი ზარალია? ჰუ-  
შურში შიში და აბრდა? ცალკე გვიქამია — მამაშ?

ჭობულეთის ამბავს გეზნებით...

ვახს! არ გაგივითა ჭობულეთში რა სლუჩი მოგივი-  
და? ერიჰა, მამ ქვევრში იგაქით თუ რა ღოზანა დაგე-  
მართათ? ყური დამოვდეთ, თავიდან ვამოვ:

ხომ იცით, ბარჯეოში, რომ ფეფელა ავით გახდა,  
იმ ბემურაზ შავი ქათმის ჰუმი ჯიგარი რომ ჰამა და ბო-  
ლოს ასლაენენია ქნა. ის იყო რალა, კინალამ უბაშბორ-  
თით პირდაპირ საიქიოს გამიფრინდა ეს სალსალსათი  
დედაკაცი. ბოლოს ჰაი ეეტერინარნი დობტური, ჰაი ოყ-  
ნა, ჰაი ღოზმანცკის კაპლები, ჰაი ფლანი, ჰაი ფსტანი და  
ახში ისევე საჩვენოში მოვიდა რალა — მორჩა, ფეხზე ადგა,  
და ძველებურათ ისევე მწყურები აათამაშა. ერთ დილას  
სწყელივით ტკილი და ლასკოვი ლაპარაკი დამიწყო:

— გეოჯან, ხომ ნახე ზაფხული ამ ჩორტი-ნაკუ-  
ლიქკაზე გავტარე და განათლებულ ხალხში გამოვაკლ-  
დი, ეხლა კი რეშენია მიქნია ასალ ჰავარაკზე მივდივარო.  
ეშმიში ვაგზდი, ვერაფერი გავიგე:

— დედაკაცო, იასნათ მითხარი, დიდმარხვის ანგე-  
ლოზებმა ხომ არ მოვიარეს? რის ჰაკარაკი, რის ნაკული-  
ქკა, სად უნდა წახვიდე მეთქი?

იცინის, მაგისტანა ნედაგადლივით უნდა დაბერდო?  
მე ინტლიგენცურ რამეებს გეზნებო, ჰაკარაკი კი არა  
ჰავარაკიო, ჰავარაკს განათლებული ხალხი დაჩას ეტყვი-  
ანო, ასალ დაჩაზე მინდა წასვლა, ეხლა მოდნაში ჭობუ-  
ლეთი შაშოსულა და ყველა ნასწავლები იქ  
მიდიოანო. შენ სიყმეს ვენაცვალე უარს ნუ იტყვი, ერთი  
თვით ჩავიდეთ, ჰამ ვისიამოვნებთ, და ჰამაც შენ კანდრა-  
ბანტი რამეები იყიდე და როცა ჩამოვალთ ფულს მაი-  
გებო...

— ფეფელ, ჰოპოპები ნუ ავიშვია, აღარ გახსოვს  
ერთხელ ჭობულეთში ზურგიელმა რომ გიკინა და ბარ-  
კალში თიაქარი გაგიჩნდა?

— უი ფჩანეს შენისთანა წუწურაქი ქმარი! ჰაზირ  
სწორეთა სთქო, რომ ფული მენანებათქო? ჰამაც რის  
ზურგიელი, რის სელიოტკა, მე მამინ ღოშმა მიკინა და  
ეხლა კი დოშები შავ ზღვაში აღარ ყოფილანო მამაშ?

— მამ სად წასულან?

— ამას წინათ ციკლონი ქნა და რაც რომ დოშები

ქკო, სდლ კაპას ზღვაში გაცურებულანო — ვერემ-ვერ-  
დში ასე ეწერაო!

მახლახ, ბევრი ვინალამეთ, ბევრი ვიჩხუბეთ, ჰამა  
ახშა იმან თავისი ქნა და მეც ისევე მაქნეინა — დასტურ  
რალა, სალლანნი გამხდა!


პუტუს, მესამე დღეს ჭობულეთში ვართ!... გავსულ-  
ვართ შერეგზე და ვა, ვა, ვა, — გული მარწყვით მექცა,  
ეშ სეა-ც დააუნა. ატრა ღოზ ცეცხლი მამეკილა. ხი-  
წიწვით დამხრუკა, სისხლი. პაყრათ გადამექცა, შამამე-  
სვია, ქრახათ ამანთო, ტრინში კანარეკა ამიკიკიკილა, სა-  
ფეთქელში კიკილას ზურნამ დაუქრა, ყურებში ჩოკას  
ქიანური აკენსდა, — გავში, სტალბნიაკი მაივიდა თე-  
ლი ველარ მოვაშორე:

იცით რა იყო? ვა, სამოთხე დაბლა ჩამოვარდნილა  
რალა, თავისი ცხონებითა და ანგელოზებითა — ჩემბ მზემ  
მართალს გეზნებით, საძოთხესავით ყველა შიშველი იყო,  
ანგელოზებითა ყველა ერთმანეთის გვერდით ტიტლიკა-  
ნა გორავდა, წინ უწყებოდა, ეშმორებოდა, ხან ერთ ხა-  
რეს უჩვენებდა ხან მეორეს; ანგელოზებით დედიშობი-  
ლა დარბოდნენ, ერთმანეთის კამუშებს ვსროდნენ, ზღვა-  
ში ავდებდნენ, ერთმანეთს იხებენ უშვებოდნენ, — კენ-  
ჭებში აქევედნენ, რალა, ასმა ფიზიხსკი კულტურათაო.

ლაზათ გეოჯან, უყურე და ნასლაკედნია ქენი, ნერ-  
წყვი ყლაპე, თვალები აცეცე, მეტი შნო ხომ ღმერის შენ-  
თუნს არ ეტყვი? ან იეტ რა გინდა? საშოთხეში ხარ,  
ანგელოზებსა ხედამ, ვა, ცოცხლათ ცხონება მოგივდა,  
ეე, მეტი ყისპათი? ჰამა ჭობულეთისა და სამოთხის შუა  
მართო ერთი პატარა რახნიცა — სამოთხეში ადამ და ევა-  
სა ლეღვის ფოთლები ეყარათ, — ჭობულეთში კი კანც ლე-  
ღვა ბეურეიყო, ჰამა ლეღვს თუ თოლს შინც არავინ იფა-  
რებდა, ყველა ისეა, როგორც ღმერთს გაუჩენია — რათ  
გინდა ლეღვის ფოთლი? შენ ყურება გინდა, თოდ უყუ-  
რე — გინდ აქედან, გინდ იქედან — ვა, ჰაჟალუსტა, დამშ-  
ლული მოგიკვდეს!..

ვინ გინდა რომ აქ არ იყოს? ქალი, კაცი, ჯეკელი თუ  
ბებერი, ლაშაში თუ კუხანანი, გიკი თუ ჭკვიანი — გინ მოს-  
თვლის? ყველა გატიტვებულა, თავის ალუხ-მალუხა  
გამოუფენია და ანგელოზთ გაშხარა — მამაშ!

შენ კამუნისტები თქვი; იმთავს ანგელოზობა დაუწ-  
ყვიათ... ეგ ბემურაზები აქ სობოროს გეიკეამენ და შიგ  
შახმატნი კლუმს ალბენ, იქ კი ანგელოზებში ერევიან!  
ჰაი გიდი აბასთუმან? კლანდაძე ბენუას იცნოვ? შიგ  
შუაზღვაში ფეხ-დაფეხ შედიოდა და სელიოტკებს ხელით  
იჭერდა მამაშ?! ვარსიელოვი იამა გაგივინა? აი სულიე-  
ბის და პროკლოვ-ადეკატების მინისტერი როა რალა,  
ვაჰა, — ასე ქეკუპალა: ადა, გეგაზება ყუმისის ლებე-



ლიაო... ჩემგვლოვ ალიას ერთი კიტისთვის წიხლი გაურტყავს და სულ წინა კბილები ჩაუმტვრევია—ჩემა მზემ მართლა!...

ახარ ფარსადანი? ეა, ეგ მანვილაკი იქ არ დამხედა?! მექისე, თათარივით გაშიშვლებულიყო და ტრუსკებით დადიოდა,—თურმე კული ჰქონია მაგ ბემურასსა, ეშმაკის პრასისხედენიისა ყოფილა... აკი იმტომ ეშმაყურთაც წავიდა პანტი დაიხრაო? :

ერთიც ვნახო, ზღვა ლელავს, ისეთი ვალნები ხტება, გეგონება ფუნეკულიოჩიაო. ყველანი შორიდან ვლგევართ და შიშისგინთ ასლო ვერ მივდივართ. პუპუშ, საიდანლაც გაიჭრა ეს ფარსადანი და მამენტალნათ იხვის ბარტყივით შიგ ჩავარდა, ბაც!... შეახტა ერთი ვოლნა და ჩიტის ბუმბულივით წაიღო, აქეთ მიარტყა, იქით მიარტყა და სრახუმ მასპო.—საღდაა ფარსადანი? ქაფიც აღარ დარჩა! ბერგზე წიოკობენ. ზოგი ტირის, ზოგი გარბი, ზოგი იძახის უშველეთო. მე კი მიხარია და ვყვირი:

— აფერუმ ჩემა მზემ, ესე მოკედი, ჩაძალდი, შე ლუპუსტაცო, მამ ლმერთი შეგარჩენდა ჩემსა და ფეფელოს მახსარათ გაკეთებას? პრავა ვალნაჯან, არ გამოუწმო, თევზების ზაკუსკათ გააკეთე მეთქი. ერთი ჩეთვერ საათი რო გავიდა, ვნახოთ, ფარსადანმა ისევე ამოყო თავის დიპლომატოს ჩხირბივით დაგრეხილი ფეხები და ცუღს აქწევს—მიითომ მიშველეთო რაღა... ვინ უშველის? მე სხნარულისგნით ფეხზე აღარ ვდგევარ. უტბათ ვილაკა მეძახის:

— ახტი ბეზუმნი სტარი მარტიშკა, კაკ ტი სმეიშ სმეილა, ამისთანა ჰკვიანი ჯეპელი გველუპება და შენ იცინო? მივხედე, ვხედავ ნახევარ დუღინი დოგოლა ტიტლიკანა ნუგბარი ბარიშნები შამამხვევიან და მიჯვარდებიან...

— ეა, ბარიშნებოჯან, ჩემი სიყმე თქვენ გენაცვალოთ, მაგისთანა ნუგბარი ვინმეები ხართ, ფარსადანი შვილები ხომ არა ხართ მეთქი?

— შვილები კი არა იმის პაკლონიცები ვართ, ვინც რომ აქ არის ყველას ჯეგარი ეწვის და შენ კი იცინო? ამ ნიშტში ჩვენს კავალრებს დაუმახებთ და შენ თავს ავაკატავებინებთო.

ამ შიშველ ქალებთან ლაპარაკში ცოტა ავლელდი, ფეფელა შემატყო და რევენოსტობა დაიწყო, მტაცა ხელი და სახლში გააქცუნა. ფარსადანი კატასავით გაიგულდა და ზღვაში დარჩა. ნუ, ჩორო, სნიმ, ახია იმაზე!...

მაგრამ შენ მერე თქვი: ორი კვირა გავიდა, მე და ფეფელა სულ გავრტყბივით ტიტვლები დადივართ, გაიხდის, მეც ჩემებურათ გაუყრი პალუქს და ბერგ-ბერგ დადივართ!... ჯერ კი ბევრი ვერსებე.

— ფეფელ, ახარ ცოტა ნამუსი შინახე, ყველაფერს რო იხდი სიტყვილი არ არი, ტრუსკი მაინც ჩაიკვი, თოდ, წელის ქვემოთა ხარე მაინც დაიფარე, მთელი მითი გიყურებს!

— პუკლუსტა მეშჩანცობას თავი დაანებე, ჩაცმული შინაც მეყოფა, აქაური მოღდა გასდა, იმტომ ვიხდი, რომ განათლებულ ხალხში მეც გავერიო,—ყველამ შამამხედოს და ინტლიგენტ ქალათ ჩამთვალოსო?...

— ეა, მამ თუ გახდა განათლება, ფოსოს აბანოს მექისეები სულ პრადვსორები ყოფილან მეთქი, განათლება კი არა, ბემურასობა, შარლატნობა, ჰამაც, ის ქალები, რომ ტიტვლებთან ისინი თავის ლამაზ ტანს აჩვენებენ და შენ იმათ რას ებამები მეთქი?

— უი ქი, ფჩანეს იმათი თავი, იმათ თავის ტანი აჩვენონ. მე ჩემსას ვაჩვენებ, ალხანას, ჩალხანა არ დალევაო არ იცი?... ბოლოს მაინც უტრუსკით არ უშვებდა და ასე პაროქკათ დადილილი.

ერთ დღეს მზეზე ვწვევართ ჩერესსურ დავიწვით და ტყავის როსპუტი მოგვივიდა. მამენტალნათ ავირბინეთ და იქვე ხეების ქვეშ წამოვწექით... ჰაკარაკათ არ დაგვძინებია? საღამო მოსულა. გავიღვიძე, ვხედავ ჩვენი ტანისამოსე, და რამეყები აღარ არი. მოუხარიათ. ფეფელა დოგოლა შიშველი დარჩა, მე კი ტრუსკება შამარია. აქედ ვეძებ; იქით ვეძებ. არ არი, ტიტველი გავლა უფე აღარ

შიძილება, ბაზრის ხარეს უნდა გავიაროთ, აბიდას ხომ არა ვქამთ. ჯერ ვიტრიეთ, მერე ჩხუბი და ყალმაყალი ვქვსით, ჰამა, ბოლოს გადავწყვიტეთ, დაღამდეს და გავიპაროლა.



ჰამაც ხუნების იქით, ერთ ეზოში ნაგვის იაშვი იყო, მოვათარე. და ვებნებთ:

— ფეფელ, ჩაჯექ, აგვიდეფ და სახლში მიიტან!... ჯერ უარა: თქო, ჰამა ახრჩამანში სალასანი გახდა! როცა შამინდა აკიციდე და ხენეშით მიმაქქს!... ერთიც ვნახო: უკნიდან ორი ახმახი მობრბის და მეძახის:

— სტოი, ნი სმესტა კანდრახანდისტ, ლევროეს და გარტყამო... თურმე, მელიციონერები არიან, კანდრახანდისტები გამოპქცევიათ და, მე რომ იაშვი დამინახეს, ეგონათ კოდრახანტი საქონელი მიაქცსო და მამცვიდნენ. მოგვადგენ და მკლავის სოგრძე ისმეები მოგვიშვირეს. მაიზორცკის ლევიოვები...

— რუკი ვერხ, მამენტალნა ბრასიტ იაშვი, თორემ ესლავე პულიმეტრს მოგაყრიო.

მე ენა მივარდება, მუხლები მიცახცახებს, ჰამა იაშვიკს მაინც არ უშვეფ, ვებნებთ:

— მებოჯან, რის კანდრახანტი, რის ბოზბაში, ეს ის საქონელი არ არის რასაც ეძებთ. ვერა ხედამთ ნაგვის იაშვიკი მკილია, შიგ ფინთი რამეა და შორს გადასაყრელათ მიმაქქს, გამიში წაივიდე, მეთქი.

ბან ჩუნეს? ერთი ახმახი მოვიდა და იაშვიკს ხელი წაატანა. ვიფიქრე: ეს ტიტლიკანა დედაკაცი რომ ამით ხელში ჩავაგდო, ვინ იცის, კაცნი ვართ, რა მიშტის ხალხია და რამე აპანსი არ მოხდეს მეთქი. ვაგქტუნდი.

უტბათ: ბრახ! ლევროვი არ გააგდეს?... დეოჯონ ემუუუ, რაზბონიკ, კანდრახანტა მიაქვს, მამენტალნა სტრული, ლევროე, ბომბუ, პულიმეტრ, კინკალუო და და ბრახა-ბრუხი ამიტუნეს?... იაშვიკი დაეუადე და ისე გაფვონდი, როგორც გუგულუ.

უკნიდან ფეფელოს ღრილი მესმის, ჰამა რა მიმახედებს?... ბევრი ვირბინე... ბოლოს ის ახმახი დამეწია, კისერში მწვდა და დამიჭირა. წამათრიეს კამისარიტში —ატყდა ჩოჩქოლი, დამიწყეს დაპოსები, პრატაკოლები:

— რათ იყო, როგორ იყო. ვინ იყო, ფლანი, ფსტანი და პუპუშ, ფეფელოც იაშვიკით ზედ არ მამაყენეს? ასმა ვეშისტეები დაქანატელსტეაო...

ერთის სიტყვიო, სამ დღე-ღამეს გავწავლეს ტიტლიკანა ხალხი და ბოლოს ახში გამოარკვიეს, რომ ჩვენ კანდრახანდისტები არ ვიყავით და ნაბაროტ ტანისამოსე სიც მოგვპარეს... ახარ იმ ანიდასაც ნუ მათქმენებო, რაც იქ მე და ფეფელოს გადაგვხდა. ჰუზურაში, საქმე იმით გათავდა, რომ მელიციონ ჩვენს ტანისამოსის მქნა დაიწყო; და გვიოხრა, რასაც ვიპოვნით... თბილისში გამოგაგზავნიო.

აი ჩემი ყისმაია!... აი ამისთანა დაჩხავრება მამიკდა ქობულეთში; აი თელეთი გაუწყურეს, ვინც რომ ქობულეთში მამარაკათ ვაქეთა!...

ფარსადან.



№ 3 ,,ტარტარი ზონის შუბასო დამაბრძოლა“ № 3

# ჩვენი

## უახრეთი

**ძმური პატივისცემა**  
 ხონი. ბერლინიდან მიღებულ დათხოვნი თანაბრად სოციალ-დემოკრატიული წინადადებებზე პრეზიდენტ პილდორფის დაბრუნებასთან დაკავშირებით დასრულებულია გარდასახვების დასრულება და ხელზე მოწვევა.

**გამაკის ხლატი**  
 მოსხი. პარიზთან უშუალო კავშირის აღდგენის ნებდებ დაუბოლოვებულად მოლოცვა ცნობები, რომლებიც ადამიანებს, რომ... (გამოთვლებულია)...  
 ახ. ჯაკობი და საბჭოთა კავშირის... (გაფრთხილება)... მიღწერანი და პუნ-ქრევი თორღე მტრები ათიან მოსკოვისა და... (ბოლო არ არის მიღებულა).

**ველიო იტინის... იტინის...**  
 ბუბიბული. თანამედ ნიუ-იორკიდან მიღებულ რადიო-დეკრეტებისა, პოზიციონტი კრულაჯი კრია ლევის სესის უნი-ფორმულ დასრულებას გამო ყოველ საათში სამთავრო გადასახარებს.

**„ძმა-პირის-ზიარება“**  
 ოსკიბი. რუგოზე ბერლინიდან პირდაპირი მართული იტინობებიან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საბჭოთა წინააღმდეგობა პოზიციონ-დენტი პრეზიდენტოვი.

## აღმოსავლეთი

**საზიარება**  
 ნიუ-იორკში, სოფ. ტეგვი (გორის მხარეში) სანტიარული კრებისამ მიადლო დიდი პარტია ცხვირ-ბადე, რომელიც ამ დღებში დადივდება მტრებ-როგლებს, რომ საბჭოთა მიტეკი ფრ-ოულირულ მზაზე გაუღას.

**შენიშვნა: მკითხველი იფიქრებს —**  
 გზას მძობისაგანო? საჩქე იმავია, რომ აფოლურულ ლემიან მკარება თელია. ხოლო თუ კი (ქვერ-ბადე მკრებათ მტრ-ერებლებს, მაშინ სუნიც ალარ უფაწუ-ბებს და ლემიან გზის გაწმენდაც ალარ იქნება საჭირო (იხ. სანიმდე მადის აღმზანის გონება).

**ვაჭრეული ცხონელი**  
 სტამბოლში. რუგოზე ამატეკიის და ხუნევის (მოიანის მხარე) სააგენ-ტო გვატეკიების, ვეკი ცხონელი მარეცერი ცხონდება, რადგან იგი ტყვეს აბ-რობის აქტივობებში (უფრო სწორედ — მათ ქობისუფლებს).

**„მუხამუში“**  
 ოსი. სოფ. კინაფში (გუოია) დაარსდა ქიხ - სამკითხველო — „მუხამუში“, სადაც იმამებე ძველ-ძველი გაზე-თები მუხამუში-მუხამუში.

# „მეფის დალაქი“

ვილქელმის მარჩენა ხელი. გერმანიის „რეპუბლიკის“ პრეზიდენტი — პრინციპული ნიადაგს აწვადებს გერმანიის მონარქიის აღსადგენად.“



**„ლექსი“**  
 დავებრი, დავჩანაკი, წვერი გამიხდა კალარა... ნუ თუ კვლავ მეთელ გზხლამა აღარ მელისხს, აღარა?!

**ჰინდი ურგი (ვილქელმის):**  
 ულვაზე, დავიჩინე, მოგბარე წვერი ჭალარა. გავაჯობავი... სიბერე აღარ განინა, აღარა.

„ტარტარი“ № 123

საქმილური ნოვების „მეხანგრებო და სხენიკს“ ლევაკისი რუსოკოხაძის დავაქტორიკით

ტარტაროში წაშლიან ჰაერი და ამის გემი...  
პარტოზი ხოვო წყაროები — პილსუდკის  
მგობრებში ცხობივ ხელმოქცევილი გა-  
რბანა პარტიდენა.

**უვირილა.** როგორც ტოკიოდან გვა-  
ტყობავენ, ახსენებ ფაშისტული პარ-  
ტია: „მგელი მელის უარეხი ცხვარა  
შეკვამა“.

# რ მ დ კ მ ც ი ბ შ ი

ტარტაროში გართულ მუშაობაში იყო,  
როცა უტნობი მოქალაქე შემოვიდა მის  
კაბინეტში.

— ასე გეტყობა სოფთში, რომ ტარ-  
ტაროში შენ უნდა იყო!  
— დიხს! მე გახლავარ!

— ხა-ხა-ხა-ხა! — გადაიხიხარა მოქა-  
ლაქემ. ტარტაროში გაუცვირდა და კია-  
ლამ შეეცინა:

— თქვენ ახალ-შექმდებულბული ხომ  
არ ხართ? — მგობრ მოქალაქე წინ დაუ-  
ჯდა.

— ამ ბოლო დროს ძალიან მასხრობო  
და მეც გადასწყვიტე თქვენთან თანამ-  
შრომლობა! — და გზიბიდან ქალღმრთელი  
ამოიღო. — პაპროსი მომეცით თუ  
გეტყვით? — ტარტაროში პაპროსი მიაწო-  
და. მოქალაქემ ერთი ცალი პირში ჩაი-  
დგა და ითრე — ყურეებზე გამართა

— პაპროსი!  
— კა-ლა, შენ ასე მუღაპარა გემა,  
როგორც ჩვეულებრივი ადამიანი! რი-  
ს... და... რისი დაბრახნდა!  
რისი უ... ასე რადო — ყა-  
ლაქულალა, ავარულ... ხა-ხა-ხა-ხა-  
პო-და იმას გეტყობოდი, რომ გქერ თო-  
თი: მას... უნდა დამიხიხაროთ;  
ე. ი. უნდა მექაწილოთ, — და მყოფი-  
სტრიქოთა უნდა მომეცით ათი მყოფი-  
გონიბარა...

ხა-ხა-ხა-ხა... ანგობიშა: რის ტარ-  
ტარო... სიყვარული-სიყვარულია და პარტი-  
კისკვამა — პარტიკვამა, მგობრ ფული-  
ფული და გინარბარე-გინარბარე...

თუ რომ თვის შემდგმ ჩაბარა მარტოხს.  
**მუშაობის რამორადი**  
**ვაუხობინი.** საჯ. მანავს (ტვილი-  
სის მხარა) გლუქკომის დამყარა შე-  
შობის უმჯობესი რეკორდი: თავისი ან-  
სტობის განმარტობაში ვასცა რომაანადა  
სიღარიბის მოწოდება და ბედულში შეინახა  
თოფუთანაზვარი ხორბლმუწულადა.

ხა-ხა-ხა-ხა... რას იტყვი ამაზე შენ?  
ხა-ხა-ხა-ხა!

— ჩვენ ასეთი წესი გვაქვს: თუ მისა-  
ლა კარგია და...  
— როგორ გეგადრებ! ამა მე ტყუას  
დაწყოლი? მგობრ ემწი ნუ შეგი-  
ვიათ... ხა-ხა-ხა-ხა...

— გიმოგინეთ: რედქცია როგორც სა-  
ჭიროებას დაინახავს, ისე შესწორებებს—  
შემოქმედებს მასალას... რაც შეეხება გო-  
ნორას, ჯერ ერთი შემოხვედით თანა-  
შრომლებს გონიბარას არ ვაძლევთ, —  
და მფორუთ ათი შულის ნახევარსაც ვერ  
მოგცემთ.

— ხა-ხა-ხა! — მასხარა ყავალი:  
ხარ ტარტაროში... მსე უნდა გენაცყა-  
ლე... მისხროდა შენთან მოსულა და რე-  
დაქციაში ყოფნა... ხა-ხა-ხა-ხა...

— კი შე დასალუპაკო, მარა, მე და სხვა  
ერთი ვართ? ჩემისანებს თუთთან უნდა  
სიხოფდე თანამშრომლობას; მე თავი  
მოვიტამბალე და თუთთან მოვედი...  
გონიბარი ძალიან ცოტა გქონდა. ძა-  
ლიან პარტიკვამა, მა, ამ მგ ფაშა.

ვერ მოგვიღეს; სხვა რედაქციები კალთას  
მეღლებენ—ჩვენ მოგეტარა და სტრა-  
ქონში სამ მანეთს მოგცემთ, მარა, ხა-  
ხა-ხა-ხა... მე შენთან მორიგენა.

— ასე ბატონო, და...  
— დეხარევი იქით! რისი ბატონი? მე  
ძალიან მეკარგება აზნაგობაში მგებთა  
ზრდილობა... ხა-ხა-ხა-ხა... არა, წყალნი  
თევზს რომ ჯერ ჩხე რადო. შენ  
მათილა ფარსადანის ბეჭეობაში შენა!

ხა-ხა-ხა-ხა... წაიციანთ! — და მოქალა-  
ქემ ტარტაროში ერთი ლექსი მისცა. ხე-  
ლში კიდევ უამრავი იქნა.  
ტარტაროში კითხვითობა და იცინო-  
და.

**კარამტორავის დაუდევარი.**  
**ბით გაფეხული**  
**შეცდობათს გასწორება**

ხეწია: რთივანა პრაიში  
უნდა იყოს: თითქმის პრაიში.  
ხეწია: ყველას უნდა მიუყვოდოთ სიყვი-  
ლისისაყენ

უნდა იყოს: ყველას უნდა მიუყვოდოთ სიყვი-  
ლისისაყენ.  
ხეწია: რაყარ ბიფეხ ყველას უნდა ჰქონ-  
დეს.

უნდა იყოს: კორკარაბიფეხ ყველას უნდა  
ქეცოდეს.  
ხეწია: პარკობი კონსერვატორიაში ახ  
ფენს დეხა...

უნდა იყოს: აბგობი (ამყოფელი მცენე-  
რია) რისხვობორკიანი ახდენს ცდებს.  
ხეწია: ამყოფის პრეზიდენტი კალინი მ-  
აჩიფებს ძღვენათ... და სხვა.

უნდა იყოს: ამყოფის პრეზიდენტი კალინი  
მ-აჩიფებს ძღვენათ... და სხვა.  
ხეწია: აქვს ბიტიური ფიქრობა  
ხეწია: მუყუყუარა მის საბატი

უნდა იყოს: უნდა გეგებრათ მახვარის კალ-  
ბის კაპარაია.  
ხეწია: უნდა გეგებრათ: მახვარის დაკ  
ლუმის კაპარაია.

ხეწია: ვეგეტი ჩხენი...  
უნდა იყოს: ვეგეტი ჩხენი...  
ხეწია: რუსთაველი რიკონი...  
უნდა იყოს: რუსთაველი რიკონი...  
ხეწია: ღვირთი სავტ ნავთი...  
უნდა იყოს: ბიტიონი სავტ ტავთი...  
ხეწია: შუღუკის ყუქენი...  
უნდა იყოს: შუღუკის ყუქენი...  
ხეწია: რეფლის რა...  
ხეწია: სოფლის რა...  
ხეწია: ალიფინის რეფულობა...  
უნდა იყოს: ალიფინის რეფულობა...  
ხეწია: ჩემი ხელი ვაფურს ჯაფა...  
უნდა იყოს: ჩემი ხელი ვაფურს ჯაფა...  
ხეწია: არ ბიტიონი თქვენი სინდისი  
უნდა იყოს: არ ბიტიონი თქვენი სინდისი  
(ავგილია სუტავა).

ხეწია: პოლონიას სიჩიჩი  
ხეწია: პოლონიას სიჩიჩი.  
ხეწია: ამყოფლებმა გაბრახეს რა: გემი მე  
ქვამე  
უნდა იყოს: ამყოფლებმა გაბრახეს რა: გემი მე  
ქვამე  
ხეწია: იმეტილებმა გაბრახეს რა: გემი მე  
ქვამე  
უნდა იყოს: იმეტილებმა გაბრახეს რა: გემი მე  
ქვამე  
ხეწია: ამ დროს მახვარად აჩაროლი.  
უნდა იყოს: ამ დროს მახვარად აჩაროლი.  
ხეწია: დაბრუნდა ტავ-ტავინი  
უნდა იყოს: დაბრუნდა ტავ-ტავინი.  
ხეწია: დიდი ლუქა  
უნდა იყოს: დიდი ლუქა.  
ხეწია: რუსთაველის ნავთი  
უნდა იყოს: რუსთაველის ნავთი.

\*) შეცდობები ამოღებულია გაბეჭეობის  
ბოლოდან.

# „სამკითხველო“

სატირა სინამდვილედან.

(საწირე ქუთაისის მარა)

სცენა წარმოადგენს საწირის ქობ-სამკითხველოს, რომლის გამგეთ არის მუშაბატონი საშა—„პატარა ბიუროკრატი“. სამკითხველოში არეულობაა, მაგიდაზე არის ერთი ძველი გავეთი, რომელსაც ეტყობა რომ ერთ დროს „სტარლსაფარის“ როლს ასრულებდა. სამკითხველოშია აგრეთვე რადიო-მიმღები აპარატი, რომელიც „სხვადასხვა მიზეზების გამო არ მუშაობს. შკაფში არეულად ყრია წიგნები, რომელსაც იცავს დიდი ბოქლომი. გუშინ იყო პირველი (და შეიძლება უკანასკნელიც) შეშინებევა, როდესაც სამკითხველო თავის დროზე გაიღო.

**გლეხი:** (შემოდის და ათვალე-რებს გაზეთებს):—ქალბატონო სა-შა, (ამხანაგოს ვერ გაუბედავს) რო-დინდელია ეს გაზეთი?

**საშა:**—„როდინდელიაო“? ისე მე-კითხებიან, თითქოს მე მარჩიელი ვი-ყუ! შენ გაზეთი ხელში გიჭირავს და მე მეკითხები როდინდელია? დახედე, წიკითხე და გაიგებ.

**გლეხი:**—შე მამა ცხონებულის შვილო. რომ წყრები, რას წყრები; დახედე, წავიკითხე გავიგე, რომ გა-სული კვირისაა! დღეს კი პარასკე-ვია?

**საშა:**—მერე-და ჩემი ბრალია ისიც, რომ დღეს პარასკევია?

**გლეხი:**—შენი ბრალი ის კი არ არის რომ დღეს პარასკევია,—შენი ბრალია ის, რომ მაგიდაზე პარასკევს კვირის გაზეთი ძეგს და ისიც ნახმარი და მხოლოდ ერთი ცალი. ვთქვათ ამ ერთს მე დაუწყე კითხვა; მეორე რომ მოვიღებ, მან რა წაიკითხოს?

**საშა:**—ერთი ამას უყურე და! დიდაცა დღეს თუ ძან აინტერესებს ამ ოხერი გაზეთების კითხვა და როდესაც შენ წიკითხავ, შემდეგ მან წაიკითხოს.

**გლეხი:**—ყველაფერი ეს შენი ბრა-ლია...

**საშა:**—(აღარ დასრულებინებს) ტყუ... აქ ხმამაოაო ლაპარაკი აკრძა-ლულია: შენ არავინ გეკითხება—ვი-სი ბრალია! თუ გასურს გაზეთის კით-ხვა დაჯედი მანდ და იკითხე; თუ არა და ე. მანდ კარებია და მიბრძანდი. (გლეხი გაის. შემოვიდა ვანო).

**ვანო:**—ქ-ნო საშა, წიგნი მინდა, (საშა ყურადღებას არ აქცევს)... წიგ-ნი გინდა, საშა! (ისევ დუმილი. ვა-ნო ხმას აუწყებს) მე გგონია თქვენ გა-ლაპარაკებინან; წიგნი მინდა, წიგნი.

**საშა:** (გულმოსული):—მერე მე რა შეუაში ვარ? აქ სამკითხველოა და, არა წიგნების მაღაზია!

**ვანო (თავისთვის):**—კი სამკითხვე-ლოა ვა... ამ კვირაში მხოლოდ დღეს გაიღო! (საშას) რა შეუაში ხარ და

გამატანე ერთი რომელიმე წიგნი. მა-გალითად: „ლენინის თხუხულება-ნი.“ ტომი...

**საშა (აწყვეტინებს):** აქ მაგისათან წიგნები არ არის. რა ტყუულს ამბობთ! აი, მე თითონ აგერ ვებედავ.

**საშა:**—გასაღები არ მაქვს სახლში დამრჩენია.

**ვანო:**—რა ექნა? ძლივს გნახეთ სა-მკითხველოში დღეს. ასჯერ ვარ მო-სული; ხან დაკეტილია, ხან თქვენ არა ხართ; როგორც იქნა აქ „შემოგისწა-რით“ და ესლა მეუბნებით—გასაღე-ბი არა მაქვს! შეიძლება ასე?

**საშა:**—ამ განცხადებას ზედვეთ თქვენ? (უკითხავს ხაზგასმით) „სამ-კითხველოში აკრძალულია: ხმა მაღ-ლა ლაპარაკი!.. მინვლით?

**ვანო:**—იმე მიგხვდი რავე, ვირის თა-

ვი კი არა ვარ, რომ ვერ მიგხვდე! ხმა დაბლა წუხან გთხოვეთ; არაფერი არ მითხარით და ესლა ხმამაღლა გით-ხარით...

**საშა:**—ჰოდა, თუ მიხვდი,—ხმას ნულარ იღებთ (ვანო გადის. „შამოდის კომკავშირელი“).

**კომკავშირელი:**—ამხ. საშა, ამ რა-დიოს საქმე როგორ არის? აგერ ექვს თვეზე მეტია რაც დადგმულია, მაგ-რამ მაგისი ხმა ჯერ არ გავიგონია. ე, თომ, როდის დაიწყებს მუშაობას?

**საშა** („ამხანაგო“-ს დაძახებით ნაწყე-ნი):—როდის დაიწყებს მუშაობას და უხუთშაბათო კვირაში.

**კომკავშირელი:**—არა, მი უფროდ უკეთ ვიტყვი: ეს რადიო ამუშავდე-ბა მაშინ, როდესაც თქვენ ამ სამკით-ხველოს გამგეთ აღარ იქნებით ჩვენი „მარტაროზის“ დახმარებით.

**საშა.** (წამოვარდება, ეტყავს სამ-კითხველოს და ჩქარი ნაბიჯით მიდის სასეირნთო)

ლონ—გან.

## „თანახმად განცხადებისა“



ლონი

**გაზმბი:** რაშია საქმე, რომ მოხვენებან არ მაძღვეთ?

**მოპალაქი:**—საქმე იმაშია, რომ ორი დღე თქვენი ნახვა მინდა და აჩ მიმიღეთ. თუ თქვენ მართლა გჯერათ, რომ დრო ფულია, კეთილი ინებეთ და თქვენთან გაცდენილ ორი დღის ქირა მომეცით!

# „ვლავს არიგუენ“



მმარნი (ცოლს):—ნუ გეზინია... ვერა ხელავ ჩვენმა ბიჭმა უველა კედლები როგორ დაჯღაბნა?! ალბად მწერალი იქნება და რამეს კი დასწერს... წაიფანე ხვალ დილით სახელგამში და ავანსს მისცემენ... ასე უვრება უველა და ჩვენც რომ ვქნათ, ღებრით კი არ გაჯავრდებთ!

## მელორა და ჩოღარი

- შენია ეს ღორი?
- ჩემია.
- აბა ბურჯულაძე შენა ჰყოფილბარ.

— შენ ნუ მომიკედლებს! ახლა ვეგააგებინე კიდე ჩვენ თავმჯდომარესს! თავად სინსილა გამიქრო შინ ქათმისა და ახლა თუ აქ ჩაეჩვიო — დავიღუპები.

— ისე შინც არ დაიღუპები, ძამია, რომ კარაქი და ღორის ქონი დაგაკლდეს.

— ისევე ავიშენდება ოჯახი! სამი დღეა ბიჭს ველი. სოფლიდან და არსადა სჩანს, ალბად ჯერ პური არ გამოუტყვია ჩემ დედაკაცს. სამაღლის უქმელი ვარ.

— რა ტყუილები იციტ ე ბურჯულაძე! რა ტყუილები!.. რამდენადა ღორს, ძამია, ეს ბურჯული?

— შენ არ ამბობ ტყუილები იციტო! რო გიოხრა, არ დამიჯრებ. თავ-

ნაც ბურჯულაძეს შეძახი და თვითონ კოლაში სამგორამდე გავივლია. სიგამქოლისაგანა ხენეში, გინდა მომატყუო: გალმა ირემებ, რომ გამოლმა შინც დაგჩრეს...

- ნუ გააბი ქრიკინასავით... როგორ ეს ბურჯული?
- ხუთ მინეთად.
- ეს შაქი?
- ჩერგონცად.
- ის ტახი?
- ხუთ ჩერგონცად.
- ავე ის ნეზევი?
- სამ ჩერგონცად.

— მაგის შემდეგ ამბობ ბურჯულაძე არა ვარო? აბა უყურე რა რიყესავით არის გაფენილი ღორი ამ ქუანტობებში. ყველას ვერც კი ვხედავ: ვინ იცის რამდენი კიდე მოფარებულა!

ამდროს გავარდა თოფი სიმინდში.

— მოჰკლეს.—დაიძახა მელორემ. სიმინდში გადასულიყო და მეველემ მოჰკლა.

გამოიწვიეს არჩეულები. დაიარეს. ზარალი ნახეს და ოცი თუმნისა შედგა წანახელი.

— ამხანაგო—მოძმართა მელორემ არჩეულებს: რა გეჩქარებათ წანახელის აწყვა, პური გეშობათ, ცოტა-ოდენი ვკამოთ რამე და შემდეგ გავზომოთ რამდენისა იქნება წანახელი.

— არა, არა, არა!—აქიქყინდა სიმინდის პატრონი: ოცი თუმნისა წანახელი—მორჩა და გათავდა!

— იყოს. ოცი თუმნისა იყოს კაცო, ვინ გედავება, მაგრამ ამ კაცებს მშიერს ხომ არ გაუშვებთ, სთქვა ისევ მელორემ და წამოაქცია შაქი.

ორ დღეს მწვადებს შიშხინი გაჰქონდა.

— აბა მითხარით თქვენი ქირიმე-არჩეულებო, რამდენია წანახელი.

— რა გეჩქარება, შინ რო მივალთ, ერთ კვირა დღეს შავიკრიფებით და გადაეწვიტავთ,—სთქვა ერთმა არჩეულთაგანმა.

— აბა ერთი ეს გოჭები დაიქი და წამომგვარე მელორე, მინდა შენ სახელზე გამოვზარო, ენახო რა ჯიშის ღორი გყავს.

გოჭები დაუქირეს ამორჩეულს.

— აბა ერთი ეს ორი ბურჯული მე დამიქირე, ტამადლურად მინდა გავიჩინო.

დაუქირეს ორი ბურჯული მეორე არჩეულს.

— აბა ის ნეზევი ღორი წამომგვარ, მელორე, ერთი სააღმგომოდ მინდა გავასტუო და თანაც ზარალს ალარ მოგცემს.—სთქვა მესამე არჩეულმა.

— აბა ერთი ის შაქი მე გამომოგდეო, ამაღამ მგელმა არ შაქმოს — სთქვა მეხუთე არჩეულმა.

— ეი, მელორე!—დაიძახა სიმინდის პატრონმა: ის გოჭებიანი ღორი კიდევ მე გამომიგდე, შენს საღლეგრძელოდ დაეზარო, თორემ ეს არჩეულები იგრე იქერენ საქმეს, რომ შინ რო მივალთ ალარაფერ ზარალსაც ალარ დინახავენ!

არჩეულებმა თვითონ გამოუგდეს გოჭებიანი ღორი სიმინდის პატრონსა და წაივინდნენ სოფლისაკენ.

— ლიპიანო!—უთხრა მელორემ ლიპიან ჩოღარს: დაიძახე? აბა რაღა დარჩა აქ? თუ ამათაც ზეგ არ დაეარეს გოჭები—დავიღუპები.

სალამოთი სამიოდე ღორი-ლა წააღრუტუნეს ბაკში დასამწყვდევეად.

ჩოღარი ცხვირ ჩამოშვებული იჯდა და ცაში მარსკვლავებსა სთვლიდა. ამდროს უეცრად გადახტა ბაკში მგელი. დაავლო პირი რომემიღაც ღორსა და ქვიცილით წაიღო.

— ლიპიანო, ჰხედავ, ავე სამ ჩერგონციანი მიაქ.

— შერე რალას უყურებ კაცო, და უყვირე, გაავდოს.

— ი, შე სალავათ-ძაღლო, თუ დაყვირებაზეა საქმე, ის ღორი უფრო შიგ ყურში არ ჩასაყვირის?!

იყმანგო.

# ჯოჯობის

# კუთხე



## ნესტორ კვაჭი

ბიოგრაფიის მაგიერ\*)

ნესტორ ნასრია, ანუ, როგორც ხაშურში ეძახიან ნესტორ გაღვლეტილაძე დაიბადა ჯერ კიდევ ძალიან პატარობას.

ნესტორს თავიდან ეტყობოდა, რომ იგი დიდი ნიჭის პატრონი იყო.

ყველა მისი „საქმენი საგმირონი“-ს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგს მაინც დაგვასახელებთ.

შარშან ნესტორს დასჭირდა მოწმობა იმის შესახებ, რომ მას კერძო საკუთრება არა აქვს. (ეს სჭირდა მას ზაღაც კომბინაციისათვის).

ჩაეპარდა კაცი საგონებელში.

მოდო ნუ ჩაეპარდები! კაცს თბილისში 48 ოთხისანი სახლი აქვს; ხაშურში მიწა-წყალი და სახლ-კარი.



ნესტორმა საჩვენებელი თითი მიიღო „შუბლზე“ და... მოაგონდა: იგი ოდესმე ერთხელ ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც კარგი ქონება ჰქონდა; მაგრამ გაჰყიდა... მაშასადამე: მას ქუთაისში არაერთი კერძო საკუთრება არ აქვს.

\*) ცნობები აღებულია ხაშურელ წურბელას გამოგზავნილ მასალებიდან.

ტარტაროზს სწირად უსაყვედურებენ, რომ იგი ყველას მასხრად იგდებს და პატივსაცემ პირებს ყურადღებას არ აქცევს. საყვედური სამართლიანია. ამ ნაკლის გამო-სასწორებლად ჩვენ სწირად გავუშვებთ „საპატიო პირების“ სურათებს და მოკლე დახასიათებს. თანამშრომლებს უკვალვებთ მოგვაწოდონ: მათი სურათები და საჭირო ცნობები.

ნესტორი ვაემგზავრა ქუთაისისაკენ... და აიღო საკირო მოწმობა.

ამგვარად, საქმე „მოგავრა“...

ნესტორისათვის არც მიწის კანონი არსებობს. ადგილობრივ მღვდელს მიჰყავდა ერთი ნაჭერი მიწა. მერმე რა ვუყოთ, რომ კანონი ამას უკრძალავს. მისთვის, როგორც თვითონ ამბობს:

— არ არსებობს კანონი და დეკრეტი!

აი, ასეთი პლიერი კაცია ნესტორი. და ამის შემდეგ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს მისი ღიღინი.

რის კანონი, რის დეკრეტი?

ხომა არ გიქრით თავში ქარი?!

მერე რა, რომ აქ ხაშურში

საუცხოვო მაქვს სახლ-კარი?

მერე რა, რომ აქ თბილისში

მე სახლი მაქვს ეგვომ დიდი

მერე რა, რომ, როგორც ძველად

მიწებს დღესაც ისევ ვყიდი?

## „ემანსიპაცია“

ყველაფრის გაგება შეიძლება თავისებურათ.

მაგ. „ემანსიპაცია“ სოფ. დაბა-ძველაში ქუთაისის (მაზრა) დარიკო ქარქაშაძეს და მის მეგობრებს ასე ესმით:



მზადება რაუტისათვის

16 სექტემბერს უ— გაუშართეს „რაუტი“. თვითეულმა მათგანმა (ისინი იყვენ 18 ქალი) მოიტანა თითო დოქი ღვინო და ქათამი. თამალობდა დარიკო.

— ამხანაგებო ამბობდა იგი სუფრაზე.— რითი ვართ ჩვენ ნაკლები ჩვენს ქმრებზე? არაფრით. ჩვენ უნდა მოვიზოვოთ და გავტაროთ ცხოვრებაში „ემანსიპაცია“... და მართლაც მამკაცებზე არა ნაკლებ ყლაპავდნენ საესე ჭიქებს....

რითი უნდა დასრულებულიყო „რაუტი“?


ღიახ! ეს კითხვა უნებლიეთ დაეგადა კაცს.



რაუტის შემდეგ

# პილავ „მოსწრებული კასუნი“

(ი. ბეუ-ის მიხედვით).




**მასწავლებელი:**—აბა, შენ დამიხატე ცილინ დრი...  
**მოსწავლე:**—მზად არის მასწავლებელს.  
**მასწავლებელი:**—ეგ არის გეომეტრიული ცილინდრი?  
**მოსწავლე:**—ეგ არის ბატონო... ნამდვილი ჩემბერ ლენის ცილინდრი...

მამაკაცების „რაუტი“ რომ იყოს,—მაშინ დასასრულიც გვეცოდინება—ჩხუბი, ცემა-ტყუება... მაგრამ აქ ხომ მანდილოსნებია! ძნელია ექვის შეტანა, მაგრამ... ჩვენ გვეძნელება თქმა; გაუგონეთ, რას ამბობს ისარი: როცა ქალები დათვრენ, ისეთი ჩხუბი და ცემა-ტყუება ატყდა მათ შორის, რომ მგონი ერთსაც არ შერჩენია თავზე თმები, ტანზე ტანსაცმელი და ზოგიერთს პირში კბილები. მართლაც გათანაბრებულან თავიანთ ქმრებთან; რას ერჩით—„ემანსიპაციას“ იცავენ.

## შეჯიბრი

ვინ არ იცის, რომ ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა სხვადასხვაგვარი შეჯიბრი—დოლი, ავტო-გადარბენა, ცურვა და სხვა. ეს რა დიდი ამბავია. საჭმე ის არის, რაც ბათომ-ოზურგეთის მატარებლის № 44-ის რევიზორმა მიქაძემ ორ ოქტომბერს საოცრება მოახდინა. იგი შეეჯიბრა სატანებიდან ოზურგეთისაკენ მიმავალ მატარებელს. სასოცაროდ მიღებულია: როცა კაცი „გადაკრულშია“, მეტი ენერჯია აქვს. „ამიტომ მიქაძე შევიდა ბუფეტში და ბლომად დაჭაჭრა. ამბობენ:—ღენის სმამი ისე გაერთო, რომ მატარებელი დაეჩქვდა... და მხოლოდ მაშინ მოაჯონდა, როცა სადგურიდან გავიდაო! ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

მიქაძემ განგებ „დაიგვიანა“, რომ მას შესაძლებლობა ჰქონებოდა ფეხდაფეხ გამოჰკიდებოდა მატარებელს. ერთჯერ შეუკურთხა სადგურის უფროსს მის დაუკითხავად მატარებლის გაშვებისათვის და გამოედევნა მატარებელს.



მაგრამ, როგორც სჩანს, ღვისო გადაჭარბებით დაელოია და მუხლები მოეკვეთა. უსინდისო მატარებელმა აღარ დაუცადა. მიქაძე ისევ სადგურში დაბრუნდა და, როგორც „ტრიო გაცნობებს: იქეიფა მთელი დაშე... თუ გააჩნდა ფული რამე. მართალია: პირველ შეჯიბრში დამარცხდა მიქაძე, მაგრამ მას იმედი აქვს შემდეგში აუცილებლად დაეცემა მატარებელს. (ასეთი შემთხვევა ხომ ბევრია მის რევიზორობაში). ყოველ შემთხვევაში ევაშ მიქაძეს!—პირველმა მან ვაბედა მატარებელთან შეჯიბრება.



# „საიქიოს გემგზავრება“ (ს. ჩიბათი—პური)

# დ ე კ ე შ ა ნიგოზიანის თემი (გურია)

რამდენიმე დღის წინათ, ჩიბათის იმედიანსკოების თავმჯდომარეს სულაზერის წარუდგა საიქიოდან გამოგზავნილი ოთხი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია.

დელეგაციაში შედიოდნენ: ალ. კუკულაძე, ნიტ. ვალოგრე, ამრ. ჯორბენაძე და პოლ. სანაძე.

დელეგაციამ აღმასკომის თავმჯდომარეს ნათლად დაუხატა საიქიოს თვალწარმტაცი სიმშვენიერენი.

იქ საიქიოში—სთქვეს დელეგაციის წევრებმა—სრული თანასწორობა არის ცხოვრება შეიძლება უშრომით. თემის აღმასკომის თავმჯდომარეს პირადით არაფერის გაკეთება არ დასჭირდება; ის იტყვის ითუ არა—ყველაფერი თავის თავად კეთდება....

დელეგაციის წევრებს ჯერ კიდევ არ დაესრულებინათ ლაპარაკი, რომ ერძილეს მეტის-მეტე სისარულისაგან თავბრულ დაესხა; აუვარდა გულის ფანტკალი:—ამას რაღა ჯობია! მხოლოდ ლაპარაკი თქმა მოასწრო და მიიკვალა...

მართალია მან საიქიოში კარგი ადგილი იშოვნა, მაგრამ მისი დაკარგვა

ძლიერ სამწუხაროა ჩიბათის თემისათვის. და მერე როდის?—როცა თემსაბჭოს არც ერთი დადგენილება არ გაუტარებია ცხოვრებაში. მხოლოდ წლის ბოლოს სცილობდა (ან უკეთ რომ ვსთქვათ ფიქრობდა) რომ ერთი ხელის დაკვრით ყველაფერს მოიყვანდა სისრულეში.

თემისაღმასკომის თავმჯდომარეთ ეხლა ილიკო ჯორბენაძე დაეყენეთ; მარა არც იმის იმედი გვაქვს: ვაი თუ ერძილემ—საიქიოში განცხრომას ნახავს—ილიკოს დელეგაცია გამოუგზავნოს და შემოუთვალოს.

— რა გინდა! რას უტედი? ჩიბათში თეატრი არა გაქვთ; არც საკრედიტო ამხანაგობა; ვაჭრები ტყავს გაძრობს; ქუჩებში უსუფთაობაა... ყველა ამას რომ გადაუჩრე გომახურის ღელე მინაც წავიღებ, რადგან მის ნაპირებს არაფერ ამგვრებს!—

წამოდი რა აქეთ? და თუ მართლაც წავიდა, მაშინ რაღა გვეშველება!?

მ. ჩიბათელი.

ზლაგოროზი.

## შ ა რ ა ლ ა

„ტარტაროზ“, შენის ნებართვით მსურს წერა ვიწყო მარადა და, თუ შევეძლო, ავკინძო ეს სადღეისო შარადა.

ორი მარცვლიდან შესდგება სიტყვა გვეჭირა რომელი, სათვალავისა დასაწყისის მას ხმარობს კაცე ყოველი.

გვეჭირა მხოლოდ პირველი ამა სიტყვისა მარცვლი; მერე გადავიხროლოდ, ვით უფარვისი. დამალო.

აწ ახლო-მასლო ვეძიოთ, რათ გვინდა შორი მანძილი მოვენახოთ ჩენი სხეულის სულ უმთავრესი ნაწილი.

ნაწილი, რომელ სხეულის: დიქტატორ-მბრძანებელია. (ზოგი საესეა გონებით, ზოგი სულ კარგილია).

შუაზე გაკეთა ამ სიტყვის, არც ისე ვასაჭირა; შერადისათვის მარცვლი მხოლოდ პირველი გვეჭირა.

ესე ნაკვეთი რჩეული ავილოთ მოწინებითა და შემონახულს პირველსა მივაკრათ მორიდებითა..

აწ ერთი დაგვრჩა მხოლოდ-ლა, ჩვენ მოსახნი საგანი: სადაც ფრინველია ამწყვდევენ. რომელ არს მათი საკანი.

ამა სიტყვასა ბოლოდან მოკვეთით ერთი ანხანი; დაგვრჩება ორი მარცვლი—ჩენი ძიების საგანი.

აქ დოსტაქარი არ გვინდა, აღარ გვაქვს რადგან საჭმელი, გვაქვს მხოლოდ ორი მარცვლი—წინ-უკან გადასასმელი.

წინ დაუყენოთ მეორე, უკან დაეწიოთ პირველი, მით გათავდება შარადა, რისაც ვიყავით მსურველი.

ორგანოს სახელს მივიღებთ, რომელსა იცნობს ყოველი, (თუმცა მე მისგან აროდეს, ხეირს, ბიძია, არ ველი).

მას თავი მოაქვს მოსარჩლედ, ვითომც ჩაგრულთა მხსნელია; საქმე არა სჩანს, მუსაიდეს უსდება მრავალ წელია.

ეზლასან ჰქონდა სდომები, ისმოდა ბაქი-ბუქია. თუმცა მას იქ აქვს მრავალი, ჩვენში კი არვის უქია

გოგია.

# ცნობათა შიშვეთა



**ბარტონს:**—თუ ლექსს არ დაბეჭდავთ, ცნობათა მიღებაში ნუ გამომაცხადებთ... ჩვენც ასე მოვიქცეთ.

**ვალკო რაქველს** (წესი. რაქა):—მასალა უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას. გაეცანით ჟურნალში განყოფილებებს: „სატარტაროზი“ და „ჯოჯოხეთის კუთხე“-ს.

**მაქსიმის** (ტყბული):—მაგ ამბავზე უკვე გვქონდა ტარტაროზში კარიკატურა. მოგეწოდეთ სხვა მასალა—(კარიკატურა).

**ვერმიცანის** (ქუთაისი):—ეს ძველი ანეკდოტია, რომელიც ძველ ჟურნალებშია მოთავსებული. მოგეწოდეთ კარიკატურები ადგილობრივ ცხოვრებიდან.

**ამცივინის** (ჭ. სოხუმი):—მასალა უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას და მის მახინჯ მოვლენებს ფაქტებს დასახელებით.

**ჯიშინის:**—თქვენ გვიგზავნით იაგორ ლოთაძის სურათს, ალგვიწერთ მის თავგადასავალს და გვთხოვთ მოვათავსოთ ასეთი წარწერით:

კაცი, რომელიც გადაურჩა ქირურგიულ განყოფილებაში პრაქტიკანტების აქიმობას და უვნებლად გამოვიდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაუანგულ ნემსების გამო დაავადების უფრო გართულებას და ამ ნიადაგზე ავთომოფის წელში მოხრას.



**პართლაც,** იშვიათი მოვლენაა და ჩვენც სიამოვნებით ვათავსებთ მის სურათს.

**ფითრაბოს:**—საბნათ გამოგადგებოდით; ჩვენ რად გვიგზავნიდით! გვინდოდ—თავიდან ბოლომდე წაგვეკითხა, მაგრამ ქალაქი მაგიდაზე არ მოთავსდა.

**მუხური** (სადგ. მცხეთა):—აზირებული კაცი ხართ! რასე რჩით მოლარე ქალს! ნუ მიმართავთ კითხვით ისეთ დროს. როცა იპულდება—„იკრასკება“ და აღარ შემოვიყვებებს. ლანძღვა-გინების კი არა, უარესის ღირსი ხარ თუ არსიყობის დროს ხელს უშლი ბილეთის ყიდვით.

**თარალეს** (სუფსა):—სუფსელ რასკუტინს—ლ. მითა-იშვილს უგზავნით ლექსს, რომელსაც ასე ათავსებთ: რა გიშავს ციხის კედლებში, შენ გენაცვალოს თარალე. ილოცე... იმხიარულე, იმდრე: „პარი-პალალე...“

ჩვენ გადაუგზავნეთ თქვენი ლექსი, მაგრამ არა გვეგონია, რომ იგი ესლა სიმღერის ხასიათზე იყოს!

**ბ. დიგარდმელს** (ბაღდადი. ს. ზედა-ღიმი):—„კუდიანი ბებია“-ს (ნიკოს ნაამბობი), როცა ტარტაროზში კული (ბოლო) მოაჭრა, აღარაფერი დარჩა. ტარტაროზს არც კულიანობა სწამს და არც თქვენი წერილი.

**ომერ-ოღლს** (სადგ. ვაზიანი):—აბესაძეზე გიწერთ:

მოგვევლინა აბესაძე.  
კაცი არის ბრაზიანი.  
მოსვენებას არვის აძლევს.  
მთლად აიკლო ვაზიანი,  
მებუფებტეც გამოსცვალა...  
კედლის გაწეოს მოჭკრა თვა  
არ იამა, გაიღრინა,  
შეგვიკურთხა მან მრავალი...

უფრთხილდეს—ტარტაროზმა არ შეუკურთხოს, თორემ შემდეგ ვეღარ უშველის ის, ვინც

ცენტრში მას ჰყავს „იდი კაცი“  
და ამისი აქვს იმედი...  
ამიტომაც არის ალბად  
აბესაძე ასე უმელი.

**მეტეორს** (სუფსა):—დავბეჭდავთ მაშინ, როცა ტყეში მიშალულ ვანოს ნახავს ნიკო. გზა თუ დაულოცა ცოლს, მაშ რაღას ერჩით ნიკოს?!

**ზღვიხპირელს** (ნატანები):—იწერებთ ნატანების ღირების ზრდილობაზე... თქვენც იქონიეთ ზრდილობა და მრავალჯერ მოთავსებულ ამბავს კიდევ ნულარ გვაწვდით.


**ბ. ბზიკის** მეგობარს (მარანი):—„კნიაზ“ ვასო წულუკიძეს, რომელიც:

აუროთოა უვიროდა; ძმებო, რაღა დროს ძილია;  
ვერვინ გაბედავს აქ რამეს, მე ვარ „კნიაზის“ შვილია,  
—თვითონ თქვენ უთხარით (რაღა ჩვენ გევალებთ), რომ:  
დამშვიდლი... აუნაურომანს სჯობს ერთი ჭიქა მაჭარი  
და დღეს ჩვენს რესპუბლიკაში არაფრად ფანობს ვაჭარი.  
სხაპოს. სხვანაირად არ მიილოთ, რომ თქვენს ლიქსს  
აქ ვათავსებთ მართლწერის დაცვით:

მოგესალმები ტარტაროზ  
როგორც საკუთარ ძმასაო.  
თუ მოღალატე გავგინდა  
მას ცხვირში ვადენ ძმარსაო.  
პირველი არის ჩემი წერილი  
და ნულარ მტყუი უარსაო,  
თორემ სიცოცხლე არ მიღირს  
და ჩამოვიხრჩობ თავსაო.  
ჩვენსკენ წვიმები ხშირია  
და არ მოველით დარსაო.  
ერთი უღელი ხარს ვვიდი,  
მანც არ ჰყოფნის მქადსაო.  
სიძინდს ფასები უმატეს  
ერთი მანეთის შვიდამდის;  
თუ რომ მე ამას ტყვილს გეტყუ  
აღარ მივედი შინამდის.  
კიდევ მინდოდა, რომ დამეწერა  
სოფლისგან მონაპოვია,  
მაგრამ შენ ჩემზე უკეთ  
დღეს რევიმ ეკანოშია...

# პ რ ე მ ი ა

ვინც გაიგებს და ტარტაროს შესატყობიწებს ნინამდ ვაღებს - ნიქოლოზ მიწიშვილმა დაიწერა მისი პიესა "ნინამდ", შიიღებს საჩუქრად ნახეფარს ამ გათხოვრების რაოდენობის (1.000 მან.), რომელიც საი შედგამიდან ვაჭარბილი აქვს აუტორს ჯერ კიდევ მთელი ქრებულ რომანის "ნიქოლოზ"-ს ანგარიში.



# ტატატატო

„ბევრი სახლი უნუგეშო მდგომარეობაშია, მცირედენი ნიადაგის შერყევისაგან მოსალოდნელია მთელი შენობა დაინგრეს. ყურადღებას კი არავენ აქცევს.“  
(გაზეთებიდან)



ლონი

მეზოფე (მოქალაქეს):—არ შეიძლება შენი აქ გავლა! შენი სიძიმე სახლს შერყევს და დაანგრევს!  
შემწვანოლე (ვირს):—ჰაიტ, შე მართლა ვიროს წაღარადა; ფიუტობ?! შენი პატრონის...  
ვირი:—რად ყვირი ამხანაგო? ვერა ხედავ ამ სახლს, და ამ განცხადებას!? თავი კი არა შექვს სასიკვდილოთ გამაწვირული!

# 9 ს ა ა თ ზ ე

დილის 9 საათი იქნებოდა, რომ თქვენმა უგულოთა-  
დესმა მეგობარმა (გეგულსხმები მე), შეალო ერთ-ერთი  
დაწესებულების კარები. მოგესხენებათ, მუშაობა ახლა 9  
საათზე იწყება.

ჩემი უდიდესი სურვილი იყო (და არის ანლაც) სამ-  
სახური მეშინა როგორმე და მით დამეკაყოფილებია ჩე-  
მი კუჭის კანონიერი მოთხოვნილება საკვები პროდუქტუ-  
ბის მიწოდების შესახებ.

— ჰაი, შე მატყურავ, — მეუბნებოდა კუჭი, — შენ  
არ იყავი, დამდეგ საოპერაციო წელში რომ მეუბნებოდი,  
გეგმიანდ მოგაწოდებ საკვებ ნივთიერებასო? სად არის  
შენი დაპირება? რამდენჯერ გადაუხევი გეგმას და მთე-  
ლი დღეობით შშიერი დამტოვე? ლამის არის გაეხმე და  
სასესებო შეეჩირო მუშაობა. როგორ გინდა მერე ვაე-  
ტარო საქმელის მონელების რაციონალიზაცია?

— რა უყო ძმობილო, — ვუპასუხე კუჭს, — ადვილს  
შპირდებიან და როცა ვიშოვი შენც სამუშაო გექნება.  
მე და შენი გულისთვის ხომ არ შექმნიან ხელოვნურად  
თანამდებობას! მოიცადე, შტატების შემცირება ჩატარდ-  
ება და იქნებ შემდეგ მიიღონ...

ასეთიანი მუსიკაში გართულმა შეველე დაწესებუ-  
ლების კარები, რომ მენახა ყოვლის შემდეგ გამგე, ახლ  
თავმჯდომარე, ახლ შპართველი. ხშირად, ძალიან ხშირად  
მოესულვარ ამ დაწესებულებაში, ისევე, როგორც სხეებ-  
ში, მაგრამ პასუხი ყველგან ერთი მიმიღია: — „შემოარეთ  
შემდეგ“.

დილის 9 საათი იყო. კარები შევადე და შევიჭერი-  
ტინე: წინდახედული კაცი ვარ, ვინ იცის, იქნებ გამგე დე-  
რეფანში გამოვიდა და შემეჩხება, ან გვერდი წამკრა, ან  
ეულ ხასიათზეა და უცხო კაცი დამინახა დაწესებულება-  
ში... ერთი სიტყვით, შევიჭერიტზე მხოლოდ. დერეფანში  
არავინ არის. სრული სიჩუჩეა. მხოლოდ რომელღაც ოთა-  
ხიდან მოისმის ნელი ლილინი. ფეხაკრეფით შევედი. კან-  
ცელარიაში არავინ არის. საქმეთა მმართველის კაბინეტი  
დაკეტულია. გამგის ორივე მოადგილეების კაბინეტებში  
არავინ არის. არც დამგველია, არც შიკრიკი.

გამგის კაბინეტს მიუახლოვდი. ლილინი გარკვევით  
მომესმა. გული ამოფანქვალა. ვატყობ გამგეა, მაგრამ  
ასე ადრე რამ მოიყვანა? ალბათ მაგალითს უჩვენებს თა-  
ნამშრომლებს, რომ ისინიც ასე ადრე მოვიდნენ.

— დივიანიჭს, გჯერ არსად სჩა-ა-ანან... — მომესმა სიმ-  
ღერა კაბინეტდან.

— სწორედ თანამშრომლებზე ამბობს ალბათ, — გა-  
ვიფიქრე გულში. ჰაი გამგეო! ერთი ადგილი მომეტი და  
ყოველთვის უთინიას აქ ვიქნები! — ვფიქრობ გულში და  
თან ყურს უგდებ სიმღერას.

— ახ ეტო დიენი სონია-ა-ა... ლილინობს გამგე.

— ვინ არის ნეტა ის ბედნიერი სონია, — ვფიქრობ მე,  
— ნეტავი ვიქნობდე, იქნება საქმე მომიწყოს...

— რად გამაჩინე მე ღმერთო-ო... დაიწყო სხვა  
ჰანგზე გამგემ.

— ვინ რად გაგაჩინა, შენ? — ვეკითხები გულში მომ-  
ღერალს, — შენ თუ საყვედური გაქვს ღმერთთან, მაშ  
მე დიდი ხანია დიპლომატიური ურთიერთობა უნდა გა-  
მეწყვიტა მასთან, ჩემი ასე დაჩაგვრისათვის. შენ გიჭირს  
ბედნიერო? კაბინეტი გაქვს, ავტომობილი გყავს, ძვლის  
სათილებებს ატარებ, ზინა გაქვს, ჯამაგირი და გამოსარ-  
ჩენი...

— ნუ თუ ჩვენი ცხოვრება, მუდამ ასე იქნება, —  
დაიწყო მან „არშინ მალ-ალანის“ ხმაზე.

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე დარჩეს, — შევეკამათე  
მე აქედან (გულში, რასაკვირველია), ჩვენი ცხოვრება  
რომ ასე გაგრძელდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ გამგეთ  
დარჩე მუდამ და მე უმუშევრად... მაგას ერთი წუთითაც  
პრ დაუშვებ!

— თავი ჩემო, ბედი არ გიწერია-ა-ა... ჩაბაკანა  
კაბინეტში მჯდომმა.

— ერთი ამას დამიხედეთ! შენ თუ ბედი არ გიწერია,  
მაშ მე ბედის მწერლის ახლოსაც არ გამივლია! ბედიც  
შენ გიწერია და ილხალიც, თორემ გამგეობას ვინ მოგაშა-  
ვებდა?

— ანდაჯღი ია ვ ზაფომ ეხალ, სპარახოდომ რაზ...  
შღერის გამგე.

— რასაკვირველია, პირველი კლასის კაიუტიტი, —  
ვფიქრობ გულში.

— უდიდელუს, შტო ტეპერ ესტ, შტო ბილო... — ჩაი-  
ლილიან მან კუპლეტი „ამერიკელ ძიადან“.

— მართლაც უდიდელუს, — მწარედ გავიციე მე, —  
რა იყავი შენ უწინ და რა ხარ ახლა? მამაშენს ლეღლათ  
უნდა ეკურთხებინე... და ახლა გამგე ბრძანდები... მე კი?  
ყოფილი მთავარდიპეანი, ახლა სტუდენტი, შენი კაბინე-  
ტის წინ ვდგევარ...

ვინ იცის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს სიმღერა და  
ჩემი გაუთავებელი კამათი, რომ ბოლოს არ გადამეწყვიტა  
გამგესთან შესვლა.

— ეტყობა კარგ ხასიათზეა, — ვიფიქრე მე, — ვინ იცის,  
როდის დადგება კიდევ ასეთ ხასიათზე? რომც დადგეს, მე  
ვერ გავიგებ და რომც გავიგო, ვინ შემიშვებს... სწორედ  
ახლა არის დრო, არავინ გვაწუხებს, შევალ და ვთხოვ  
ადგილს... რაც დამეშორება დამეშართოს!

ნელა, ძალიან ნელა დავაკაქუნე კარები.  
არაფერი გაუგონია, სიმღერას მოუშატა.

კიდევ დავაკაქუნე.  
ხმა არ გამცა. კრიზანტულზე გადავიდა.

ჩავსველე.  
პასუხი არ არის.

ცხვირს დავაცემინე.  
არავითარი გამოხმაურება.

კიდევ დავაკაქუნე.  
სიმღერა შეწყდა.

— ვინ არის?  
— შეიძლება?  
— რა გნებავთ?  
— თქვენი ნახვა.

— მობრძანდით, — მომესმა პასუხი და გავიგონე ფე-  
ხის ხმა. ეტყობოდა, კარის გასაღებად წამოვიდა.

კარები გაიღო და ზრდილობიანად მიმოწვიმ. მე თაი-  
ჩალუნული შევედი კაბინეტში. კართომით თავი ვეღარ  
ავიღე, შებედივს შემეშინდა.

— ვაი თუ გაუბრაზებ რომ სიმღერა შევაწყვიტინე, —  
ვფიქრობდი გულში, — ალბათ სამუდამოთ უნდა გამოვიემ-  
შიდობო აქაურ ადგილს...

— დაბრძანდით, დაბრძანდით, ავე სკამი — მიმიწვია.  
მან ამხანაგურათ. ალბათ გამგე გინდათ.

— დიალ... თქვენი ნახვა... ბოდიშს ვიხდით, სიმღერა  
დაგიშალეთ...

— იმე, რას უნობ შე კაცო, სიმღერა რა, რომელი  
დიდი კაცი მე მნახე, რომ სიმღერა ვერ შემეწყვიტინო...

— რა დიპლომატიავიფიქრობ გულში და მაგდის წი-  
თელ საფარს ჩავცქერი. თავი მალლა ვერ ავიღე შიშით.

— ძანც ვისი ნახვა გინდოდა?  
— თქვენი...

რახე გინდა. კაცო, სადმე გასაგზავნი ხომ არ გაქ  
რამე?

ეს კი შედმეტი იყო. აშკარად სჩანდა, რომ გამგე  
დამცინოდა. გადავწყვიტე თავი მალლა ამელო და შემე-  
ხედა. შეხედე და გავუმედი: ჩემს წინ იდგა შიკრიკი,  
სრულიად ჩვეულებრივი. შესახადავობის შიკრიკი, რომე-  
ლიც ალბათ დამგველის როლსაც ასრულებდა.

— თქვენ ვინ ხართ?  
— რა გიკვირს, ჩემო ძმაო, ვინ ვარ და შიკრიკი! ვერ

# კეთილი რჩევა



ტარტაროზი (სახინძროფვის მეეზოვეს):—ნავახრომ ცოცხავ და ეზოს ახუფთავებ,—ისა სავობია შიგ შტა-ტი დაქავო და გასწინდო. დამერწმუნე—იქ უფრო საჭი რთა შენი ცოცხი!

მატყობ თუ?

- მერე... შენ იყავი რომ მღეროდი?
- მე ვიყავი, აბა ვინ ეშმაკი იქნებოდა კაბინეტს ვალაგებდი და თან ვლილიზობდი...
- კი მაგრამ გამგე სად არის?
- ერიპა! შენ გინდა ჩვენი გამგე ამ ალიონზე მოვიდეს სამსახურში თუ? ხომ ხედავ, გერ საქმის მწარმოებელიც არ მოსულა... აქ მართლა 9 საათზე კი არ იწყება მუშაობა... ცოტა მოგვიანებით იწყებენ. ისე მაინც გამგე არ არის ახლა აქ, ავარაკზე წავიდა ცოლის ჩამოსაყვანად და ერთ კვირას იქ დარჩება.
- გამგის მოადგილე სადღაა?
- სიდერი გაუხდა ავთ და იმას უყვლის.
- მეორე მოადგილე?
- ცოლს ირთავს და საქორწინოდ ემზადება' სამსახურის დრო არა აქვს.

- საქმეთა მმართველი?
- გუშინწინ ცოლის დღეობა გადაიხადა და ეს-იანი დღეა თავი სტკივა; მოგვიანებით მოდის.
- საქმის მწარმოებელი?
- საბუჰალტერო კურსებზე გამუცლებს აბარებს და აგვიანდება.
- ბულალტერი?
- სახლში მუშაობს, დილაობით აქ არავინ არ არის და მარტობა ეზარება.
- მეძანქანე ქალი?
- არ ვიცი... ალბათ მანიკიურს იკეთებს... ერთი სიტყვით, ათი საათიდან ზოგიერთები მოელე... შეძლებ შე-მოარე, ჯობია.—მიპასუხა კიბეებით თავმოებრებულმა შიკრიკმა და გამომაცოლა კაბინეტიდან.

აღღარ-აღღარხან.

„ახალციხეში პურის ფქვილი იმდენად გაძვირდა, რომ ხალხი ხილს და კარტოფილს ეტანება“.



**მოხუცი:** (კინტოს) — შვილო, შავი ფქვილის ასე გაძვირება იქნება?

**კინტი:** — ვა, კუკლავან, არ იცი, რომ დღეს მაზან და აწუღლია? მოდი ეხლა ხილი იყიდი და ხვალ ფქვილიც ვაიფლებ.



**ტყიბულის მაღაროს მოსამსახურე:** — დედი, სად მიგაქვს ეს ბოთლი.

**ლორთქიფანიძის ძალი:** — აგერ, შვილო, ჩვენს მმართველ კვანდალთან... ქე კი ტრაბახობენ ეს ეკიმე-ბი — ქვეყანას ვარჩენთო, და, რა ვიცი, — ის თქვენი მმართველი ჩემს წამალს ხმარობს...

# სასკინმრეშვის ახალი აზგები

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა აღძრა ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე თხოვნა გოსკინპროში გადატანის იქნეს ლხინურში.

„ვინ არის დამნაშავე“ — ს დადგმის შემდეგ ოზურგეთის მაზრაში რაც ხალხი ცხოვრობდა, ამის ნახევარზე კინო-მსახიობების ხელობას მოჰქიდა ხელი.

ამ სურათში მიიღო მონაწილეობა ორი ათასმა გურულმა: ქალმა და კაცმა, ორას ორმოცდა ათმა ცხენმა და ორმა ჯორმა.

სურათი დაუჯდა გოსკინპროსს 150.000 მანეთი და მიზანსაც მიახწია.

შეიქმნა კინო-მუშაკების ახალი კადრი, ამ ახალი მუშაკების საუკეთესოდ გამოყენებისათვის წელს კვლავ გაემგზავრა გურიაში ალიოშა წუწუნავა.

მან. მართალია, თან წაიყვანა ორი მატარებელი კინო-მომუშავეები, მაგრამ იქაც მოუღნდა სამი ათასი კაცის დაქირავება სურათში მონაწილეობის მისაღებათ.

ამბობენ ისეთი მშვენიერი და ძლიერი ფილმა „გამოყვანილია“, რომ არუსტანოვმა არ იცის, გოსკინპროში სურათს დატრილაებს თუ სურათი გოსკინპროში.

გოგითძის აზრით (გოგითძის აზრი ხომ ასე ხელწამოსაყრავი არაა) მეორე უფრო მეტი მოსალოდნელია, არუსტანოვი დეპეშას დეპეშაზე უგზავნის წუწუნავს.

— ჩამობრძანდით თქვენ და თქვენი ექსპედიციაო, მაგრამ წუწუნავს თურმე გადაუწყვეტია

— სამუდამოთ გურიაში უნდა დავრჩე მე და ჩემი დასიო.

მართლაც და მისი დასის თბილისში ჩამოყვანა ხომ არც ასე ადვილი საქმეა.

ასე და ამნაირად წუწუნავა გურიაში აარსებს მეორე გოსკინპროსს.

დღეს ხმები გაერცულა,  
— ახალი აღმშენებლობისათვის სახელმწიფო ბანკს გადაუღვია სათანადო თანხაო! ტყუილია, თუ მართალი ეს ამბავი, ალაჰმა უწყის.

უეცრად დაბრუნდა ბარსკის ექსპედიცია ჩრდილოეთ-კავკასიიდან. ექსპედიცია მონაწილეობას მიიღებს იმ დისკუტში, რომელიც სამუდამოთ გამოარკვევს საკითხს, თუ ვის უფრო მეტი უფლებები აქვს ექსპედიციის მუშაობის დროს — უპარტიო რეჟისორს თუ პარტიულ თანამემწესს.

საკითხის გამოარკვევის შემდეგ ექსპედიცია ხელახლა გაემგზავრება სამსოფთოსკენ, რადგანაც მას მთელი ჩრდილოეთი უკვე მოეღლია აქვს.

დისკუტში მონაწილეობის მისაღებათ გამოწერილია რუსეთიდან საუკეთესო კინემატოგრაფისტები.

— კოლია შენგელაიამ კაცებიდან ჩამოიყვანა თორმეტი იხვი. \*) თითონ ძალიან კარგად არის, მხოლოდ ცოტა გაშავებულა.

— განთქმულმა რეჟისორმა პუშმა დაამთავრა სურათი „ბოშის სისხლი“.

არუსტანოვის თხოვნა,

— „პარავოზი“ და ერთი ორიოდ სხვა რეჟელიუციონური სურათი დამიდგო. პუშმა უარი განაცხადა. ჯერ ერთი ის თხოულობს იმდენ გონონარს, რამდენსაც კულიშოვი, გარდა ამისა ოთხ თანამემწესს, მათ შორის უმუშევრათ დარჩენილ რეჟისორებს შაქრო ბერიშვილს და კოლია კახიძეს.

\*) შენგელაიამ ერთი გზობა ცხერებში გაიმარჯვა და ახლა იხვებს დარჩევია.

რედ.

# დაუკავშირებელი სტუმრები



**ქალები:**—ამას ვისა ვხედავთ! ჩვენი მიხო... ო. გენაცვალე მისოჯან... როგორ მოგვანატრე შენი თავი...  
**მიხო:**—ჰაი თქვე ჩემანალებო თქვენა; ესლა მაშიგო-ნეთ, როცა ი ვენასში თვალი შევიდა? წამამყეთ ჰა, ემა გოდროხებშია, თითო მტევანს ჩავიგდებთ და ჰაიდა ქალა. ქისაკენ!

რადგან რეჟისორ **კიაურელი** სურათის დადგმის მოლოდინში ცოტა შეირყა (დაუსრულებელი ლოდინი, რა კარგს დამართებს ადამიანს), სახკინმრეწვის ადმინისტრაციის განკარგულებით მას მიუხიანეს მეთვალყურეთ ცნო ბილი სახლვარ-გარეთელი ფსიხო-პათოლოგი შაროძე.

— სოხუმში გაგზავნილი მიხინის კინო-ექსპედიცია გაპარულა ყაბარღოში, სადაც „შურისძიების“ დადგმის დროს დატოვებულ სისხლის ღვრას ისე უმოქმედია რეჟისორზე, რომ მას მოუკლავს ოპერატორი ნივიცკი. გამგებობის განკარგულებით გაგზავნილია დიდი რეჟისორი, რადგანაც მოსალოდნელია ახალი სისხლის ღვრა.

— რეჟისორი **მაკაროვი** ძალიან საარაკო სიჩქარით (არაჩვეულებრივი ამბავია გოსკინპრომისთვის!) შეუდგა თავის პირველი სურათის მონტაჟს. სისწრაფე გამოწვეულია ცნობილ კინო-მოღვაწე ლეონიდოვის დებეშით, რომელიც ექვსი თვით აპირებს თბილისში ჩამოსვლას სპეციალურად მაკაროვის სურათის მონტაჟის სახელმძღვანელოთ.

— შაქრო ბერიშვილს, მას შემდეგ, რაც იმას „მენავეთე აბასა“ წაართვეს გადაუწყვეტია ეროვნული შევიდეს ნავთის გამყიდველათ. რადგანაც მოსალოდნელია, რომ მოთმინებიდან გამოსული უპუშეგარი რეჟისორი ამ ნავთს მიიხმარს გოსკინპრომის დასაწვავად.

ფაბრიკის „პატარნიკების“ შტატი გადიდებულია ათი წევრით. მთავარ ბუკვალტერის გამოანგარიშებით შტატი გადიდების ჩარჯები საქარისი იქნებოდა ერთი ახალი სურათის დასადგმელად.

— გოსკინპრომში შესდგა დიდი თაობირი. დაესწრენ საუკეთესო კინო-რძალები<sup>\*)</sup>. თავმჯდომე-

<sup>\*)</sup> კორექტორის შეცდომაა, უნდა იყოს კინო-ძალები.

რეთ ერთხმად არჩეული იქნა ჟორჯიკა მღვივანი ერთმა საკითხმა დიდი უთანხმოება გამოიწვია. ეს იყო საკითხი კულიშოვის ჟურფიქსების დამსწრეთა სის შედგენა. ზოგიერთები დაჟინებით მოითხოვდნ ამ სააში შეტანილდ ყოფილიყვენ ერთი ჩაის **ექსპერტი**, ერთი ყავის და ერთი **კონდიტერი**. ყველა დამსწრეთა სიტყვებს სწერდა ოთხი სტენოგრაფისტა.

კრებას კინო-ალუმბის სასიათი ჰქონდა.  
 — ნატა ვაჩნაძის ქალს გადაუწყვეტია თითონ დასწრის ისეთი სცენარი, სადაც მას არც მოკლავენ და არც გააპატიურებენ.

— გოსკინპრომის გამგებობის მიერ მიღებულია შემდეგი ახალი სცენარები:

**ლეონიდოვისა**—„ფეოდალიზმის ნაშთები საქართველოში“

**ტრეტიაკოვისა**—„არ იბღაღო სენათო“

**შკლოვსკისა**—„გოგილოს აბანოს მექსე და ჰუსეინას ქაბაბი“ (საქართველოს ყოფა-ცხოვრებიდან).

გ. **გოგიტიძისა**—„მეფუტკრეობა ჩვენში“<sup>\*)</sup>

ხ. **ამაღლიძელისა**—„ცოცხი და გოსკინპრომი“

პ. **საუვარელიძისა**—„კინო-სამკეტების მუტკლის ტკივილი“

**საქულასისა**—„სიღვდრი გამბრყვენეს კინოში“.

— გერმან გოგიტიძეს გადაუწყვეტია, იმ შემთხვევაში თუ მას არ დაუტკებენ ჯამაგირს, დაარსოს ლენინგრა დის კინო-ტექნიკუმში საკუთარ ხარჯზე პავლე საყვარელიძის სახელობის-სტიპენდია.

ახალი ვინები.

<sup>\*)</sup> ოლონდაც, გოგიტიძეს თავლი უყვარს! რედ.

# „ამოკი“

ცოლი: (ლაპარაკი იწყება პირველი ნაწილის შემდეგ) რა არის ამოკი?  
 ქმარი: ამოკი არის საშინელი ავად-მყოფობა.

ცოლი: ვის დაემართა?  
 ქმარი: ჯერ კ. მარჯანიშვილს, მერე ს. აბალობელს, ზაბოზლაევს, სი-დამონ-ერისთავს და ასე გავრცელდა ცეცელია წუწუნაზე.

ცოლი: კარგი, მაგრამ რატომ ყვე-ლანი, არ გვიჩვენებს?

ქმარი: ისინი, ალბად, სავადმყოფ-ოში ჰყავთ დამწყვდული. ცეცელია წუწუნავე გამოქცევიათ სავადმყოფ-ოდან. ხომ დაინახე, როგორ გამოი-ბოდა?

ცოლი: ვის ემართება ამოკი?  
 ქმარი: (ეტყობა ცოლის დაშინება უნდა) ვინც ეჭვიანობს.

(ეს ისე მავრად უთხრა ქმარმა, რომ ცოლს გული კინალამ ჩაუხეთქა ცო-ლმა ერთი ამოითხრა და დაჩუმდა. დიდ ხანს არაფერი უთქვამს. მესამე თუ მეოთხე ნაწილის ანტრაქტზე ცო-ლმა კვლავ დაარღვია სიჩუმე)

ცოლი: ესლა ვის სჭირს ამოკი?  
 ქმარი: ყველას.

ცოლი: ნატასაც?  
 ქმარი: ჰო! ნატასაც.

ცოლი: (გულმომსულა) შენ არაფ-ერი გაგვიბა. ამოკით გადარეულია იმედაშვილი, რადგანაც სხვის ცოლს.

ქმარი: გაჩერდი, დედაკაცო, მე შე-სამეჯერ უყურებ ამოკს. და ახლა შენ მასწავლი, ვის რა სჭირს?

ცოლი: (ერთი ისე ამოითხრა, რომ სკამებმა ქოჩინი დაიწყეს. ეკრანზე აჩვენეს ის ადგილი, სადაც იმედა-შვილს ზანგი თავდაყირა გადმოაგ-დებს კიბეებიდან) ეჰე! მასე გეკადრე-ბა... სად მიძვრები? პატიოსანი ქალი. გინდა გაათახსნირო?

ქმარი: ისე ღმერთი შენ გიშველის, მაგი რომ პატიოსანია. ვერ ხედავ, მუ-ცლის მოშლას ვერ უთავებდა?

ცოლი: იქნება არ უნდა შეილი გა-იჩინოს?

ქმარი: მე შენ გეტყვი და ვერ გაზ-რდის შენსავით გაჭირვებულთა.

ცოლი: გოგი, აბა მითხარი რაშია საქმე. მე ეკრანზე ვერაფერს ვერ ვკი-თხოვლობ! გაამაგებე, ამისხენი.

ქმარი: საქმე იმაშია, რომ პატიოსან ქმარს ლაღატობს. ყოველ დღე ორ-სულაი არის და ყოველ დღე მუცელს იშლის. ახლა ქმარს ელოდება და „პატიოსნათ“ უნდა დახვდეს. თუ მო-უსწრო, ორსულად მყოფს, თუ მთლად ჩერჩეტი არ არის, მიხვდება, რომ სხვისი „ნამუშევარია“, და შავს დღეს დააყენებს.

ცოლი: გოგი, რომელია ნატას ქმა-რი?

ქმარი: ჯერ გამორეკეველია (კი-თხოვლობს ეკრანზე)... „საიდუმლოე-ბა უნდა შევიანხოთ“..

ცოლი: საყვარელი რომელია?  
 ქმარი: საყვარელი? მაგის რა მოგაყ-

# გულ შემატკიპარი



მათხოვარი: — ხალხნო, მაჩუქეთ ერთი კაპიკი...  
 მოძალატე: — არა, ქმაო,— შენ კაპიკი ვერას გიშველის!  
 მათხოვარი: — მაშ შაური მაჩუქეთ!  
 მოძალატე: — შენდა ჩემი ოჯახი თუ შაურები ვურბებ მათხოვ-რებს.

ხსენო, როგორც ხედავ: ყველას უყ-ვარს და რა ვიცი!..

ცოლი: შეილი ვისგან გაუჩნდა?  
 ქმარი: შეილი?... ჰო! შეილი? (და-ბეჯითებით უყურებს ეკრანს) ეს აღ-არ ვიცი (კითხულობს ეკრანზე: „საი-დუმლოთ უნდა შევიანხოთ“).

ცოლი: ყველაფერი საიდუმლოთ?  
 ქმარი: ასეა მაშ! აბა შენ რომ არა-ფერი დაგიმაგრდება ენაზე, ასე კი არ არის აჷ.

ცოლი: მოკვდა?  
 ქმარი: მოკვდა მაშ! ასე ემართება ქმარის მოღალატეს.

ცოლი: არც სხვის ცოლის მო-ტრფალებს ადგიათ კარგი დღე. ვერ ხედავ ყველა გადარია მისმა ცოდვამ? (ცოლ-ქმარ შორის ლაპარაკი გამწყვდა. ერთი დარუმება, და-ჩუმდენ. და როდესაც კუბო ზღვაში გადააგდო იმედაშვილმა, ცოლი მის ქმარს უყურებდა ამოკით შეპყრობი-ლივით. ელემქრონი აინთო. ქალი მომიბრუნდა, მე მეკითხება):

ცოლი: როგორ გათავდა?  
 მე: რომ არ დამერღვია ცოლქმარის საუბრის სტილი, ვუშასხვებ: — „საი-დუმლობაა: უნდა შევიანხოთ“...

სენი, როგორც ხედავ: ყველას უყ-ვარს და რა ვიცი!..

# ჩვენი ღროის სიმღერა

ყარ შთაფრობის მსახურია. მიყვარს ღვინო კახურია. ხელში პორტყელი მიჭირავს ქული გვერდზე მახურია!

ყარ მუშკოპის ბაზაზია; მიყვარს ქალი ლამაზია,— სულ მთლიანად გამოესცალე მუშკოპის მალაზია!..

ყველა შიცნობს სადაც შევალ; ავტო-მაშინებით დავალ,— რევიზია რომ გაჩნდება— ვიცი, გამსახლშიაც წავალ!..

სანამ დრო მაქვს ვიპარაპაზო ხან ექნია, ხან კი მაჩო. სანამ ჯერ არ გაუგვიათ, შენ დაუყარ სათაპაზო.

სანამ არ იციან ჯერე, სულ მოიტა, დამიჯერე,— ცხებში რომ მიგბრძანდები ეთიმ, ლექსი დამიწერე.

სეფიერ-ზენ-შეის.

ეთიმ ჯურჯუაძე



პირველი, (რომელმაც ეს-ეს არის ნახა „ამოიქ“).  
 —ქარიშხლის წინ“ ვერ ვნახე იმისთვის, რომ ვერ მოვა-  
 სწარი... „სამანიშვილის დედინაცვალი“ არ მინახავს იმი-  
 ტომ, რომ არ უჩვენებიათ... და ამის შემდეგ რა ღმერთი  
 გამიწყრა, რომ „ამოიქ“-ს სანახავად წამოვედი...  
 მეორე:—შე კაი კაცო, მარჯანიშვილი სამჯერ შეც-  
 და... შენ კი ერთხელ რომ შეცდე რა დიდი ამბავი იქნება!

### მზის პანუზის ზრალია

—ასტყვიჯან, რამეს გებნები, ესტელ არი. მოდი, ქა,  
 ისეთი ცხელ-ცხელი სმეზნოვი ხაბარი გითხრა, სულ მუ-  
 ცელი ხელში დაგაქვიინო.  
 —უი, ქა, სირანჯან, რა გაგახრებია ამ ჰუმოზზე  
 აღარ იტყვი? რა ხაბარია? თქვი ქაჯან, თორემ გულმა  
 ლამის გაპისქიდეს!..  
 —ო, ქა, ფჩანეს შენი გული, —გაგისქიდეს რომელია?  
 —ხაბავნი რამეს გებნები, გული კი არ უნდა გაგისქიდეს,  
 უნდა იცინო, მამაშ?! —ბანემ ასუმე, ახარ მართლა არ გაგი-  
 გია, ჩვენი ტერტერას ცოლისთვის, რომ ღორს მოუქამია?  
 —წელს ქვემოთ რბილი ზურგი რაღა...  
 —უი ჩემს თვალებს, როგორ თუ მოუქამიაო, —რას  
 მებნები აღამიანო?  
 —პო, პო, ჩემი გუტუქას შარჩენამა, ღორს თურმე  
 წველს ქვემოთ, რბილი ზურგი პარტი მთლად კინაღამ  
 გამოუღლეჯია —საწყაღს იარა თურმე ჩასდგომია და ახ-  
 ლა ამბლატორიაში წასილევებით დაჰყავთ, პირქვე დაწო-  
 ლილი..  
 —უი ქა, და სალორეთ როგორ გაიხადა. მაგ ოხრბლ  
 დასარჩენმა, მაგანა?  
 —როგორ და სუველოთუისინ რო ოინბანხი და მაკვი-  
 რალა იყო —ეგ იმან უყო, მამაშ?! არა, ქეეყანაზე რა დამა-  
 ლულა, რომ ეგ დაიბალოს? გახსოშ? მაისში ავეიკლო.  
 ჩემი ქმარი ქობლეთში მგზავნის, დობტურებმა ურ-  
 ჩიესო. ერთი ისე ტრამბაზობდა, ისე ყვინიზობდა, გეგონება  
 ამ ქობლეთის პაგარაკზე, მთელი მილეთის ყარტა-ყურტა  
 არ მიდიოდეს! ახარ ჰუმოზში რა გახდომიათ ეს მარია-  
 ლიანი წყაღე? ყველა თემავლეჯელი. პაი-პარათ იქ  
 გარბის: ეს ჩვენი აბტუას ცოლიო. ვართამეტას-სიდელ-

როო, ეს პეტრუხანთ ქიმ გამოვიარდნილი თათუშაო, ვინ  
 მოსთვლის!..  
 —ვა, ვა, ვა, დიდი რამე ჰგონიათ, გეგონება ზალრანი-  
 ცას მიდიანო.  
 ახლა ყური დამიგდე და, რა ოლოსპორობა ქნა  
 ჩვენმა ტერტერას ცოლმა: გესმის? აქედან დიდი ხაბარია  
 და დიდი ფრაზტი-ფრუშტით ორი ფაიტონით წაეიდნენ.  
 ახარ, სანამ წაეიდოდნენ, მანამლისინ წარა-მარა ბალკომ-  
 ში გამოზობოდნენ და ხან დედა, ხან ქალი, მითომ პაა, მე-  
 ზობლებს გაგვეგო, რაღა, მატაოცებით ყვიროდნენ:  
 —ქა, ჩემი ტრუსკა არ დაგაეიწყდესო, ჰამაც ჩემი  
 მარსკოი შლაპკა თავის რიგზე ჩამიდეო...  
 თურმე რის ქობლეთი, რის ბოზბაში? —იმ ტერტერას  
 ეს თავის ცოლ-შვილი გასრიოცებულ გლდანზე არ წაუ-  
 ყვანია?! რას იცინი? ნებრემენ სიმართლეს გებნები. ჩემი  
 გუტუქას სიყმის მზემ მამაშ ქა! უყიდნია ქალო, ორი გირ-  
 ვანჭა შეჭარი, ასმუშკა ჩაი, ერთი გირვანჭა შაეი საპონა,  
 ორი მეტროც ბაბლაწო ჩითი და ეს თავის ოჯახობა ვი-  
 ლაც ქართველ ნათლიდედასთან ამ პადარკებით მოუყვა-  
 ნია —და მთელი ზაფხული იქ თურმე ყრილან.  
 აქ კი, ჩვენი სანთლრეკულოვი, შურით შუა ქაბზე  
 სკდებოდა ასმა, ტერტერა ამ ბალშევიკების დროსაც რა-  
 ლაცს ახერხებო.  
 ახლა, ქალო, რაკი ხმა დაყარა ქობლეთში ვარო,  
 ჰამაც უნდა გაშაეებულყო რაღა. აღგება, თურმე, ეს  
 ასტანჯილა დედაკაცი და ცისმარე დღე თავისი გოგობი-  
 ჭებინათ შადიან თავისი ნათლიდედის ისემში —ვენაქში  
 რაღა, შექისებებით გაშიშვლდებიან. ჰამაც ხელ ზეთს  
 ისხამენ.  
 ამისგანით კინაღამ უფროს ქალსა გულყრა დაჭარ-  
 თნია, ჰამა, გესმის? აღარ ეშვებოდა ის ოლოსპორო,  
 დედაკაცი, მამ მეზობლები როგორ დაეჯერათ, რომ  
 ქობლეთში ვიყავითო? მართლაც, რო ნახო, დედაშვი-  
 ლიანათ სულ მეცხავე ყაიმასხსა ჰვეანან. ნახშირის ყაურ-  
 მასავეთ დაშაეებულან. მამაშ?!  
 მაგრამ გაშაეება კი ძვირად დაჯდომიათ ჰაა! ყური  
 დამიგდე და რა მოსვლიათ.  
 ერთხელ თურმე ეს ტრეტველა ბეშეგები მეორე ვენახ-  
 ში ხილის მოსაპარავეთ გადასულან. დედასა და დიდ გო-  
 ვოს შისი გულზე ტკბილად მისძინებოდათ. ამ დროს,  
 საიდგანაც ერთი კაი კახური ღორი მიჰპარებია და ხა, ხა,  
 ხა... თურმე ამ ბეშურაზ ღორსა ი სქელი ტრეტველა დედა-  
 კაცი პირქვე შწოლაე რომ დაუნახია, კაპუსტას თავი  
 პგონებია რაღა, ჯერ ღინგი წაუტყარას, მერ კბილებით  
 ჩასქიდებია. რომ არ ჩაუტყებია? თურმე აღარ უშვებს.  
 ატებილა ერთი ტრეეოჯენი ბაბანი, ყალმაყალი, ეს  
 ტრეტერას ცოლი დედიშობილა გარბის სოფლის შარაზე  
 და ყვირის:  
 —ნათლიჯან, მიშველეთ, თქვენმა ოსენმმა უკანა  
 ხარე სულ მამაგლიჯაო. აქ შაყრილა მთელი სოფლის  
 ხალხი და ერთი დიდალანი დაუქობათ. თურმე ჯეკელა  
 ბიქები მახარად აკეთებენ და ებნებინან—  
 —ტრატჯან, ნუ გეშინიან, მაგ მოგლეჯილ ადგილ-  
 ზე აბლაბუდას მოგაფარედ და მამენტალნათ გაგიეღოსო:  
 ჩვენ ჯორსაც მეელმა მაგისტანა ადგილას მაგლიჯა და  
 აბლაბუდით მოვარჩინეთო მამაშ.  
 ახში, ცოტათ მოუშუშნია გლდანში და მერე ტერ-  
 ტერას ტელეგრაში დატურკა: —ხლავში სელიოტკამ დამ-  
 გლიჯა და აპანნი ქრილობა მამაო. ჰქარა ჩამოყვანე თო-  
 რემ ზარაყენია მამივა და მოგიკვდებო.  
 ჩამაყვანეს. ესლა ამბლატორიაში წასილკით დააქეთ.  
 ჰამაც ტერტერა ყოველდღე ეჩხებება  
 —ახარ შე ბეშურაზო, რატო ნაბლადენიან არ უშე-  
 რებოდი, რაზე დამიკარგე მაგოტოლა ისემეო, ზდაროვიან-  
 ზე ებნება რაღა, გული სტყავა. ქმარია. მამაშ?!  
 ახია მაგაზე, მითომ მოდნას აყუვა, მარაჭში ჩაეარდა,  
 ხალხში ფეხი გაიშვირა —ასმა მეც ნახირ-ნახირო. ამ ნახირო  
 ში გარევემ კი ასეთი ნაენები მისცა. არ ერთიენა, პახირო  
 თავის ქერაში დატეოლიყო? ხომ ყველაფერი დღესაც  
 მთელი ვჭენებოდა? ესლა იმან იმან ტრის ჩვენ კი იქ დღუ-  
 ნათ ვიცინით, რა მასალი რამეა!..  
 ბუზანკალი

# „ერთი მთოხნელი ასი მცოხნელი“



რაციონალიზაცია ზოგიერთ დაწესებულებაში

## „მოკლებილ“

(რუსულიდან გადმოკეთებული)

გაბო მთქნარებაზე დარაჯად მსახურობს ტრესტის კანტორაში.

თითქმის ყველა თანამშრომელისათვის დარკმეული აქვს შესაფერისი ზედმეტი სახელი, რომელსაც იგი იშვიათად თუ ვინმესთან იტყვის.

ამ ზაფხულზე, როცა გაბო შევბუღებაში მიდიოდა, მის მაგიერ ბირჟიდან მოიყვანეს ახალგაზრდა უმუშევარი.

— აბა, გაბო, გააცანი შენს მოადგილეს თავისი მოვალეობა; კარგად აუხსენი, თორემ ახალი კაცია და გაუჭირდება! — უთხრა გამგემ გაბოს, რომელიც მაშინვე შეუდგა გამგის განკარგულების შესრულებას.

— აი, აქ არის შენი ალაგი! — უჩვენა მთქნარებაძემ თავის მოადგილეს ტრესტის ბინაში, სადაც ხის სკამი იდგა. — ეს სკამი „ინვალისა“, რადგან ოთხი ფეხის მაგიერ, სამი შერჩა, მეოთხე ფეხი დაკარგა უთანასწორო ჩხუბში, როცა გაბრახებულმა გამგემ ეს სკამი შიკრიკს მოუქნია; შიკრიკმა აიცილნა, სკამი იატაკზე დაეცა და ერთი ფეხი მოიტეხა! ჰო-და, ამ სკამზე შენ შეგიძლია ჩამოჯდები, მხოლოდ ისე კი, რომ არაინ დაგინახოს. როგორც კი ფეხის-ხმა მოგესმას, მაშინვე წამოხტები. ერთი სიტყვით, სკამზე ჯდომა ლეგალურად აკრძალულია. ერიდე გამგემ თვალი არ მოგკრას!...

— არ ჩამოჯდები; სულ ფეხზე ვიდგები; ნუ გეშინია, კი ვარ შეჩვეული დგომაზე ბირჟაში! — დაამიდა გაბო თავის მოადგილემ.

— უკეთესი იქნება, მაგრამ ვერ გაუძლებ. მთელი სხეულიდან ფეხებში ჩაივსება სისხლი... ჰო, მართლა რაც მთავარია: პური ჯიბეში ლუკმებად დაკრილი და ჩაწყობილი უნდა გქონდეს. მოხერხებულ დროს შეგიძლია ჯიბიდან ამოიღო უცბად და ყლაპი უქნა ერთ ლუქმას...

— ორი ერთად არ შეიძლება! — შეეკითხა მოადგილე.

— სასიფათოა! თუ თვალი შეგასწრეს, ორი ლუქმის ერთად გადაუკაპე გაგრირდება; სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ერთი სჯობია!

— ძალიან კარგი! — დაუთანხმა მოადგილემ.

— სამოვარი კარგად უნდა ადუღდეს, თორემ იცი ერთხელ რა დამემართა? — აღუღლარი წყალიდან და ვალევიანე ჩაი მთელ კანტორას. ამის გამო მთელი დღი განმავლობაში ფეხისადგილის რიგში იდგა ყველა თანამშრომელი. სამსახურის შემდეგ სალაშქრო იცადეს, — ეშინოდათ სახლში წასვლა, რომ ქუჩაში სასირცხვილს არაფერი მოსელოდა...

— რა თქმა უნდა, აღუღლარი წყალი მუცელში გაქსპრიდა ყველას! — გამოსტქვა თავისი შეხედულება მოადგილემ.

— ეს არ ხუმრობს! დახეთ, ესეც კი სცოდნია! ყოჩაღ! დარაჯობა კი არა, მეტრც ეკუთვნის! გაიფიქრა მთქნარებაძემ და განაგრძო:

— ჩაის ჭიქები და ლამბაქები წყლით უნდა დაასუფთაო და არა ნერწყვით.

— რასაკვირველია, აბა აქ წითელი სასადილო ხომ არ არის, რომ ნერწყვით დავასუფთაო! — გაიკვირვა მოადგილემ.

— აი, ეგრე რომ ქალა ზის „ყელწითელა“, ხომ ხედავ წითელი ბანტი აქვს, — ყველას უმაღ იმას მიუტანე ჩაი სამი ნატეხი შაქრით, ის გამგის დაი არის...

— ჰაა! — სოქვა მოადგილემ და უბის წიგნაკში ჩააწერა: „ყელწითელა“ — „გამგის დაი“.

— აი, იქ რომ ქალი ზის და იპურდება — „იკრასკება“, იმასაც ადრე უნდა მიართვა ჩაი სამი ნატეხი შაქრით, ხომ ხედავ როგორი სუქანია, ნამდილი თაბაგოლო-სწორად აღერგია“. იგი გამგის საყვარელია და, ხომ იცი...

— ჰოო, რაკი მაგრავა; რა თქმა უნდა, პატვისაცემია!

# „აბესალოა და ათეარი“



— მომიტანდე, შემასმევდე, — ეგებ ცოტა მოვჯობინდე!



— მომიტანდე, შემასმევდე, — ეგება ცოტა მოვჯობინდე! მილიტიანი! — წამო, წამო კომისარიატში და იქ მოვჯობინდებში!

— და წიგნაკში აღნიშნა: „თავბოლოსწორი ღერგი“ — „გამგის საყვარელი“.

— არ დაგაეიწყდეს ადგილკომის მდივანი.. იშვიათად მოდის, მაგრამ როცა მოვა. მაშინვე, მიართვი ჩაი, მასაც სამი ნატეხი შაქარი, თორემ იგი ისეთი „უემური“ა, რომ...

— კარგი, კარგი! — წიგნაკში ჩაიწერა:

„ადგილკომის მდივანი“ — „უემური“.

— ეხლა, შეხედე იმ კაცს სათვალეები რომ აქვს ცხვირზე და სათვალეებს ზემოდან იცქირება. თეი რომ აულერია; უგი მდივანია. იმას მიუტან სხეების შემდეგ; ეყოფა ორი ნატეხი შაქარი; „ჩერჩეტა“; მაინც კერაფერს შეატყუებს!.

— ძალიან კარგი! — და წიგნაკში ჩაიწერა: „ჩერჩეტა — მდივანი“.

— იქ სალაროა. შიგ რომ კაცი ზის, ის მოლარეა; მთელი დღე იქ ზის, — ნამდვილი „კრუხია“... იმას შეგიძლია ჩაი არ მიუტანო; სულ ერთია. მაინც არ სცალია და არ დალევს. თუ დრო გეკონდეს და ჩაი მოგჩინეს, მხოლოდ მაშინ მიუტანე!

— ძალიან კარგი! — და მოადგილემ წიგნაკში აღნიშნა: „მოლარე — კრუხი“ „ზედმეტია ჩაი.“

მეორე დღეს მოადგილემ ჩინებულად ჩააბარა გამოცდა მოქანარებადეს, რომელმაც სამსახურის შემდეგ, აღლო შეკებულების ფული და სახლში დაიმედებულნი წავიდა.

მესამე დღეს მოქანარებადის მოადგილემ ლაპაზად მოართვა ჩაი გამგეს და მის თანაშემწეს.

— ეგ დარაჯი სჯობობა, ზგონი, ჩვენს დარაჯს! — გა. მოსთქვა თავისი შეხედულება გამგის თანაშემწემ.

— მეც ასე მგონია და; თუკი გაამართლა ჩვენი შეხედულება, მაგას დაეტოვებ და მოქანარებადეს დაეთხოვო! — სთქვა გამგემ და ჩაი მოსვა.

ამ დროს მოქანარებადის მოადგილემ თაბახით რამდენი-მეტი ჩაი შეიტანა კანცელარიაში.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ „ყელწითელა“ — ს ალავას სხვა ქალი არ დახედნოდა. (თუმცა იგივე ქალი იყო. მაგრამ იმ დღეს სხვა ტანსაცმელი ჩაეცვა და ახალმა დარაჯმა ველარ იცნო იგი).

დაიბნა დარაჯი. ყველაფერი აერია.

— ვაი თუ შემცდეს და ერთმანეთში აეურთიო?! რა გქნა? — სწუხდა იგი;

— ყველას გამოვიძახებ რიგის მიხედვით, როგორც ჩაწერილი მაქვს! — გაიფიქრა მან და ფერი მოუვიდა.

თაბახი იქვე დასდო მაგიდაზე. უბიდან წიგნაკი ამოიღო და დაიძახა ხმაშალა:

— მოქალაქენო, ყური დამიგდეთ. გამოვიძახებთ სათითოდ და მიიღეთ ჩაი.

პირველი: გამგის დაი, ანუ „ყელწითელა“...

— არ არის? კარგი... შემდეგი: გამგის საყვარელი, ანუ „თავბოლოსწორი ღერგი“...

— ? ! ?.. ფხ! ფხ!..

— არც ის არის? აბა შემდეგი: ადგილკომის მდივანი, ანუ „უემური“...

— არც ის არის? ძალიან კარგი. აბა შემდეგი: მდივანი, ე. ი. „ჩერჩეტა“.

— მოლარე, ე. ი. „კრუხი“: ჩაი ზედმეტია, მაინც არავის უნდა.

— ხა-ხა-ხა-ხა! — ისტერიული ხარხარი აუტყდა ყველას. ზოგი ვერ უძლებდა სიცილს და გარედ გარბოდა ზოგს მოსაუბროდა და იქვე ჩაეცლიყო.

მაშინვე კაცი აფრინეს მოქანარებადესთან. მას კომპენსაცია მისცეს და შეგებულბაში აღარ გაუშვეს.

ენჯი:

# „ღ ა რ ბ ა რ ო ზ ი“

შენ გასაკვე ტარტაროზო!  
უნებურად გეძინებო, მიუხედავად  
იმისა, რომ გამოცდები აი ასე ჩაეხატა:

## პარტიული წმინდა

თემა: „ფიზიკალური მნიშვნელობა“. ყოველ ადამიანს, პირველ შეხედვით, მოეჩვენება, რომ დღეს ესა თუ ის ადამიანი ფასდება არა მისი ფიზიკური ძალით, არამედ მას თავში ჩალა აქვს თუ ტენი.

ჩემი აზრით ეს ყალბი შეხედულებაა. უფრო სწორი ქნება რომ ვსთქვა. იქ სადაც გონება არ გასკრის. ძალა უნდა აამოქმედო. მაგალითად, დღეს „საჩინო“-ს გარეშე ვერაფერს ვერ იყიდი, გარდა კუბოსი. აქ გონებით ვერაფერს ვახდები, საჭიროა ძალა. თუ ასეთი ვაგანია მკლავებში, ჩაღებში რიგს გარეშე და კარგი ბიჭია— ვინმე ხმა ამოიღოს. ამაში მე უფრო დავრწმუნდი, ჩემს ცხოვრებაში მომხდარ შემთხვევით: გიყვარსო, ჩვენ რომ ქუჩებში ვიღრობოდით და მოქალაქეებს გვერდები აუზილეთ. სულსაც ვერაინ ვახლებსო. ასეთია ფიზიკური ძალის მნიშვნელობა.

## რუსული ენა

Господин профессор! Если меня волю даете, я Вас расскажу, какой у меня вчера случился один случай случился. Стою это я, как дубина, и жду трамвай. Трамвай приехал, я ссел. На вагоне один человек акавался лишний Я говорю его:

— Вас говорит, трваришич! Не видишь вагон битками набит, слези пожалуйста!

Молодой человек не хотел пригить. Тогда я закричал на него, как осел!— „Через вас вагон стоит, слезай сей минута без драться!“

Молодой человек не слез пока один большой панбухри не получи. Публика ха-ха-ха-ха и мне благодарит.

პროფესორამც ჩაიციანა.

— აბა მითხარით, პანლური როგორ იქნება რუსულად? — შემეკითხა იგი.

— პანლური?.. მგონია ეს სიტყვა რუსულად არ არის, ვინაიდან პანლური მხოლოდ ქართველებმა იციან.

— როგორ იტყვიოთ რუსულად: მგელი შემხეთა და შემეშინა?

— დედალი თუ მამალი მგელი. ბატონო პროფესორო!

— თუნდაც მამალი მგელი იყოს.

— პეტრუხ ვოლკ შენია ვსტრეტოლ ი ისპუგალსია.

— საკმარისია, მიზრძანდით!

## ისტორია

კითხვა: „გვიამბეთ 1905—6 წლებში რუსეთში მომხდარ მოვლენების შესახებ?“

პასუხი: თუმცა მე მაშინ დაბადებულნი არ ვიყავი, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს, რომ რაღაც არეულობა მოხდა. ჩამდენადაც შემდეგში ვავიგე, თურმე რუსეთის მეფეს, ნიკოლოზ მე-2-ის მამას, ნიკოლოზ მესამეს აუჯანყდა ხალხი იმისთვის, რომ მას არ სურდა ომი იაპონიასთან. ბოლოს, როგორც იქნა მან გაუწვია ანგარიში ხალხის მოთხოვნებს და შეუდგა ომის სამზადისს.

იაპონიის მეფე შეიქრა რუსეთის მიწა-წყალში და რაკი მოწინააღმდეგე ვერაინ ნახა, შეუთვალა რუსეთის ხელმწიფეს:

— გამოგზავნე ჩემს წინააღმდეგ შენგ ჯარი, თორემ შენი მიწა-წყალს დავიპყრობო.

რუსეთის მეფემ შეუთვალა:

— კაცო, რა ვაქვს საომარი. მიწა ბევრია. ჩამდენიც გინდა იმდენი წაიღე!

ამრიგად ჩამოეპარდა ხავი.

— რომელ სახელმძღვანელოდან ამოწურეთ ეს ამბავი. თქვენ?

— მე არავითარი სახელმძღვანელო არ მქონია. ყველა ჩემ მიერ თქმული, გაგონილი მაქვს ბაბუაჩემისაგან. რომელიც 120 წლის არის და 5—6 მეფე გამოუცვლია.

## საგოთა აღმოჩენა

კითხვა: რა არის მონარქია, რესპუბლიკა და კერძო საბჭოთა რესპუბლიკა და მათ შორის განსხვავება?

პასუხი: რესპუბლიკა ეწოდება ისეთ ხალხს, რომელიც თავის თავს განაგებს, წინააღმდეგ მონარქიისა, სადაც ხალხს არა სურს თავის პატრონობა და ასეთი ჩაბარებული აქვს მეფესთვის.

უპირატესობა უნდა მიეცეს რესპუბლიკას, ვინაიდან მონარქიის დროს ხალხი ზარმაცობს, მას თავის მოვლა-პატრონობა არ აწუხებს, მაშინ როდესაც რესპუბლიკის დროს ხალხს სიზარმაცისათვის ვინ მიუშვებს.

დაშატებით ამისა საბჭოთა რესპუბლიკაში, საბჭოში მჯდომი პირები ადგენენ და ადგენენ ელექტროფიკაციის გეგმებს და ხალხმა ის უნდა შეასრულოს. ასე რომ საქმე ბევრია გასაკეთებელი.

## მაონომიური პოლიტიკა

კითხვა: რა არის ეკონომია, პროტექციონისტური სისტემა და ვინ იყენებ პირველი პროტექციონისტები?

პასუხი: სიტყვა ეკონომია ბავშვაც კი იცის რა არის. აი მაგ. თქვენ დაგვირდათ კოსტიუმი. ბაზარზე მატერია ძვირად ფასობს; თქვენ მიღიხართ ჩუმად კონდრაბანდოს სტებთან და ნაკლებ ფასით უკეთესს მასალას შოულობთ.

რა არის პროტექცია? ესეც ყველამ იცის. განმარტება შედგება. უპროტექციოდ საბიჯსაც ვერ ვადაღვამ.

ვინ იყენებ პირველი პროტექციონისტები? პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. პროტექცია მენშევიკების დროს დაიწყო და დღესაც არაა ნაკლები. მან მიიღო სისტემატიური ხასიათი, ამიტომ უწოდებენ მას პროტექციონისტურ სისტემას.

## მათემატიკა

კითხვა: რას მეტყვიოთ პითაგორეს თეორემაზე?


პასუხი: პითაგორე ბატონო იყო ბერძენი. მან დახახა საკეთილად, ააგო მის გვერდზე კვადრატები და მიიღო რაღაც შარელის მაგარი ფიგურა, რომელზედაც რუსები ამბობენ: „პითაგორეა მტანი ვო ვსე სტორონი რაენი“. ჩემი აზრით იმ დროს ბერძენები ატარებდნენ პითაგორეს მიერ გამოგონებულ შარვალს, რომლის ყოველი ნაწილი თანასწორი იყო.



სტუდენტო:— ვავიგე, თითქოს ფარმაცეპიული კომპანია იხსნება; იმასაც დავათვებ და ვეგებ ერთი შარვალი იქიდანაც შევიყირო; სხვაში მაინც არაფერში მარგია ეს ატესტატები!

# შეზინებულნი

## პროტექსტია



თქვენ გყავთ ნათესავი უციცი და მრუდი; არ აცვია ტანზე, არ ახურავს ქული. თქვენ გაწუხებს მუდამ, როგორც ავი სული რომ არ დაგხმაროთ. არ გიშვებთ გოლი. მოგაბენზრათ თავი, გზავნით მეგობართან და სწერთ:—სამსახური მიეცე, ჩემო ვართან! შენაც გეყოლიბა ვინმე ამაგვარი... მერმე მე მოგიწყობ შენი მეგობარი. ხელმა ხელი ბანოს, ორივემ კი პირი და მით მოიშორიან თავზე თითო ვირი. და მით დაამყაროს კაცმა კუჭთან ზავი,— რა არის აქ ცუდი, რა არის აქ ავი?

ი.ხ.

— გადარეული ხომ არა ხარ, რომ თოკებით დაკრულხარ მატარებელში?

— ეჰ! ვიცი ჩემი მუცელის აზბავი— არ მომახვენებს და ადგილს და-მაკარგვინებს,—მე კი ფხეზე დგომა არ შემიძლია.

# „ბარტ 'რუზი“ № 123 სპეციალური ნომერი „მ. ცნიძერუა და ტახნიკა“

### „კ უ კ ე“

4 წელიწადია ნათესავები არ მენახა და ვიფიქრე:

— ეგებ გაიხად ველარ მივალწიო და ვნახავ!

ავიღე ქალაქის სადღურზე ორი ბილეთი, ერთი ჩემთვის და ერთიც ჩემი ცოლისათვის დანომრილ საწოლ ეაგონში. მივედი თაის დროზე სადღურში; შევედი ჩვენი ნომრის ეაგონში, დაეკავეთ ჩვენი დანომრილი ადგილი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რომ ისეთ კუბეში მოვხვდი, სადაც მხოლოდ ორი ალაგი იყო.

ენახოთ გაილო კარხ და ბარგი-ბარხანით შემოვიდა ერთი ვილაც ახმახი. დახედა ნომერს და დააწყო თავისი ბარგი.

— უკაცრავათ მოქალაქე, — ეუბნები, აქ თქვენი ადგილი არ არის; ეს ორი ადგილი მე მაქვს ნაყიდი, პა, ბილეთის ნომრები!

— მე არ ვიცი თქვენი ნომერი და ჩემს ბილეთში კი სწორეთ ეს ადგილია აღნიშნული! — და მაჩვენა ბილეთი. მართლაც მის ბილეთშია აღნიშნული იყო № 7.

— ეგ რალაც შეცდომაა! — ეუბნები მე.

— რალა ჩემთვისაა შეცდომა და თქვენთვის არაა? აა, ბატონო, ქვედა

საწოლი ჩემი ნომერია, ბარა მე ზევით დაეწობი და თქვენი შეულლე ქვეშ ბრძანდებოდეს.

— რათა ბატონო; ის არა სჯობია ჩემს ცოლთან მე ვიყო და თქვენ სხვან განსადაბარგდეთ!

— რავე გეკადრებთ! სხვა ადგილები „დაზნაიტიბულია“. — კატეგორიული უარი განაცხადა.

გაკვეთი კონლუქტორის დასაძახებლად.

მოვიყვანე კონლუქტორი, გამოგვართვა ბილეთები. სანამ სათვალეებში ამოიღო, სანამ ფარნის სინათლით ბილეთებს ჭერებდა დააწყო, მატარებელიც დაიძრა. დაიბრუნა ბილეთი და მითხრა:

— გაშომეყვით; მე თქვენ გიშოვით ბინას ჩემს „კუბეში“!

— რათა ჩემო, ძმაო, რისთვის გინდა ამ სუბეროს ღღეს მე და ჩემი ცოლი გავჯავროთ? ეს კაცი წაიყვანეთ თქვენს კუბეში და მე ჩემ ცოლთან დავრჩები!

კონლუქტორმა გაიცინა და მითხრა:

— მე კი არა „კასირშას“ მოუწოდებია თქვენი გაყრა, რომ ერთნაირი ნომერი მოუცივათ ორთავესათვის.

— კი ბატონო, კი, — დაიყვირა ახმახმა, გააჭირეთ საქმე; არევიან არ

გართმევთ თქვენს ცოლს; მე ჩემი ცოლიც მეზარება და სხვისი რა ოხრობალ მიხდა?! — გაიტანა თავისი ბარგი-ბარხანა და კარებში გაილაპარაკა:

— შენ რომ კაი კაცი იყო, წვერულაშიც არ გეჭნება მოპარსულიო... დაესურო „კუბეს“ კარები.

არ გასულა 3 წუთი, რომ მეზობელ „კუბეში“ შეიჭნა აურ-საური. თურმე, ნუ იტყვით, იმ დალოცვილ „კასირშას“ სამი მგზავრისათვის მიუყიდნია ერთი და იგივე დასაწოლი ნომერი. ამიტომ მგზავრები ერთმანეთს თავპირის ამტკრევენ. სტაცეს კონლუქტორს ხელი და ყოველი მხრიდან უძახიან:

— ეგ როგორ შეიძლება? მოაგვარეთ ჩქარა საქმე!

— ნე მოი დელოა; ჩორტი ელო ზნაით. ეტა კასირშა ვსგედა პრილოჟენიე დელოიტ სეოი ნომერ ნა ჩუჟოი შტეშპელ. ა ია მინოვათ შტოლი? — ჩაურუსულა კონლუქტორმა.

— ჩვენზე უარეს დღეში სხვები ყოფილან! — უუთხარი ცოლს, კუბე მაგრად ჩაეკეტა და დასაძინებლად დაეწვიე, რომ ჩვენთვის მგზავრი იო შემოემატათ.

ვახ-ბა-ლანჩი.



# ჩოხატაური

# „ჩეხიეკონომია“

ბეიბული

ვის ვაეკარი კბილი ჩემი,  
დღესაც ეწვის დანაკოდი,  
გადავყარე ყველა ხრამში.  
მე კი ამით ვამაყობდი,  
მარა როცა ვაიბრისხლდი

და წაბართვი, ძმაო, პიკო,  
დახე! როგორ ვათამამდენ  
და აქედნათ კულის რიკი?!

აი, თუნდაც ვაეი იგი,  
საუკუაზოს სადღურზე რომ  
„ნაჩანიქობს“ (რა თქმა უნდა,  
ეს წოდება მისცა მას დრომ...)  
ძნელი არის პპოვო სადმე  
მგზავსი მისი მუცელ-ხრამში,  
არც კოწია მარშალს, მგონი,  
არ უყვარდა ასე ქრთამი!!  
გარეგნულად კენტლემენობს,  
რას შეატყობ არის ფრანტი...  
მარა, თურმე „თავის დროზე“  
გოცირიძის იცის კვანტი!..

„ნაჩანიქთან“, როცა მივიღოთ  
საქონლისთვის, — ამბობს „ეპო“ —  
იმ ოჯახს ქარს, იმ საქონლის  
ნახევარიც აღარ ეყო!..

თურმე ვამგე ვეღარ აძლებს  
ვერც ვანშიით და ვერც საკუსკით...  
(ასე არ უნახს, მაშ რას იზამს  
თუ „სკლადის“. წინ ის სდგას მუშ-  
ტით?)

და ამ რიგად ნოაქეს უხვად:  
პუჩი, ჩაი, ქერი, თივა,  
მარა დახე! ამ მუცელ ხრამს  
თურმე მაინც გული სტკიავს!  
სულ სხვა არის „ეპო“ — საგან  
რომ იწვევა ნისიობას;  
თვითონ მოსვლას არ კადრულობს,  
სტელეფონით აძლევს ცნობას!..

ესლა ვკითხოთ მეტრეებებს:  
ზიგო იყოს, თუნდა გიტოც,  
გეტყვიან რომ: „ნაჩანიქმა“  
დაგვიღუპა საკრედიტოც!..  
იპატიე ბანკის გამგე,  
(თუმცა წყველით, თუმცა კრულვით),  
მარა მაინც ხან წითელს და,  
ხან თეთრ ღვინოს გზავნის ურმით...!

საცოდავი ფიადორე,  
ამას წინად კილამ მოკვდა,  
რომ „ნაჩანიქს“ ვერ უშოვდა,  
მოსაქრთამათ სანთლის „ოლკა“  
პოდა, ჩემო ტარტაროზო,  
თავმობდილი, ხელში ქუდი  
გვედრებდი — მექრთამებს და  
ქრთამის მიმცემს — ვათრეე კუდით!..  
თორემ ასე თუ გავრძელებდი...  
მართალს ჩივა გიგო, გიტოც:  
„ჩახვადებდა ჩვენი „ეპო“...  
ჩაფლავებდა საკრედიტოც“!..  
ამისთვის, უცილობლად  
დროზე მომეც, ჩავეკრა ამათ...  
საჭიროა შენი „შუბი“  
სხვა ფრთხილებზე შევექმნა ჩხუბი!..

მოჩუბარი,



მამალაძე (პარტკომის პასუხისმგებ.  
მდივანი თავის „კაბინეტში“): ამხა-  
ნაგებო, ადგილი დაიკავეთ, დაჯექით.  
ერთი: სკამი არ არის და რაზე დაე-  
ჯდეთ!

მამალაძე: — ზოგმა მაგიდაზე ჩამო-  
ჯექით, ზოგმა თათრული წესით —  
იატაკზე, ზოგმა ერთმანეთის ზურგ-  
ზე, — და ასე იოლად გავიდეთ. ნაგვის  
ყუთზედაც შეგიძლიათ ჩამოჯდეთ!  
ახალ-შემოსული: — ვა! ეს რა ამბა-  
გია! მე სადღა დაეჯდე?

მამალაძე: — არა უშავს რა; ან ფე-  
ხზე დადები, გაიზრდები, — ან და  
აგერ ჩამოჯექი კოსტას ზურგზე,  
სქელია და კი ავიტანს.

ახალ-შემოსული: — კაცო, სკამებში  
აღარ არის?

მამალაძე: — სასადილო ზომ არ  
გვონია აქ? რეჟიმ-ეკონომიაა, ძმაო.

მე: — მაღაროებშიაც რომ გაატარე-  
ბდეთ ასეთ ეკონომიას, მაშინ საქმე  
კარგად წავა.

„არ-მოღვა“

**გამოსახვავს სურათებზე საჭირო წარწერა-  
ბთან ერთად უნდა აღნიშნოთ ბარკვებით თქვე  
ნი ვინაიზა, მისამართი და სად და როგორ კე-  
დლის გაზეთში თანამშრომლობათ.**

## ბეიბული

გამარჯობა „ტარტაროზო“  
ჩამომართვი, ძმაო ხელი.  
ვერ მიცანი? აგერ გეტყვი —  
მესტიური ვარ მე ძველბ  
გაიცანი თვენი სიმონ,  
ქალაღებებს შლის წარა - მარა  
აკეთებს თუ არ აკეთებს.  
დაფატურობს მაინც ჩქარა.  
კავშირიც ზომ უნდა ვნახო,  
გამარჯობათ ყველას თქვენა  
პასუხს არაგინ იძლევა  
დაუმუნჯდათ თითქოს ენა.  
შესვლის უმაღ ბუბაშვილმა  
გაღმინაბა ისე თვალი,  
ბოროტია კაცის სული.  
გულს მომედო ცეცხლის აღი.  
ფელიანე არ შეგხედას,

სამ დღეს იდექ თუ გინდ იქა.  
დღედაღამე შრომისაგან  
ამოვდებული აქვს სიქა.  
ვარლამ ძმაო, კურო მიგღა  
ასე მითხრა ჩემო ძმაო  
შემთხვევაა მეტად ხშირი  
კასაში რომ დულბი არ მაქს  
ჯიბებს აწევს ვასაქირი.  
მოუწონე მას ეს აზრი  
მოგონება მშვენიერი.  
(ეპ რამდენი არის — თურმე  
დამალული მეცნიერი).  
იქვე ერთი ოთახია  
პატარაა როგორც კუთი...  
შიგ დამჯდარა ჩვენი კოსტა.  
სწორეთ არის — ათი ფუთი.  
ოკრიბელი რქიანე

# გ ა თ ო მ ი

ბათუმის მუშაკებს საწყალსა გაჰკრეს-გამოჰკრეს კბილია. ბლომად „გაიმასქე-ამასქენს“ გემრიელი და ტკბილია.

სევატრო დარგის გამგევი კეიგელუხისი სვიანი. ბეჯითი, სპეცი, ვაქარი. ზრდილი და თავაზიანი.

იქის მან ოპერაცია დახლართულ-ჩახლორზიანი და ამით მუშაკებს აჩვენა ზარალი ლაზათიანი.

ქურტლულობა იყიდა გასულ იანვრის თვეშია; კაი სულმეტე ათასი ჩაპაია ამ საქმეშია.



მოსწყინდათ... ცრემლი ჩამოსდით: ბოთლებს,საინებს,კიქებსა. ერთი კი არსად აკლია ჩამწყრივებულსა რიგებსა:

ნოქარს სულ სძინავს, რომ ეგებ სიზმარში ნახოს მუშტარი... ტარტაროზ, ამის შესახებ მოსწერე მუშაკებს უსტარი. სო.რ.ო.ბი.

# ხ ი დ ი ს თ ა ვ ი

— ხიდისთავი „ნიჩეგო“ გვარიანი დაბაა!—მეუბნება ხიდისთაველი.

მდინარე გუბაზოულზე ხილია. ხიდისთავთან მარჯვენა ხიდისთავია გაშენებული. ხიდი ფურტურისტ მხატვარის სურათს ჰგავს, ისე აქვს ეშვები აქეთ-იქით გამვერილ-გამომვერილი.

ეს ხიდი მრავალი რამით არის შესანიშნავია; მასზე ხშირად იციან „გამოლეკვა“ (ტერმინი ხიდისთავისა).

საერთოდ, ეაქვს გამბედაობა ახასიათებთ, მაგრამ ქალებს რატომ არ ეშინიათ ღამით ხიდზე დიდი ხნით გაჩერება? ხიდის ქვეშ რომ ვინმე დინამიტები შესდოს და ხიდი აფეთქდეს,—ეს ხომ დასაშვებია? მიადგე და მისდევ მერე ბოროტმოქმედებს! ვინ გამოეკიდება? ეს კი არა ნასაკიროლზე ყოველ დღე ძარცვავენ მგზავრებს და ოზურგეთის მილიციას ამისათვისაც არ მიუტლია ჯერ.

„ნიჩეგო“! ჩვენი ქალები შეჩვეული არიან! მეუბნება ხიდისთაველი.

# უხერხული მღვლმარეობა

(ა. კიკნაძის სურათიდან)



მოკალაძე:—გავეწმენდინებ ამ ოხერს, მარა ვაი თუ სხვებმა უარესი მიყონ—მცემონ!

თვალეებს „მოგკრის“ სახალხო სახლის კუბოს მგზავსი შენობა. „გარედან მტერს მოკლავს, შიგნიდან მოყვარეს“.

სახაფხულო თეატრია ნამდვილი. აბა როგორ შეგიძლია (თუ თავი არ გაქვს განწირული) ზამთარში ისხდე გამტვერულ ფიცარზე, ფეხები გაყინულ მიწაზე გქონდეს დაწობილი, ორივე მხრივ ქარები გცემდეს.

„ნიჩეგო“!—ამბობს ხიდისთაველი.

— ახალი ამბავი! ახალი ამბავი! მოქალაქენო! მოქალაქენო! დღეს ხიდისთავის ისტორიული დღეა. დღეს განკურნის იმედმა უნდა მოიცვას ჩვენი რაიონის ავადმყოფები.. დღეს, მხოლოდ დღეს ექიმი ჩივავიძე ნასვამი არ არის... ფხიზელია! ეყირის ვილაც..

კულტდაწესებულებებს ეზოში კომუნარებია დასაფლავებული. საფლავი უბრალო მესერიით არის შემოვლებული. ზედ კენჭები ბლომთაა დაყრილი. არც წარწერა და არც სხვა რაიმე ნიშანი.

— ნუ თუ ბრძოლაში განგმირულ რევოლიუციონერებს მეთი არაფერი ეკუთვნოდათ?!

— „ნიჩეგო“! ჩვენი ძმები იყვნენ! —მიპასუხებს ხიდისთაველი.

ყველაფერზე ნიჩეგო, ნიჩეგო, და ამის შემდეგ ხიდისთავი მართლაც — „ნიჩეგო“.

— ექიმი და ლოთობა როგორ შეიძლება?!—მიკვირს მე.

— „ნიჩეგო“! ჩვენი კაცია!— მიპასუხებს ხიდისთაველი.

იანო.

# ჯოჯობის კუთხე



## მეცნიერება და ტყუილი

დღეს, როცა ინდუსტრიულიზაციის სესხის თბლიგაციებს ყველა იტაცებს, ვასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მიქელბონში (თქვენ გგონიათ ეს საზღვარ-გარეთ არის? ქუთაისის მაზრაშია) ასეთი ამბავი ხდება:

ააშენეს სკოლა არც პატარა—დიდი;

წყლის გაღმა იგი, წყალზე არ აქვთ ხილი...

მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის სწავლას. ვაკვეთილის ახსნის გადაცემა გაღმიდან გამოდმა განძრახულია მოხდეს რადიოს საშუალებით. აგრეთვე მოწოდებები იქნებიან შეიარაღებული გამაღიდებელ სათვალეებით, რომლებითაც ადვილათ შეძლებათ დაინახონ დაფაზე დაწერილი ციფრები და სიტყვები, აგვარად, თავიდან აცლებული იქნება ხილის ვაკეთების საქროება.

ყველა ამის შემდეგ, ამხ. იქაური დაიხედებულა უნდა იყოს, რომ გზების შეკეთება საჭირო აღარ არის და ნუ სუყვედურობს:



ძროხა ხარისა სწორია; ძუ იყოს თუნდა ხვადია, ხარად და ძროხად მოვიხმართ, ისე ვიქმნ როგორც მწაღია; სახნავ-სათესში და ტვირთში ატარონ მათ უღლია.

დავბამ, რძესა მოვწველი,—რძიდან კეთდება ყველია...

ასეც იქცევა კესა. ამ მოსაზრებებს იგი კიდევ ერთ არგუმენტს უმატებს: დღეს ქალი და კაცი გათანასწორებულია. რატომ არ უნდა გათანასწორდენ ხარი და ძროხა!

## ღვთის ამთოდით

სოფ. ხაშში (გაბრე-კახეთშია) იმით არის შესანიშნავი, რომ, ჯერ ერთი, როგორც თვითონ სოფლის სახელა ამბობს, იქ არის ხაშში და მეორეთ—საკლამში სწავლა ხდება ღვთის ამთოდით, რომელიც შემოღებულია მასწავლებელ გიორგი ნახუცრიშვილის მიერ.

მართალია, როგორც გიორგის გვარი ამბობს, გიორგი ნახუცრიშვილია, ე. ი. ნახუცარი, ანუ ყოფილი მღვდელია, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს და ჩვენ ამახ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. გიორგი ეხლაც მღვდელია და იგი არც ფიჭობს ასაფორის გახდას.



ჩვენ სოფლის აესეუერებათ არიან ვანო, პლატონი; ასე გგონიათ, რომ თითქოს არიან ჩვენი ბატონი.

## ქმნას „მანსნიპატი“

დღეს პირდაპირ საოცრება ხდება გამოგონებებში. აღამიანი მარსზე და მთვარეზე აფრენას აპირებს. ასეო დროს უბრალო. მიწიერ საკითხებს ყურადღება არ ექცევა. დაუკვირდით თქვენ ხარს და ძროხას და მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ნახავთ. ძროხა არის დედრობითი სქესის (დედალი) ხარი. ხოლო ხარი კი არის მამრობითი სქესის (მამალი) ძროხა.

ძროხა იძლევა რძეს. ხარი კი—არა. ძროხას უღელწი არ აბამენ, ხარს—კი.

მართო რძის საჭიროებისათვის ძროხის გაჩერება, ხოლო მარტო უღლისათვის ხარის ყოლა. სხვა რომ არ იყოს რა, წარაღს რომ თავი დაეანებოთ.—ფუფუნება, რასაც დღეს სასტიკად ვებრძვი.

დღეს ჩვენ ვატარებთ რაციონალიზაციას—აპარატის გამარტივებას; დღეს ჩვენ ვტვირთავთ მუშა-მოსამსახურებს საშუალოთი...

ასეთივე უნდა ხდებოდეს ცხოვრების ყველა დარგში. გერ-გერობით ეს მხოლოდ ჩოხატაურელ კახამ შეიგნო და როგორც ღრიანკლა გვატყობინებს. კარგი შედეგი მიუღია.


კესა ამბობს:



ანდა რატომ უნდა გაიხადოს? კაცი მასწავლებელიც არის და მღვდელიც. დილით სკოლაში „ასწავლის“ მოწაფეებს, ხოლო საღამოობით და კვირა- დღეს „მამო ჩეფს“—ს და „აღილუა“—ს ლაღაღებს საყდარში. (კარგადაც იქცევა; მაღლობას უხდის თავის ღმერთს, რომ ხელი გაუშვართა.. ჩვენ კი გგონია, რომ მისი ღმერთი მიწიერი ღმერთია და გიორგისათვის მაგარ კედელსაც წარმოადგებს).

ერთმა ციციანთელამ ეს დაინახა ხაშში. და რა აღმოჩინდებოდა, რომ ვინმემ მუგუხალი შეანროს! ალბად ბევრი რამ არის ასეთი „კარგი“ სანახაობა.

# გაჭირვების ნახიჯი



## სწრაფად შეინგურეს (სოფ. სხვადა, რაჭის მაზრა):

ვერ არის კარგად მომართული თქვენი ზონგულო. მომართეთ სიმუხი კარგად-და შემდეგ ვსინჯოთ. (ეს შარადის შესახებ).

რაც შეეხება იმას, რომ:

ნოქარი ღიბანია,  
ვერეონ სჯობს იმას ქამაში;  
დახლში ვერ ნახავთ ვერას დროს,  
უყვარს კარტ-ნარდის თამაში,—

ალბათ ეს იმიტომ, რომ:

თემალმახკომში ბრძანდება:  
ჩვენი ამაყი ილია;  
მას ძლიერ უყვარს გლეხების  
მწარე დაცინვა, კილია.

და ყველა ამის შემდეგ რაღა გასაკვირია:

სამკითხველოში რომ დაგხვდეს  
გამგე ყოველთვის მძინარე  
და შიგ მკითხველის შესვლაზე  
შიშით იკითხოს:— ვინ არი?

მაჩქარეთელს: არ დაიბეჭდება. რატომ? იმიტომ, რომ გურული სცენა მასე არ იწერება. (საერთოდ ტარტაროუს არ უყვარს სცენები არც კერძო ცხოვრებაში).

იღვას: უმაღლირი კაცი ყოფილხარო. მაღლობის ღირსია თქვენი ცოლი და თქვენ კი, პირიქით. საყვიდურს იოხნებით. ვერ გეტყვით ვისი შვილია. (ჩვენზე ნუ გეკნებათ ეჭვი!).

თუ ცოლმა სება შეიყვარა და მასთან ცხოვრება უნდა, გაბედნიერებულხარ კაცი. ოთახზე მედავეებიანო. დაუტოვე, რა ოხრად გინდა.

კონსტანტინე ნოღიას:—უაცხადებთ მოქ. გაჩეჩილამის საყურადღებოდ, რომ „ტარტაროუსში“ მასზე მოთავსებული ცნობა თქვენ არ გეკუთვნის.

ი. ცეცხლიდს: ამნაირ ლეგსებშიმ სატრფო შეგიყვარებს კი არა—შევიტულებს.

ცარიელ კუხს: ჩვენ ვერ ვავაჟვირებთ თქვენი ამბავით:

ჩვენი მოლარე ანდრია ჯამაგიის ოთხი-ხუთი დღის დაგვიანებითაც არ გვაძლევს. ყველასთან ახეთი ამბავია:



— დრო არის და ჯამაგიური მოგვეცი, ძმაო ანდრია!  
— ვა, რა დროს ჯამაგიურია? ვერ დარიგება აღრეა.

არ იწერებით—სად ხდება ეს ამბავი, ისე კი გამოურკვეველია, რადგან ბევრია ასეთი მოლარეები.

პაპას (სადგ. ჭიათურა):—თქვენი დებეშა დაგვიანებით მივიღო და ამიტომ აქ ვათავსებთ:

მოლარე ქალმა ვერიქამ უმატა მგზავრებიდან ხურა და ფულის შენარჩუნებას.

ამბობენ ახლო ხანში გათხოვებას. ამირებს და მშობივების ჭაჭილათ ფულს აგროვებთ.

# მ ი ზ ი ა ზ ი



— ჩვენს გამგებს დღეს ერთხელაც არ უყვირია... რაშია საქმე?  
 — იმ თანხებში, რომელიც რევიზიამ მოთხოვა გუშინ!